652/3
1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმი

2

1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი

ძონუმენტი

მოქანდაკე მ. ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო

გამოდის 1958 წლიდან

ცისკარი

2

1979

მარტი
აპრილი

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

დიადი ეპოქის შესანიშნავი თავები 3

პოეზია, პროზა

ფრ. სალვაში — ლექსები . . 7

რ. ჩაჩანიძე — „და თქვა ღმერთმან“
მოთხრობა 12

გ. არძენაძე — *** ბილიკ-ბილიკ,
ხევ-ხევ, მთა-მთა ლექსი . . . 26

მ. მახარაძე — დუმილის ზღვაში ლექსი 27

გ. თევზაძე — *** რა ფრთხილი იყო
ის ნაბიჯები ლექსი . . . 27

გ. ქებურია — *** ჩემს გულში მაინც
მზე იღიმება ლექსი . . . 28

ვ. ლლონტი — მოგონება ლირიკული
პოემა 29

ა. შერვაშიძე — ჩერკასკიდან ჩერ-
კასკამდე მოთხრობა . . . 34

ლ. სეიდიშვილი — ლექსები . . 49

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

გ. მეტრეველი — მოთხრობა პაპებზე
ლექსი 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი, რეპორტაჟი

ჯ. ბოფერია — შენა ხარ ჩემი ნავსაყუდარი 55

წერილები

ჯ. ჯაყელი — ნესტორ მალაზონიას შემოქმედება და ფოლკლორი . 76

წიგნების მიმოხილვა

მ. მახარაძე — ლაღად ნათქვამი . . 90

სატირა და იუმორი

ჯ. თელია — გმადლობთ ყურადღებისათვის 94

რედაქტორი აკაკი შონია

სარედაქციო კოლეგია: ხარიტონ ახვლედიანი
მამია ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი)
ფრიდონ ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.4.79, საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5, შეკვეთის № 1540, ემ 00168, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 2.200.

• • •

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲐᲓᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ

წარსულის მოგონებას აზრი მაშინ აქვს, როცა იგი გარკვეული ეპოქის განუმეორებელ სახეს იძლევა და ხელს უწყობს ადამიანთა შემოქმედებითი ენერგიის გააქტიურებას ახალი ისტორიული მიჯნების ასაღებად. სწორედ ამ თვალთახედვით არის საყურადღებო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავის შესახებ“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. ეს ფრიად საინტერესო პარტიული დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს უფრო მძაფრად და ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი დროის სიდიადე, ღრმად ჩავწვდეთ მის კანონზომიერებასა და პერსპექტივებს.

„პირველმა ხუთწლედმა, — ნათქვამია ამ დადგენილებაში, — ცხადყო ის უდიდესი უპირატესობანი, რომლებიც სოციალისტურ წყობილებას აქვს კაპიტალისტურთან შედარებით, დაამკვიდრა სახალხო მეურნეობის მართვის პრინციპულად ახალი, თანამიმდევრულად დემოკრატიული ფორმები და მეთოდები, გაუღვივა მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს აღმშენებლობის დიადი ენერგია, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებად გადაიქცა. პირველი ხუთწლედი გახდა სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის, ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპის მეცნიერული დაგეგმვის, ხალხის შრომითი გმირობის სიმბოლო“.

ეგ პირველი ფუძე-საყრდენი ისეთი მტკიცე გამოდგა, რომ შემდგომმა ხუთწლედებმა ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილობიდან გამოიყვანა და ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესის თვალშეუდგამ მწვერვალზე აიყვანა. დღეს საბჭოთა ხალხი მთელ თავის ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს საიუბილეო, მეათე ხუთწლედის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

„თითოეული ჩვენი ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სამშობლოს ისტორიაში. თითოეული მათგანი თავისებურად საგულისხმოა, ატარებს თავისი დროის განუმეორებელ ნიშნებს და თითოეული სამუდამოდ დარჩა ხალხის მეხსიერებაში. ამავე დროს ესინი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ეს არის შესანიშნავი თავები

ქ. მარქსის ს.ს.ს. სახ. სსრ
სახელმწიფო საუნივერსიტეტო
ბიბლიოთეკა

ერთი დიადი წიგნისა, რომელიც ასახავს ჩვენი ხალხის გმირულ შრომას სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის“. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებში ზღვრული სიცხადით არის ფორმულირებული საბჭოთა ხუთწლედების არსი და მნიშვნელობა, მათი მემკვიდრეობითი ხასიათი და როლი განვითარებული სოციალიზმის მშენებლობაში.

პირველ ხუთწლედში მწვავედ იდგა ტემპის პრობლემა: არა თუ დავწეოდით, არამედ უნდა გაგვესწრო კიდეც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აღწევდა სამრეწველო პროდუქციის, სახალხო შემოსავლის, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ბრდის ისეთ ტემპს, როგორიც მანამდე არ იცოდა არც ევროპამ, არც ამერიკამ. დიდმა მიზანმა შვა დიდი ენერგია. დამკვრელური შრომა გახდა სამყაროს გარდაქმნის ყოვლისმძლე ბერკეტი. იმ ხანებში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებელი, დიდი მაქსიმ გორკი ამბობდა: სინამდვილის შეცვლა შეიძლება მხოლოდ შრომის რევოლუციური ძალით. და რაც უფრო გონივრულია შრომა, მით უფრო რევოლუციურია იგი. ის რაც კეთდება საბჭოების კავშირში, — აღემატება ყველა ზღაპრის გმირებისა და გოლიათების ფანტასტიკურ საქმეებს.

იმ დიადი გარდატეხის წლებში იბადებოდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის შესანიშნავი ტრადიცია — ცხოვრებაში აქტიურად შეჭრის, ყველა სახალხო საქმეში უშუალო მონაწილეობის ტრადიცია. ეპოქამ მწერლებს წაუყენა მოთხოვნა — ეცხოვრათ თანამედროვეობის ცხოვრებით, ეწერათ თანამედროვეობაზე. მანამდე არასდროს არ ყოფილა მწერლობა ხალხთან ისე ახლოს, როგორც მაშინ. სწორედ მაშინ იჩინა თავი სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრების, კერძოდ ნარკვევის, ახალმა ნიშანთვისებებმა. მაშინ უწოდეს ნარკვევს მაგისტრალური თემების, სახეების, ადამიანური ხასიათების „დაზვერვა ბრძოლით“.

მწერლობა მხარში ამოუდგა დიადი საქმეების დროს, ქმნიდა ახალი სამყაროს პირველმშენებლობათა მხატვრულ მატიანეს. ახალი ლიტერატურის გმირები იყვნენ დნეპრჰესის, ზაჰესისა და აწჰესის, ურალმაშის, სტალინგრადის სატრაქტორო და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების, ახალი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშენებლები, ახალი გლეხები, რომლებმაც პირველი ხნული გაავლეს საკოლმეურნეო მიწაზე და მტკიცედ, გაბედულად აღუდგნენ წინ კულაკობის მტრულ მოქმედებას.

საბჭოთა ლიტერატურის დამწყებნი ახალგაზრდები იყვნენ. მათ დიდი სურვილი ჰქონდათ და ძალ-ღონეც შესწევდათ, ეთქვათ

ახალი სიტყვა ახალი ადამიანის ფორმირების, ახალი სამყაროს დაბადების შესახებ. მიხეილ შოლოხოვს სამოქალაქო ომის დიდებული მატიანე არ ჰქონდა დასრულებული, რომ ცხოვრების კარნახით „გატეხილ ყამირს“ მიადგა. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“ და „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ იწერებოდა მაშინ, როცა ქართულ სოფელში ნამდვილი რევოლუცია ხდებოდა, ძველისა და ახლის უკომპრომისო ბრძოლაში ყალიბდებოდა ადამიანთა ახალი ურთიერთობა, ახალი ხასიათები. მწერალი ამ ადამიანებთან ძალიან ახლოს იყო, იზიარებდა მათ ყოველდღიურ ჭირ-ვარამს, ღრმად ჩახედა მათ სულში და ამიტომაც შექმნა მარად ცოცხალი მხატვრული სახეები.

საბჭოთა ლიტერატურა ახალი ხმებით გაამდიდრეს ჩვენმა პოეტებმა. მათ ლირიკულ ლექსებსა თუ პოემებში მკვიდრი ადგილი ჰპოვეს ახალი, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სამართლიანი, საზოგადოების მშენებლებმა, შრომის გმირებმა. გალაკტიონ ტაბიძემ მთელი წიგნი უძღვნა ახლის შენებას, — ჯერ არნახულის, ჯერ არგაგონილის, და მას უწოდა „რევოლუციური საქართველო“. პოეზიის „ინდუსტრიალიზაციის“ ტენდენციამ, მოწოდებითმა ინტონაციამ მკაფიოდ იჩინა თავი ალიო მაშაშვილის საკმაოდ გახმაურებულ ლექსში „დამკვრელ ბრიგადებს“. პოეტი მისთვის დამახასიათებელი სიამაყით ამბობდა: „მეც დამკვრელი ვარ, საქმეს ვამზადებ, ტემპს გრიგალივით ცეცხლი მოვსტაცე და ვეჯიბრები საწერ დაზგაზე ინდუსტრიალურ ლექსის ოსტატებს“. ასეთივე ენერგიული და ძალმოსილია სიმონ ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირი“, „გმირის ძიება ნოტაჩიოში“ და სხვა ლექსები იმ დროისა, რომლებშიც უკვე ჩანს დიდი სულიერი ხედვითა და სმენით დაჯილდოებული შემოქმედი.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ პარმენ ლორია, რომელიც თავის შემოქმედებაში, ჭეშმარიტების ძიებაში მუდამ ერთგული იყო მშრომელი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულის, კომუნიზმის მაღალი იდეალების გარეშე ვერ წარმოედგინა შწერლობა. იგი მონაწილეობდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობაში, რომელიც პირველი ხუთწლედის სამრეწველო გიგანტებს შორის ერთ-ერთი პირველი ჩადგა მწყობრში. მის თვალწინ ხდებოდა დიდი სოციალური ძვრები და დაძაბული ყურადღებით სწავლობდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პერიპეტიებს; აჭარის თითქმის ყველა სოფელი ფეხით მოიარა და უშუალოდ გაეცნო თავისი მომავალი ნაწარმოებების გმირებს, ამასთან ეწეოდა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოსახლე-

ობაში. პარმენ ლორიას „ჩაი“, „განთიადი ხევში“ და სხვა რომანები აღბეჭდილია ცხოვრების განახლების ღრმა რწმენით.

სოციალიზმის აშენებისათვის ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაწყებული დიდი სახალხო ლაშქრობა, მასების შემოქმედებითი ენერგია ვერაფერმა ვერ შეაჩერა, ვერც ფაშისტთა ურდოების შემოსევამ, ვერც ომისშემდგომმა სიძნელეებმა; საბჭოთა ხალხმა ყველა განსაცდელს გაუძლო და მტკიცედ მიდის წინ ლენინის გზით. ოთხ მარტს გამართულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, არჩევნებისადმი მიძღვნილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ცხადყო თუ რაოდენ გაიზარდა მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. არჩევნების შედეგებმა მსოფლიოს ხალხები დაარწმუნა, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის პოლიტიკას — კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობის პოლიტიკას. ამ პოლიტიკით, ჰუმანიზმის დიადი იდეებით არის შთაგონებული საბჭოთა ლიტერატურა. სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნები, შრომის სოციალური ხასიათის შეცვლა იმთავითვე იყო და არის ჩვენი მწერლობის შემოქმედებითი გზის განმსაზღვრელი.

მარტო რეალური სინამდვილე კი არა, ლიტერატურული სინამდვილეც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საბჭოთა მწერლობის განვითარებაზე. სახელოვანი ტრადიციები გრძელდება. ბაბის, ენგურჰესის და სხვა გრანდიოზულ მშენებლობებზე მუშებთან და სპეციალისტებთან ერთად, მათ მხარდამხარ იღვწიან და გმირული შრომის დიად მატიანეს ქმნიან ახალგაზრდა მწერლები. საქვეყნო საქმეში ყალიბდება თითოეული მათგანის პიროვნება, იწრთობა ხასიათი, იზრდება პასუხისმგებლობა ხალხისა და პარტიის წინაშე.

ახლახან აღინიშნა ყამირი მიწების ათვისების 25-ე წლისთავი. ამ ისტორიულ მოვლენაზე მხურვალედ, ამაღელვებლად მოგვითხრობს შესანიშნავი წიგნი „ყამირი“. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ წიგნში, ისევე როგორც მის „მცირე მიწასა“ და „აღორძინებაში“, ყურადღებას იპყრობს გმირული დრო, რომელმაც შვა გმირული ხასიათები და წარმოაჩინა ჩვენი ხალხის საქმეთა სიდიადე.

რამდენი რამ გაკეთდა, კეთდება და საქმე მაინც არ ილევა. ღმერთმა ნუ ქნას!.. ჩვენს გასაკეთებელს სხვა არ გააკეთებს. ამ მამულიშვილური შეგნებით უნდა ვიცხოვროთ ქვეყნად. ამას გვასწავლის სახელოვანი ხუთწლედების ისტორია.

ფრიდონ ხალვაში
შოთა რუსთაველის
პრემიის ლაურეატი

ჯ ი ლ დ ო

საქართველო აჯილდოებს
განა მარტო შვილს და პოეტს?!
აჭარაში გადარჩენილ
ქართულ სიტყვას აჯილდოებს.
უხარიათ ხიხან-სხალთის
ფიქრებს სევდად დანატოვებს,
გაღვიძებულ დანდალოში
განედლებულ ვაზის რტოებს;
გონიოში მოხუც კედლებს
ფრთას ზღვაური დაატოლებს,
ამღერება მოუნდება
სამასწლიან სიმარტოვეს.
სინაზეზე უფრო ნაზად
დედა ალერსს ჩამაკონებს,
ახალ ნანას გამაგონებს,
კვლავ სიყვარულს შთამაგონებს.
დღეს ჭოროხი კახაბერში
ჯავრის ზვირთებს დაიმდორებს, —
გადარჩენილ მის სიმღერას
საქართველო აჯილდოებს.

ილიასადმი მადლობა

დაბუგულ სულში, დაფლეთილ მკერდში
კი ძგერდა გული, მაგრამ ტიროდა.
დიდ გაჭირვებას, დიდ გაღვიძებას.
დიდ ტკივილს დიდი კაცი სჭიროდა.

ამ დიდკაცობის მძიმე უღელში
უნდა ბმულიყო ჭედუდრეკელი,

მხოლოდ ილია იყო ის ერთი,
დიდი მომავლის სულს რომ შეჰფერის.

იმ ერთადერთ გზას ხედავდა იგი,
რომ მოვყევით და ვერვინ გვაშინებს.
ჩვენ მას ვეძახით სამშობლოს სინდისს,
გულს და ქვეყანას რომ აკავშირებს.

და თუ მადლობა ეკუთვნის კაცს
ჩემი გულისა და ჩემი კუთხის,
იგი ეკუთვნის, ვინც სულში დგას,
იგი ილიას უწინ ეკუთვნის.

არ მტოვებდა

ძველი ტახტრევანი,
ფარდა გადამძვრალი,
დარკილული,
ტაფა ჭვარტლიანი,
ტარით კაპჭანზე გადაბმული,
ბუხარი ჩამქრალი, ჩანაცრული,
გუდა ჩამოძლეძილი, —
გამოწოვილი ცური.
გამომხმარი, დაგვალული ქალამნები,
დაჩრჩილული წინდები...
შევდივარ, ვდგევარ,
რაღაც ულმობელით ვმძიმდები.
მეშინია არ ჩატყდეს ქირიში,
არ შევძრა ეს რუხი მყუდროება.
გარეთ გამოვედი, ვიგრძენი —
წარსული არ მტოვებდა.

ბ ო რ ო დ ი ნ ო

ქართველ პოეტებს
ბოროდინო მოგვეალერსა,
როგორც შინაურთ, —
აქ ხომ ჩვენი სისხლიც წვეთავდა.

თითქო ვხედავდი, იქ, — ალისფერ
მინდვრის არეში,
ბაგრატიონი მომაკვდავი იწვა მხედართან...
უცებ დედაბერს თვალი მოვკარ შუა დარბაზში,
შეგვეხმიანა:
— ქართველებმაც აქ ხომ იომეს,
მაშ, წაიკითხეთ, ქართველებო, ლექსი ლამაზი,
ლექსი ლამაზი,
წაიკითხეთ ბაგრატიონზე.
ეჰ, უამლექსოდ
ეს სალამო
არც ელირება, —
ვთქვით და ერთმანეთს გადავხედეთ
დარცხვენილებმა.

მ უ ზ ე უ მ ი

ხ. ახვლედიანს.

ყოველ ფურცელში და ყოველ ჯაჭვში,
გატეხილ ჩანგში, ნანგრევის ლოდში
ჩემი წარსული სიკვდილ-სიცოცხლის,
ყოფნა-არყოფნის ჩურჩულით მოდის.

აქ ყველაფერი იქცა სიჩუმედ,
გაშეშებულან ფრთები ფრენაში
და შეკუმშულან ისტორიებად
მონობა, ომი, მარცხი, რევანში.

შევდივარ, მივდევ ფრთხილი ოცნებით
საუკუნეთა ჭრელ ფიანდაზებს,
ვხედავ, წარსული რას მიმზადებდა,
ან მომავალი რაღას მიმზადებს.

და ყველაფერი სევდა-ჩივილით
მეალერსება თან მეუბნება:
— აქ ბჟუტავს შენი ყველა ტკივილი,
აქ ღვივის შენი თავისუფლება.
აქ სანთლისფერი ჭალარით კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბევრი, ბევრი ჭირის მომსწრეა,
პატიოსანი გულით დარაჯობს
თვით ისტორიის პატიოსნებას.

უდაბური კუნძული

ახლა რომ მოჩანს რომელი ცაა?
ჰაერის ლაჟა ჰორიზონტს აღნობს.
ო, დედამიწავ, ვიქნები საცა,
სიცოცხლისათვის, მზისათვის
გმადლობთ!

ახლა რომ მოჩანს რა კუნძულია?
არა, ნუ მეტყვი, ნუ გაწლი რუკას, —
განწირებულის დღე უძლურია,
გულს უსახელო ხმელეთიც უყვარს.

იქნები ზღვის და ხმელის პატრონი
ა, იმ კუნძულზე, ახლა რომ მოჩანს,
მისი ჰაერის ჯანსაღ ატომით
საყვედურებს და იჭვებს დავხოცავ.

კუნძულზე, ზღვაში, ახლა რომ მოჩანს,
ავირჩევ მთებში ერთ სამოსახლოს,
მაგრამ იქ ძელად ხე როგორ მოვჭრა,
უშენოდ, უგზოდ, უხმოდ, უხალხოდ?

* * *

დავცქერი ჭალალდს დაუწერელს
და ტანჯვით ვხედავ
სიტყვას, რომელიც უნდა გიძღვნა
აუცილებლად.

სტრიქონის ტოტი
შენმა ჯავრმა გადამიტეხა,

ქართული
ბიბლიოთეკა

შემოდგომაა,
შუადღეა და ოდნავ ბნელა.

ჭარები ჩადგნენ, შეაჩერეს
ფოთლებმა ფრენა
და მხოლოდ წვიმა
წვეთებს ცივად ალაპარაკებს.

მაპატიე, რომ სინამდვილე
ვერ გითხრა, ვერა.
მე ვიცი, კარგო,
შენი გული რასაც დამარქმევს.

მ ა კ ე დ ო ნ ი ა

სულ არ მენახე,
მაგრამ გიცნობდი, მაკედონია.
საქართველოში, მთაში პატარას
გამიგონია
შენი ზღაპარი, შენი ლეგენდა
შენი დიდება.
მაკედონია, შენი ალერსი
კვლავ მომინდება.
შენი ზაფხული ჩემში მრავალჯერ
აბიბინდება,
რაც აქ მთებია, ხეობებია
თუ მინდორია,
განა შორია?
ჩემი მგონია, მაკედონია.
შენი სიდიდე
სამყაროსი და გულის ტოლია,
სიყვარულივით მე თან მიმყვები,
მაკედონია.

1978, აგვისტო-
ქ. სტრუგა. მაკედონია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოდამ ჩაჩანიძე

„და თქვა ღმერთმან“

მოთხრობა პირველი

ჯეკ სტივენსმა, ბანტუს ქუჩაზე რომ გამოვიდა და დორელის სამკერვალოს გაუსწორდა, თავი ცუდად იგრძნო. ხელი მაშინვე პიჯაკის მარჯვენა გარეთა ჯიბისაკენ გააქანა, სადაც მიკროჰერცის ტაბლეტები ეგულებოდა. ერთი პატარა ტაბლეტი ამოიღო და ის იყო კბილებით უნდა გაეკვნიტა, რომ შებარბაცდა და ტროტუარზე გაიშხლართა.

სასწრაფო დახმარების მანქანა მალე მოვიდა. ჯეკი გონს არ იყო, თვალი მხოლოდ მეხუთე დღეს გაახილა. პატარა ოთახში მარტო იწვა. პლასტიკატის ლურჯ პრიალა კედლებზე მისი საწოლის სილუეტი იხატებოდა. სასთუმალთან განიერი ფანჯარა ჩანდა, ფანჯრის იქით კიდევ უშველებელი პალმის ხეები. მერე სტივენსმა ფეხებთან ჩამომჯდარი ახალგაზრდა კაცი დაინახა. დიდი, უშველებელი შავი ულვაშები სელაპის ეშვებივით ჩამოჰკიდებოდა. წვრილი ცისფერი თვალები ფერმკრთალ სახეზე პატარა წერტილებივით მოუჩანდა.

ჯეკმა თვალები რომ გაახილა, ახალგაზრდა კაცი შეიშმუშნა.

— სტივენს, როგორ გრძნობთ თავს?

ჯეკმა პირი დააღო, ხმის ამოღება დააპირა, მაგრამ გამშრალი ყელიდან მხოლოდ შემაზრზენი ხრიალი გაისმა.

ახალგაზრდა მაგიდასთან მივიდა, ჭიქაში რალაც ჩაასხა და ავადმყოფს მიაწოდა.

— შესვით, მოგიხდებათ.

სტივენსმა შესვა და ცოტა შვებაც იგრძნო.

— აბა, ახლა სცადეთ, იქნებ დამელაპარაკოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, სერ, უკვე შემიძლია გესაუბროთ.

თავისი ხმა რომ მოესმა ჯეკს, ესიამოვნა.

— მე ექიმი მეკინგი ვარ. ალბათ გაგიგონიათ ჩემი გვარი.

— რასაკვირველია სერ. კიდევ კარგი, რომ თქვენთან მოვხვდი.

ექიმმა ყური ცქვიტა, ოდნავ წინ გადმოიხარა.

— ეგ სიტყვები რატომ თქვით სერ?

ჯეკმა საწოლიდან წამოიწია. სახეზე ალმური ასდიოდა. დაბნეული მზერა მეკინგს მოაშორა და კედლისაკენ გაიხედა. თითქოს იქ რაღაცას ეძებდა.

— ჰო, ბრძანეთ, სტივენს. რატომ გესიამოვნათ, ჩემი პაციენტი რომ გახდით?

ექიმი ადგა და ავადმყოფთან სულ ახლოს მივიდა.

— თქვით, გისმენთ.

— იმიტომ სერ, რომ თქვენზე უკეთესი ექიმი ახლა მსოფლიოში არ მეგულება.

— ვითომ მარტო ეს არის?

— რასაკვირველია, სერ, აბა, მეტი რაღა უნდა იყოს?

ექიმმა პალატაში გაიარა. კარის მხარეს წავიდა. ზედ კართან შებრუნდა და თავჩაქინდრული გამოემართა ავადმყოფისაკენ. საწოლთან რომ მოვიდა, შეჩერდა, თავი ასწია.

— სტივენს, თქვენ ფეხის თითებს შორის თხელი აპკი გაქვთ. ხომ არ ისურვებდით ოპერაცია გაიკეთოთ და ეს ატავისტური გადმონაშთი მოიშოროთ?

ჯეკი გაფითრდა. თვალი შეავლო მეკინგს და მერე თავი ნელა ჩაქინდრა.

— მე შევისწავლე თქვენი ანატომია, წყლის ადამიანი ბრძანდებით. გაკეთებული გაქვთ ფილტვების ოპერაცია. შეცვლილია მისი ფუნქციონება იმ მოსაზრებით, რომ ნორმალურად ისუნთქოთ სუფთა ჟანგბადით. ვინმე სხვას რომ ეთქვა, წყლის ადამიანი არსებობსო, რასაკვირველია, არ დავიჯერებდი, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე ყოველივე ეს და უფლება არა მაქვს საკუთარ თავს არ ვენდო.

თქვენ წყლიდან მოხვდით, სტივენს, ხომ ასეა?

ავადმყოფმა თავი ისევ ასწია. ექიმს მწყრალად გახედა.

— დიახ, ასეა, სერ. მე ოკეანის ფსკერიდან გეახელით, სამწუხაროდ, თქვენ, ადამიანები ცუდად იცნობთ ოკეანის ფსკერს და დღემდე არ იცით, რომ იქ გონიერი არსებანი ცხოვრობენ.

მე მზვერავი ვარ. მოვედი, რომ თქვენს შესახებ ცნობები შევაგროვო.

— მომწონს თქვენი გულახდილობა. მერწმუნეთ, სერ, არ ვაპირებ

თქვენს დაღუპვას. ჯენტლმენის სიტყვას გაძლევთ, ყოველივე ის რაც აქ ითქვა და ითქმება, ჩვენს შორის დარჩება.

— მჯერა თქვენი, ედი მეკინგ.

პაციენტმა ოდნავ გაიღიმა, მერე სასთუმალი გაისწორა და გააგრძელა.

— ჩვენ ოკეანის ფსკერზე გვაქვს ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ამიხოტი ჰქვია. საკუთარ თავს კი ამიტებს ვეძახით.

— რა დონეზეა თქვენი ცივილიზაცია? თუ იმ ოპერაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენთვის რომ გაუკეთებიათ, ამიტები ცივილიზაციის სკალაზე ჩვენს ქვევით არ უნდა იდგეთ.

— სწორი ბრძანდებით, სერ. ადამიანები და ამიტები თითქმის ერთ დონეზე ვდგავართ. გვაქვს დიდებული წყალქვეშა ქალაქები. ბოლო დროს ამიტებმა მოისურვეს იცხოვრონ ისე, როგორც ხმელეთის ადამიანებმა. ამიტომ იკეთებენ ფილტვების ფუნქციონირებას . ასეთი ამიტები ყანგბადიან ქალაქებში ვცხოვრობთ. ქალაქებს ვაშენებთ თქვენებური მეტროს ყაიდაზე. გვიკიდია ხელოვნური მზეც.

— ყოველივე ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, სტივენს.

ავადმყოფი შეიშმუშნა.

— თუ აქ ერთი კვირა კიდევ დარჩებით, უკან დაბრუნება არ გიწერიათ. თქვენი ორგანიზმი ვერ შეეწყო ტროპიკულ მზეს. გეწყებათ კანის ხურვება. ამას გარდა ფილტვებსაც უჭირს მაღალი ტემპერატურის ატანა. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში დაიღუპებით.

— რას მირჩევთ, სერ?

— აქედან უნდა მოცოცხოთ. ამ საქმეში მე მოგეხმარებით. თუმცა ვგრძნობ, რომ ამით დიდ დანაშაულს ჩავდივარ.

— გმადლობთ, სერ. მე შევეცდები ამიხოტიდან გამოვითხოვო მანქანა. თქვენ თუ ოკეანემდე მიმაცილებთ, დიდად დამავალებთ, სერ.

— სიამოვნებით სტივენს, მაგრამ კიდევ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ. ამიტებს გყოფნით თუ არა საარსებო სივრცე?

— მისტერ მეკინგ, ბოლო დროს გვიჭირს. ამიტომ ამოვდივართ ზევით. ვითვისებთ ოკეანის ზედა შრეებს.

— ესე იგი, ჩვენი შეჯახება გარდუვალია?

— მეც ასე ვფიქრობ, სერ.

— კარგით, სტივენს, შეგიძლიათ დაელაპარაკოთ თქვენებს. რა წუთში მეტყვით, მზად ვიქნები ოკეანემდე გაგაცილოთ. ნახვამდის, სტივენს, ახლა დაიძინეთ. აი, ეს აბი მიიღეთ.

ედი მეკინგი პალატიდან მშვიდი სახით გამოვიდა და ფართო, განიერ

დერეფანში ნელა გაიარა. ფანჯარასთან რომ მივიდა, წინ ვილაც კაცი შემოეყარა. მასაც გულდაგულ დაუთოებული გრძელი ხალათი ეცვა.

— მისტერ მეკინგ, სილვესტრ ენდროუ რეკავს ფსიქიატრიულიდან.

— ჰოო.

ჩაილაპარაკა მეკინგმა და ფეხს აუჩქარა. გაუარა პირველ ფანჯარას, მეორეს, მესამეს. მერე პლასტიკატის ცისფერ კარს მიადგა და ფაციფუცით შეალო.

სელექტორში წითელი შუქი ენთო. ეკრანზე ჩანდა შუახანს მიღწეული კაცი. ოდნავ შეშუპებული. საზამთროსავით სავსე სახე ჰქონდა. ხშირი, უხეში წარბები, უკან მკვეთრად გადაქანებული შუბლი და ქერა. აჩეჩილი ქოჩორი.

— სალამი, ედი!

იმ კაცმა ეკრანზე ულაზათოდ გაიღიმა.

— სალამი, სილვესტრ!

— ედი, როდის მოხვალ ოპერაციის გასაკეთებლად?

მეკინგმა მაშინვე არ უპასუხა. ჩაფიქრდა, ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუპატარავდა.

— შევეცდები ხვალისათვის გამოვიარო, ავადმყოფი მოამზადეთ.

— მოვამზადებთ, ედი. ხვალ გელოდებით, ნახვამდის.

ეკრანი ჩაქრა.

ედი მეკინგი სელექტორის წინ სავარძელში ჩაჯდა და ფეხები წინ გაშალა. მერე საზურგეზე გადაწვა და ჩათვლიმა. დღეს აქ ოთხი ოპერაცია, ოთხივე მძიმე, ხვალ დილით ისევ აქ, შემდეგ იქ, ფსიქიატრიულში. ყოველდღე სკალპერი, გაფატრული ადამიანები და შედედებული სისხლი... ედი მეკინგმა წუთით ჩათვლიმა, მერე სწრაფად გამოერკვა, დაამთქნარა და ფაციფუცით წამოვარდა.

◎

რიჟრაჟი იწყებოდა, ედი მეკინგი და ჯეკ სტივენსი სანაპიროს რომ მიუახლოვდნენ. მეკინგს მანქანა ნელა მიჰყავდა. ხანდახან მზერას ბებერ პალმებს მოაშორებდა და სტივენსს გადახედავდა.

— ხომ არ გავშორდით, სტივენს?

— არა, სერ ის ადგილი კარგად მაქვს დანიშნული, ხუთი ძალიან მსხვილი პალმა დგას ერთად. სამი ზღვისკენაა წაწეული სამკუთხედისებურად, ორი მათ უკან დგას. უეჭველად ვიცნობ, ჯერჯერობით მეხსიერება კარგი მაქვს.

ედი მეკინგმა თავი დაიქნია.

მანქანა ნელა, ზანტად მიიოლავდა. სახლები მხოლოდ მარცხენა მხა-

რეს იდგა. თუჯისა და ბეტონის ჭუფრი შენობები ერთმანეთს ქათმის კვერცხებივით რომ ჰგავდნენ, ჯარისკაცებივით ჩამდგარიყვნენ ულაზათო რიგში. მარჯვენა მხარეს ოკეანის ლურჯი ფონი გადაჭროდა მიდამოს.

ცოტაც რომ გაიარეს, ჯეკმა მკლავზე მოქაჩა მეკინგს.

— სერ, მგონი მოვედით. აბა, შეაჩერეთ მანქანა!

ექიმმა მანქანა მაშინვე დაამუხრუჭა.

— ხომ არ ცდებით, სტივენს?

— არა, ნამდვილად ეს ადგილია. აი სამი ლამაზი პალმა, ორიც კიდევ მათ უკან.

სტივენსი მანქანიდან ჩამოვიდა, უკანა კარი გახსნა და იქიდან დიდი ყვითელი ჩემოდანი ძლივს გადმოათრია.

— სტივენს, მოიცადეთ, მოგეხმარებით.

დაუძახა მეკინგმა.

— არაუშავს, სერ, მეც მოვერევი.

სანამ მეკინგი წამოეწეოდა, ჯეკმა პალმების მიმართულებით თითქმის ორცმოდაათიოდე ფუტი გაიარა. მერე შეჩერდა, ჩემოდანი დადგა.

— სერ, ხედავთ? ჩვენი წყალქვეშა კატარღის შუქი ჩანს. ორი ყვითელი და ერთიც წითელი ნათურა ერთად ინთება და ქრება.

მეკინგი ჭოშინით წამოეწია.

— სერ, აჯობებს გაბრუნდეთ. უკვე სამშვიდობოს ვარ. იცოდეთ, მისტერ ედი მეკინგ, არასოდეს არ დავივიწყებ თქვენს ამაგს.

სტივენსმა გამხდარი, ცივი ხელი გაუწოდა.

— სერ, ყოველივე ეს გავაკეთე არა პირადად თქვენი პატივისცემით, არამედ მეცნიერებისათვის. უბრალოდ, არ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი.

— ვიცი, სერ ნახვამდის.

სტივენსმა ჩემოდანი აიღო. ელექტრონის ბოძივით დაყუდებულ მეკინგს ხელი დაუქნია და ოკეანისაკენ წავიდა.

მეკინგი იმ წუთშივე უკან არ გამობრუნებულა. დიდხანს იდგა ხუთი პალმის ახლოს. დაინახა, როგორ გაიძრო ტანსაცმელი ზღვასთან მისულმა ჯეკმა. შარვალი, ფეხსაცმელი, პერანგი ერთმანეთზე დაახორავა. მერე თითქოს რაღაც ირონიით დახედა ტანსაცმლის გორას. ჩემოდანი აითრია და ოკეანის ტალღებში ჩაწვა.

იმავ წუთს ის პატარა კატარღაც, ორფერ შუქს რომ იძლეოდა, მისკენ წამოვიდა.

ედი მეკინგი ნელა შემობრუნდა, მანქანისაკენ წამოვიდა, კარი ზოზინით გამოაღო და მძიმედ ჩაჯდა.

ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული აწი რაც უნდა გაეკეთებინა, პირდაპირ პოლიციის კომისრის რეზიდენციას მიაშურა. შენო-

ბას რომ გაუსწორდა, შესასვლელთან ფორმაში გამოწკიპული ორი პოლიციელი დაინახა. ექიმმა მანქანა პირდაპირ მათ წინ დაამუხრუჭა.

— სერ, ხომ ვერ მეტყვით, რა დროს მოდის კომისარი ემილ რიჯუეი?

პოლიციელებმა ექიმი მეკინგი მაშინვე იცნეს, გაიღიმეს და გასწორდნენ.

— ჯერ ძალიან ადრეა, სერ, ათ საათზე ადრე არ მოვა.

— გმადლობთ.

ჩაილაპარაკა მეკინგმა და გაზს ფეხი აუშვა. სწრაფად ჩაუქროლა ადმინისტრაციულ უბანს, ისევ სანაპიროზე გავიდა. სიჩქარე შეანელა. იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეკლა მთელი ოთხი საათი. შინ წასვლას აზრი არ ჰქონდა, გადაწყვიტა ისევ ქუჩებში ესეირნა.

მეკინგი თერთმეტის ათ წუთზე გამოცხადდა ადმინისტრაციულ შენობაში. მოწყენილი თუჯისფერი სახლი მძიმედ იდგა კოპწია პალმებს შორის, სევდისა და მწუხარების განწყობას ქმნიდა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, ეს მაშინვე იგრძნო ედიმ. რამდენი ხანია ცხოვრობდა ამ ქალაქში და თუჯისფერ სახლში ჯერ ფეხიც არ შემოცდენოდა, თუმცა საქმის კურსში კი იყო, რაც აქ ხდებოდა.

კართან ატუზულ პოლიციელს რომ ჩაუარა, მიესალმა. პოლიციელმაც თავი დაუკრა.

— ემილ რიჯუეი თუ მოვიდა?

ჰკითხა მეკინგმა.

— რასაკვირველია, სერ, უკვე აქ არის. მეორე სართულზე აბრძანდით. პირდაპირ მისაღებს მიადგებით.

— გმადლობთ.

თქვა მეკინგმა და ბეტონის ნაცრისფერ კიბეებს აჰყვა. მისაღებში ორმოცდაათამდე კაცი იცდიდა. ყველა თავისთვის განცალკავებულიყო, ან სიგარეტს ქაჩავდა. ანდა კიდევ ცალი თვალით გაზეთში იჭვრიტებოდა. ცალი თვალით იმიტომ ვთქვით, რომ მეორე თვალი შესასვლელისაკენ ეჭირა.

მეკინგი შევიდა და ასე ეგონა, თავი კვამლიან ცხელ ღუმელში შეგო. პერანგის ზედა ორი ღილი მაშინვე შეიხსნა და თავისუფალი სკამი შეათვალიერა. სკამი ფერადი მინის პატარა მაგიდასთან იდგა. მეკინგი სკამისაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა, გზადაგზა ადამიანთა ცნობისმოყვარე მზერასაც აწყდებოდა. ეს ადამიანები, თითქოს სადღაც შორს, ფარდის უკან მდგარიყვნენ, ერთწუთს გაზეთს გვერდზე სწევდნენ, თვალს შეავლებდნენ ექიმს და მერე ისევ იმ ხელოვნური ქაღალდის ფარდის უკან იმალებოდნენ.

მეკინგი მაგიდასთან რომ დაჯდა, იქვე ფერადი ილუსტრირებული

ქ. მარჯვის სახ. საჯ. სსრ
სახელმწიფო საბიბლიოთეკა

ჟურნალი „პოლიციის დღიურიც“ შენიშნა. მან იცოდა ასეთი ჟურნალი რომ გამოდიოდა, მაგრამ თვალი არასოდეს შეევლო. ახლა ჟურნალი ახლოს მიიჩოჩა და გადაშალა. პირველ გვერდზე ერთი უცნაური მკვლელობის შესახებ იყო წერილი დაბეჭდილი. ვინმე ჯო შერმანი მკვდარი იპოვეს საწოლში. ყველას ეგონა, მისტერ შერმანს არავინ დახმარებია, რომ ამ ქვეყნიდან ცოტა ნაჩქარევად აეკრა გუდანაბადი. მაგრამ, როცა ბალზამს უკეთებდნენ, ექიმებმა თავის ქალაზე, ზედა საფეთქელთან, ძვალში ჩასობილი გრძელი ლურსმანი აღმოაჩინეს. პოლიციამ დაიწყო ძიების გრძელი ძაფის რთვა. შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

მეორე გვერდზე ერთი ინგლისური ბანკის გაქურდვაზე ეწერა.

მეკინგმა ოთხი სტატია ჩაიკითხა და ჟურნალი გადადო. მერე თავი ზევით ასწია, შიშით გაიხედა, ხალხი კიდევ მომრავლებულიყო. ჰაერი უფრო ცხელი და ჩახუთული გამხდარიყო. ახლა შეამჩნია, რომ კართან ახალგაზრდა, ჩხირივით გამხდარი და სარივით გრძელი პოლიციელი იდგა და საზოგადოებას მოღუშული ზვერავდა, მეკინგი შეამჩნია, გაუღიმა, ადგა და მისკენ გამოქანდა.

— მისტერ მეკინგ, საოცარია, თქვენ აქ მობრძანდით?! ალბათ გაგჭირდეს? ასეთი თავზეხელაღებული გახდა ხალხი. ის კაციც კი არ დაინდეს, მუდამდღე მათ ჯანმრთელობაზე რომ ზრუნავს.

— არა ძვირფასო, არავის არ გაუჭირდივარ. პოლიციის კომისარი მინდა ვნახო.

— ახლავე მოვახსენებ, მისტერ მეკინგ.

— მერე ეს ხალხი! ხედავთ, რამდენი კაცი ელოდება?

— რას ამბობთ, აქ ხალხს რა გამოლევს! მაგრამ ისინი ყველანი ერთად თქვენს სკალპელადაც კი არ ღირან. მოითმინეთ სერ, ახლავე მოვახსენებ კომისარს.

მეკინგმა ისევ გააპროტესტა, მაგრამ ის აყლაყუდა აღარ შეჩერებულა, მაშინვე პლასტიკატის შავი კარისაკენ გაქანდა.

ექიმი უხერხულად შეიშმუშნა. დარბაზის საზოგადოებას გადახედა. ზოგს გაზეთი გვერდზე გადაედო და მეკინგს დაუფარავი შურით მიჩერებოდა. რამდენიმეს კიდევ შერჩენოდა გაზეთი და სახეს მის უკან მალავდა.

სწორედ ამ დროს შავი კარი სწრაფად გაიღო. ზღურბლზე პოლიციის კომისარი გამოჩნდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი კაცი იყო. ჩაფსკვნილი და ძვალმსხვილი. სახეც ლამაზი ჰქონდა. ჭალარა ბაკენბარდები ყურის ბიბილოებს ოდნავ ქვევით ჩამოცდენოდა.

მეკინგი შენიშნა თუ არა, სახე გაუნათდა, ორივე ხელი გაშალა და გამოქანდა.

— მისტერ მეკინგ, თვითონ მობრძანდით? აი ასეთი უყურადღებო

პაციენტი გყავთ. რამდენჯერ გადავწყვიტე თქვენთან შემომევლო. ვერ და ვერ იშნა, ვერ მოვიცალე.

მეკინგი დაიბნა.

— დიახ, სერ უნდა მოსულიყავით. როცა გამოგწერეთ, აკი გითხარით, ასეთი ოპერაციის შემდეგ პაციენტი თვეში ერთხელ ექიმებს უნდა ვაეჩვენოს-შუთქი.

— ვერ მოვიცალე, სერ. ხომ ხედავთ, რამდენი კაცი მელოდება. აქ ყოველდღე ასეა.

პოლიციის კომისარი ექიმს კაბინეტში შეუძღვა. გრძელ მაგიდასთან მიიყვანა, სკამი გამოსწია და დასვა.

— ასეა, ჩემო ძვირფასო მეკინგ. ვფიქრობ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, არავითარი ტკივილები და ჩხვლეტები აღარ მაწუხებს. მთელი ოცი წლით გავაახალგაზრდავდი. დავრბივარ, ვცურავ. თუ კი მცირედი დრო გამოვუნახე, ვვარჯიშობ. არც ვიღლები და არც არაფერი...

— კარგია, სერ.

ამოიხვნეშა ექიმმა, საათზე დაიხედა, მერე ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

—თქვენ ალბათ გეჩქარებათ, — თქვა პოლიციის კომისარმა, — გასაგებია, რამდენი საოპერაციოდ გამზადებული კაცი გელოდებათ. თქვენგან ხსნას ელიან. ეს თავათ გამოვცადე. არ გაგაცდენთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენი პაციენტი ძალიან კარგ მდგომარეობაშია.

მეკინგმა ამოიხვნეშა.

— ასა, იცით, რა სერ...

— ვიცი, ვიცი, თქვენ გსურთ მაინც გამშინჯოთ. გარწმუნებთ, ეს ზედმეტია. არაფერი არ მაწუხებს, საბოლოოდ განვიკურნე.

— ასა, სერ. საქმე რაშია იცით?

— დამიჯერეთ, ჩემო ძვირფასო მეკინგ, თავს კარგად ვგრძნობ. ახლა შეც ძალიან დაკავებული ვარ. მოდით, ნურც თქვენ და ნურც მე დროს ტყუილად ნუ დავკარგავთ.

ექიმი რიჯუეი წამოდგა. პერანგის ქობა ხელებით ჩამოიწია და ექიმის წინ გაემოიჭიმა.

მეკინგს სახეზე შიში გამოეხატა.

— სერ, მე...

—ნუ დარდობთ, კარამდე გაგაცილებთ, ქუჩამდეც გაგყვებოდით. ჯერ ხუთი გვყავთ, რამდენი კაცი მელოდება, ყველას უნდა მოვუსმინო.

ექიმმა რაღაც მოიფიქრა და მაშინვე სახე გაუნათდა.

— იცით, რა სერ, მაშინ სხვა დროს მოვალ.

— ჰო, შეიძლება. უფრო უპრიანია ვიზიტი 7-8 საათზე. თუმცა ისევ

უნდა გაგიმეოროთ, ყოველივე ეს ზედმეტია, წყლის ნაყვაა. გაშინჯვა არ მჭირდება,-თავს კარგად ვგრძნობ.

მეკინგი წამოხტა, კარისაკენ წაჩლახუნდა.

— ნახვამდის, ექიმო, თქვენ შესანიშნავი ადამიანი ბრძანდებით. დღეს ეს კიდევ ერთხელ დამიმტკიცეთ.

უთხრა პოლიციის კომისარმა კართან რომ მივიდნენ.

მეკინგმა რაღაც ჩაიჩიფჩიფა და ზღურბლს გადააბიჯა. დარბაზი ისევ გაიარა, გვერდზე არ გაუხედავს. კიბეებიც ასევე ჩაიარა და მანქანაში ჩაჯდა.

⊙

საღამოს რვისნახევარზე პოლიციის კომისარს კვლავ მოახსენეს ექიმი მეკინგი გეახლათო. რიჯუეი თავის ხელქვეითებთან პატარა თათბირს ატარებდა. უკმაყოფილოდ შეიმუშნა და მდივანს უთხრა: ცოტა ხანს დამელოდოსო.

მეკინგიც დაელოდა.

ემილ რიჯუეი თათბირს რომ მორჩა, კართან ისევ გამოჩნდა და ექიმს კეთილად გაუღიმა.

— ჩემო ძვირფასო, თქვენის მხრივ ეს უდიდესი ყურადღებაა, ისევ მობრძანდით ურჩი პაციენტის გასასინჯად. ასეთ ზრუნვას ჩემს მიმართ მეუღლეც კი არ იჩენს.

— შეიძლება, სერ?

— რასაკვირველია, მობრძანდით.

— ვხედავ, ახლა დრო გვაქვს.

— დიახ, ვფიქრობ შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ. თქვენს განკარგულებაშია ოცი წუთი.

რიჯუეიმ საათზე დაიხედა.

— ძალიან კარგი სერ, მე ათი წუთიც მეყოფოდა.

ხომ კარგად ბრძანდებით, სერ?

— ძალიან კარგად, ექიმო.

მეკინგმა ამოიხვნეშა.

— სერ, მე მოვედი, რომ...

ერთბაშად შავი კარი მიიშვლიპა, კაბინეტში ის აყლაყუდა ახალგაზრდა შემოვარდა, დილით რომ თავაზიანად შეხვდა ექიმს. კომისრის წინ გაიჭიმა და...

— მისტერ კომისარ, მეოცე რაიონში, მეცამეტე-ქუჩაზე ბომბი ააფეთქეს ბანკირ ნელსონის სახლში. ოჯახის ყველა წევრი დაიღუპა.

სახადილო მაგიდასთან ისხდნენ თურმე და ბომბიც მაგიდის ქვეშ აფეთქებულა.

კომისარი წამოვარდა.

— ჯგუფი მზადაა?

— მზად გახლავთ, სერ.

— მლვდივარ.

ის მაღალი პოლიციელი კარისაკენ გავარდა. უკან კომისარიც მიჰყვა. ემილ რიჯუეი ზედ კართან შემობრუნდა.

— მაპატიეთ, ექიმო, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ. იქნებ სხვა დროს შევხვდეთ ერთმანეთს. მე თვითონ მოვალ. დამიჯერეთ, როგორც კი დროს გამოვიძებნი, კლინიკაში გეახლებით, მაპატიეთ!..

გაოგნებული მეკინგი შუა კაბინეტში იდგა და არც კი იცოდა რა მოეშოქმედებინა.

მერე ვიღაც პოლიციელმა შემოიხედა. არაფერი უთქვამს, მაგრამ აგრძნობინა, რომ უკვე დრო იყო ისიც წასულიყო.

და მეკინგიც ნელა დაეშვა ბეტონის საფეხურებზე.

კლინიკაში რომ დაბრუნდა, უთხრეს ფსიქიატრიულიდან ისევ დარეკესო. სილვესტრ ენდროუ გეძებსო. მეკინგი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, დღეს მას ოპერაცია უნდა გაეკეთებინა ენდროუს ერთი პაციენტისათვის. რა მოხდა? მთელი დღე ისე გაატარა, ეს საქმე არც კი გახსენებია. სხვა დროს ასეთი რამ არ ემართებოდა.

მეორე დღეს ენდროუს ფსიქიატრიულში ოპერაციას რომ მორჩა, პოლიციის კომისარს დაურეკა. ემილ რიჯუეიმ უპასუხა, რომ ეს ორი დღე ძალიან ბევრი საქმე მაქვსო და ზეგისათვის გეახლებითო, მაგრამ ედი მეკინგი რიჯუეის ვიზიტს არ დაელოდა. მესამე დღეს თავათ ესტუმრა.

პოლიციის კომისარმა, ექიმის მობრძანება რომ მოახსენეს, მხრებში აიჩეჩა.

— პირდაპირ საოცარია, რა დაემართა ამ კაცს?

თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლიციის კომისარმა ექიმი მიიღო. რიჯუეი სამუშაო მაგიდასთან იჯდა და კარისაკენ მოქუფრული იყურებოდა.

— მისტერ მეკინგ, მე დღესაც არა მაქვს დიდი დრო. ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ. მოიტანეთ თქვენი სასინჯი და შეუდექით საქმეს.

— სერ, — თქვა ექიმმა, სკამი გამოაჩოჩა და ჩამოჯდა, — მე ამჯერად თქვენს გასასინჯად სრულებითაც არ მოვსულვარ, ბოლომდე უნდა მომისმინოთ. სახელმწიფოს წინაშე დიდი დანაშაული ჩავიდინე, შეგიძლიათ ჩემთვის ყველაზე უარესი საკანი მოამზადებინოთ.

რიჯუეიმ გაიცინა.

— თუ ისურვებთ, საკანის მაგივრად კოფეს შევუკვეთავ. თანახმა ხართ, ჩემო ძვირფასო?

— არა, სერ. უკეთესია საკანი შეუკვეთოთ.

მეკინგს ისეთი შეშფოთებული სახე ჰქონდა, პოლიციის კომისარი შეძრწუნდა.

— ოპერაციის დროს ვინმე ხომ არ შემოგკვდომიათ?

— არა, სერ. სახელმწიფო დანაშაული ჩავიდინე. ჩემს ხელში ოკეანის ფსკერიდან მოსული კაცი, იქაური ჯაშუში, და გავანთავისუფლე.

პოლიციის კომისარმა გულიანად გაიცინა.

— მაშ ოკეანის ფსკერზე ადამიანები ცხოვრობენ, არა? რა საშიში ამბებს ყვებით, ექიმო! ვეღარ გცნობთ. თქვენ თუ ასეთი ხუმრობა იყავით, ვერც კი წარმოვიდგენდი.

კაბინეტში ის აყლაყუდა პოლიციელი შემოვიდა.

— მისტერ კომისარო, მანქანა მზადაა.

პოლიციის კომისარი წამოდგა.

— ჩემო ძვირფასო, თქვენთან საუბარი ფრიად საინტერესოა, მაგრამ ახლა ამის დრო არა მაქვს. მოდით სხვა დროს შევხვდეთ და მაშინ გავაგრძელოთ. შემთხვევის ადგილზე უნდა წავიდე. ჭვემოთ უკვე მცლიდნენ.

ნახვამდის, ექიმო. შემოიარეთ სხვა დროს. რა კარგია, რომ ჩვენი ჯანმრთელობის შემოწმება გადაგიფიქრებიათ.

ნახვამდის!

პოლიციის კომისარი კაბინეტიდან ისე გავიდა, მეკინგისათვის ხელიც არც კი ჩამოურთმევია. კაბინეტში მაშინვე ის აყლაყუდა მდივანი შემოვიდა და ექიმს წინ აეტუზა.

— სხვა დროს მობრძანდით, ბი, უფრო თავისუფალი დრო რომ ექნება.

თქვა მან და სტუმარს ცივად შეხედა.

ედი მეკინგი კაბინეტიდან ფეხის თრევით გამოვიდა.

მეორე დღეს პოლიციის კომისართან დილიდან რეკავდა. ის აყლაყუდა პასუხობდა: მისტერ რიჯუეი კაბინეტში არ არისო. ბოლოს, თავი რომ მოაბეზრა, კომისართან შეაერთეს.

— გისმენთ, ექიმო!

მეკინგმა რიჯუეის ხმაში თავშეკავებული გაბრაზება იგრძნო.

— მე თქვენი ნახვა მსურს, სერ. ეს აუცილებელია.

— რა საკითხზე?

— ბი, ოკეანის ფსკერიდან მოსული იმ ჯაშუშის თაობაზე. მე ნამდვილად ვნახე ის...

— მისტერ მეკინგ, ამ საკითხზე სხვა დროს, ახლა ძალიან დაკავებული ვარ.

კომისარმა ყურმილი დაუკიდა და მაშინვე სილვესტრ ენდრიუსთან, ფსიქიატრიულში დარეკა.

— მისტერ ენდროუ, საქმის კურსში ხართ თუ არა, როგორაა ახლა მეკინგის ფსიქიური მდგომარეობა?

— დიახ, სერ, იგი ჯანმრთელი კაცია.

— ამ დღეებში ის უცნაური მოჩვენებებით ცხოვრობს. გთხოვთ დაინტერესდეთ!

— გასაგებია, სერ.

ენდროუს მაშინვე ის დღე გაახსენდა, მეკინგმა ოპერაცია რომ ჩაუშალა. მაშინვე თავში ხელი შემოირტყა.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, მეკინგი მთლად კარგად არ უნდა იყოს.

— გთხოვთ, კარგად გაერკვეთ.

პოლიციის კომისარმა ყურმილი დადო.

დილით მეკინგმა მანქანა ჩვეულებრივად თუჯისფერი სახლის წინ დააყენა. ნელა, წელისთრევით გადმოვიდა. სხვა დროს ასე არ დადიოდა, ახლა ერთბაშად მოტყდა.

ზოზინით შევიდა პოლიციის პრეფექტის შენობაში და ასევე ფეხისთრევით აჰყვა მეორე სართულისაკენ ბეტონის საფეხურებს. მოსაცდელში რომ გამოცხადდა, იქ უკვე იცდიდა ოცამდე კაცი და ქალი. ისხდნენ და მოთმინებით ელოდნენ თუ როდის მოიცლიდა მათთვის პოლიციის კომისარი.

მეკინგს შეხედეს და ჩუმად, თავისთვის ჩაიღიმეს. მეკინგი იმ მაღალმა პოლიციელმაც დაინახა. ოღონდ ამჯერად სრულებითაც არ გაღიმებია, პირიქით, შუბლიც კი შეეკრა. ადგა და ჩქარი ნაბიჯებით ექიმისაკენ წამოვიდა.

— რისთვის გარჯილხართ, ექიმო?

სტუმარმა ჩაახველა.

— პოლიციის კომისარი მინდა ვნახო.

— ალბათ ოკეანის ფსკერიდან მოსული ადამიანების საკითხზე.

— დიახ, სერ, მაგრამ ადამიანები კი არა, მე მხოლოდ ერთი კაცი ვნახე.

— ჩვენ ის კაცი უკვე შევიპყარით.

მეკინგმა ჩაიცინა.

— არა, სერ, თქვენ ის არ შეგიპყრიათ. ის კარგახანია უკვე სამშვიდობოსაა.

— დამიჯერეთ, ექიმო, ნამდვილად შევიპყარით. მაგ საკითხზე პოლიციის კომისარი თქვენ არ მიგიღებთ.

— არა, უნდა მიმიღოს.

დაიყვირა მეკინგმა.

— მოითმინეთ, მოვეთათბირები.

თქვა მაღალმა და შავ კარში გაუჩინარდა.

მეკინგმა მოსაცდელში გაიარა. მოეჩვენა, რომ დრო ძალიან ზანტად შიდიოდა. ის მაღალი ახალგაზრდაც არ ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, შავი კარი ისევ გაიღო და მეკინგი პოლიციის კომისრის კაბინეტისაკენ გაქანდა. მაღალმა პოლიციელმა გზა გადაუღობა.

— მოითმინეთ, მეკინგ. კომისარი ახლავე განთავისუფლდება და მიგიღებთ.

იმავ დროს მხარზე ვიღაცამ მძლავრი ხელი დაადო. ბერიკაცმა იქით რომ გაიხედა, მის გვერდით სილვესტრ ენდროუ დაინახა. მას თან ფსიქიატრიული საავადმყოფოს ორი ექიმიც ახლდა. ის ყმაწვილები მოჭიდავეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე მედიცინის მუშაკებს.

— ედი, — თქვა ენდროუმ, — ექიმი კაცი ხარ და უნდა გამიგო. აქ აყალმაყალის ატეხას აზრი არა აქვს. უმჯობესია, შენით ჩაჯდე მანქანაში, და საავადმყოფოსაკენ გაგაქანებ. დამიჯერე ედი, ჩვენ ხომ ძველი შეგობრები ვართ. დამიჯერე, შენთვის კარგი მინდა.

— სილვესტრ, ასე გამოდის მე გიჟი ვარ.

— არა, ედი. მაგას ვინ ამბობს, მაგრამ მთლად დალაგებულად ვერა ხარ. გიმკურნალებ და მოგარჩენ. სირცხვილია, აქ ხმაურს ნუ ასტეხ. მით უმეტეს, არაფერი გამოგივა.

— კარგი, სილვესტრ, მე მოვდივარ.

საავადმყოფოს მანქანაში რომ ჩასხდნენ, ედი მეკინგმა ენდროუს პიჯაკის კალთაზე მოქაჩა.

— სილვესტრ, შენ ისევ აღმერთებ ფერგიუსონს?

— რასაკვირველია, ედი.

მეკინგი გაჩუმდა. ცოტა კიდევ რომ გაიარეს, კვლავ მოქაჩა პიჯაკის კალთაზე ენდროუს.

— ის კაცი სიგიჟეს ებრძოდა, მაგრამ გიჟების მონადქცევას ქადაგებდა. ეს ძალიან შორს არ დგას ჰიტლერის ჭუჭყიანი აზრებიდან.

ენდროუმ სახეში ჩახედა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს.

— სილვესტრ, ნუთუ შენც გიჟი გგონივარ. მე ვნახე ოკეანის ფსკერიდან მოსული კაცი. გესმის, სილვესტრ? კაცი, რომელიც ზღვის ფსკერზე დაიბადა და ჩვენთან მოვიდა.

— ეს ძალიან საინტერესოა, ედი, მაგრამ შენ რომ იცოდე, ის კაცი ახლა ჩვენს პოლიციაში ზის.

— არა, სილვესტრ. უფრო დავიჯერებ იმას, რომ მეტყოდე, მისტერ სტივენსი ახლა წყალქვეშა ქვეყნის რესტორანში ზისო და მეგობრებს უყვება ჩვენზე შეთხზულ ანეგდოტებსო.

ამას კი დაგიჯერებდი.

— კარგი, ასე იყოს... ჩვენ უკვე მოვედით. ჩავიდეთ, ედი!

ენდროუს კაბინეტში რომ შევიდნენ, ედი მეკინგმა სავარძელი გამოაჩოჩა. ის იყო შიგ უნდა ჩამჯდარიყო, სილვესტრმა შეაჩერა.

— ედი, ჩვენ შემდეგ, უფრო გვიან ვისაუბროთ. ახლა მე სხვა პაციენტებთან მიმეჩქარება.

მაშინვე შეამჩნია თუ როგორ აენთო სახეზე ექიმი ედი მეკინგი.

— არ გეწყინოს, ედი. ჩვენ საკმაო დრო გვექნება საუბრისათვის.

ენდროუ შებრუნდა და ერთ იმ მოსულ ექიმს შეხედა.

— მისტერ ჯონსონ, წაიყვანეთ მისტერ მეკინგი თავის ოთახში.

მეკინგს არაფერი უთქვამს. კართან რომ მივიდა, შეჩერდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შემობრუნდა და ენდროუს თვალი გაუსწორა.

— მისტერ ენდროუ, ჩვენი ძველი მეგობრობიდან თუ კიდევ რაიმე დარჩა, ერთ რამეს გთხოვთ და შემისრულეთ.

— გისმენთ, მისტერ მეკინგ.

— დაივიწყეთ ფერგიუსონი და ლობოტომიას ნუ გამიკეთებთ. მე კიდევ გამოვდგები, როგორც ქირურგი.

კარი ნერვიულად გამოაღო და გავიდა. მას თან ექიმი ჯონსონიც გაჰყვა. ის მეორე ექიმი კი ისევ იქ დარჩა.

— მისტერ ენდროუ, რა მეთოდით ვუმკურნალოთ? — იკითხა მან.

ენდროუმ გაიცინა.

— გული მწყდება, რომ ახეთ დიდ ქირურგს ვკარგავთ, მაგრამ მე ვფიქრობ, მისთვის ლობოტომია აუცილებელია. გავუკეთოთ ლობოტომია და შემდეგ აფთიაქში გამოვუძებნოთ სამუშაო. ახალგაზრდა კაცია, რაიმე ხომ უნდა გააკეთოს.

— დიახ, ეგ სწორია, მაგრამ ვეჭვობ ლობოტომიის შემდეგ ის აფთიაქში გამოდგეს. აჯობებს ავადმყოფების თეთრეული ჩავაბაროთ. ამას კი ნამდვილად შესძლებს.

სილვესტრ ენდროუმ კედელზე დაკიდებულ დოქტორ ფერგიუსონის გადიდებულ სურათს შეხედა. გაიღიმა და ხმამაღლა ისროლა ბიბლიიდან მოტანილი ფრაზები.

— „და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი, და იქნა ნათელი“.

დასასრული შემდეგ ნომერში

ანანგანგრდული ხმები

გურამ არძენაძე

* * *

ბილიკ-ბილიკ, ხევ-ხევ, მთა-მთა,
მინდორ-მინდორ, ჭალა-ჭალა
თვალს სტყორცნი და ძლევად ჟამთა
გაიშლება წინ აჭარა.

შემოიხვევს გვანცა ღამეს,
დილას მზემდე მიაცილებს,
სიო ცისკრის ამბორ-ალერსს
ირგვლივ მიმოანაწილებს.

სულს დაიფრენს შარიშური
უკვდავების ნათელივით,
გრძნობა კეთილშობილური,
სიყვარულით დაფერილი...

განვლო გზები დაბინდული,
ლელოც ბევრჯერ გაიტანა:
თავდადება რაინდული
მოსდგამს დასაბამ-დანა

ღრუბელ-ღრუბელ, ტყე-ტყე, მთა-მთა,
სოფელ-სოფელ, შარა-შარა
თვალს სტყორცნი და მეკვლედ ჟამთა
გაიშლება წინ აჭარა!

მაია მახარაძე

დუჟილის ფლვაში

დადუმებულა სანაპირო ათასი ფიქრის,
თოლიები კი ბანაობენ დუმილის ფლვაში,
მთებზე ჩამოწვა შორსმჭვრეტელი თვალების ნისლი,
და სულ სხვაგვარი მომეჩვენა სამყარო მაშინ.
ზოგჯერ დამჭყივლებს თოლია და ფიქრებს მიფანტავს,
მოჩანს გორები დათოვლილი ჰორიზონტს იქით,
ჩემი ოცნებაც მათ გარშემო მიმოიფანტა
და თოლიებმა გაიყოლიეს ლამაზი ფიქრი.

ბადრი თევზაძე

* * *

რა ფრთხილი იყო ის ნაბიჯები,
საუკუნოდ რომ წელავდნენ წამებს.
ნეტავ სად იყვნენ კოლხი ბიჭები,
რომელ ანგელოზს უთევდნენ ღამეს.

რატომ არავინ ფხიზლობდა მაშინ,
კოლხეთის სული მიჰქონდა დიაცს,
როს გვჭირდებოდა მფრინავი რაში,
როცა გვპარავდნენ საოცრად დიადს..

და ბოლოს მისწყდა ის ნაბიჯები,
„არგოზე“ ჩუმად აუშვეს აფრა,
ნეტავ სად იყვნენ კოლხი ბიჭები,
როცა კოლხეთის საუნჯე გაქრა.

* * *

ჩემს გულში მაინც მზე იღიმება,
მაგრამ ზაფხულის სიცხით კი არა,
იმ გზაარეულ ყარიბის ღიმით,
ამ გზაზე ორჯერ რომ ჩაიარა.

ზამთრის ნისლის და ღრუბლის ფარდიდან
ფერგაცრეცილი მნათობი მიმზერს,
ვიცი ახდენა არ უწერია
შენი ტკივილით მოვლენილ სიზმრებს.

საღამოობით მზე ფერმკრთალ სახეს
ჩამოიბურავს შავი ღრუბლებით,
თავისთვის, ჩუმად, თბილ ცრემლებს
აფრქვევს,
არ ენანება მიწა სრულებით.

წვიმის წვეთები ბავშვის თვალებით
აჰკვრია ჩემი ფანჯრების მინას,
და შიშიანი ღამის თვალები
ათვალიერებს ჩემს მყუდრო ბინას.

ცივ საშანდლეში, მთრთოლვარე სანთელს
ღამის თვალები ცრემლებად დაღვრის,
მე კი მალულად ჩამეღიმება
და ჩავჩურჩულებ — მერწმუნე, არ ღირს.

სანთელი ნელი ტკივილით იწვის,
თავს კი ხანდახან თანხმობით მიქნევს,
ქარს მოაქვს სველი სურნელი ფიჭვის
და ტყეებისთვის წამართმევს ფიქრებს...

დრო კი უხედნი რაშის ჭიხვინით
შეაწრიალებს ქედებს ტყიანებს,
მე კი ვიტირებ იმ ბავშვის ცრემლით,
ზღაპრების თქმა რომ დაუგვიანეს.

მოგონება

შემომხვდი ჩემი სიყმაწვილის ჟამს,
როგორც ბაირონს მერი ჩევორსი,
ვით სევდიანი ლექსის თილისმა
ჩემს მახსოვრობას ისე შემორჩი.
სულს სიკვდილამდე გაჰყვება მაყრად,
რაც თავის დროზე დააკლდა სხეულს.
ხელის ცეცებით გეძებდი, მაგრამ
შენ გამირბოდი თვალებახვეულს.
ჩვენ ერთმანეთი დავთმეთ იაფად,
ვისროდით სიტყვებს როგორც
კამათლებს.
არ შემიძლია შურისძიება,
უბედური ხარ და ეს გამართლებს.
რა მოხდებოდა არას დაგიდევ,
მაგრამ მინდოდა გვერდით მყოლოდი
და ამას გარდა გახსოვდეს კიდევ
ორი სახელი ჰქვია მოლოდინს.
ერთი, როდესაც გიყვარს და ელი.
და აჩრდილივით დაგდევს იმედი.
ეს რომ გცოდნოდა, ამდენი წელი
ცხოვრებას ალარ დამიმძიმებდი.
ანდა აბადონს ელი დაღლილი
და გეუფლება სასოწარკვეთა,
უკვე ასაკში შესულ ბალღივით
არ შეგიძლია დადგე სარკესთან.
სიამის ნაცვლად დარდს იწვევ ბოლოს,
როგორც დამჭკნარი ვარდის ფურცელი,
ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ
მარტოობაში არის გულწრფელი.
მე დამივიწყეს ბაღში მერხებმაც,
ეს ერთი თვეა საწოლზე ვცხოვრობ,
ნუ გეშინია ვაჩვევ ხერხემალს,
რომ შემდეგ კუბო არ მეუცხოვოს.

ახლა ღამეა, წვიმის წვეთები
სუდარასავით ლამბავს უკუნეთს,
მოდით წვიმებო, როცა შევხვდებით,
მე გავჩუმდები, თქვენ იღუღუნეთ.
წვიმებო, ჩემო ღუღუნა დებო,
თქვენგან მრავალგზის ნაალერსები,
ნუ გეშინიათ, უყურადღებოდ
არ დაგტოვებენ ჩემი ლექსები.
მე ამ ღამესაც არ დავიძინებ,
დაღალულ თვალებს დავხუჭავ დილით,
ასე მგონია აბეზარ ჯინებს
შელამებისას მოაქვთ სიკვდილი.
ფიქრი კი თმებში მიცურებს ხელებს
და მეკითხება ნაზი ჩურჩულით —
ვინ შესწრებია საკუთარ ქელეხს,
ვის დაუნახავს შავი ურჩხული.
ოთახში წყვილი სანთელი ჩაქრა,
დაბნელდა ჩემი ფიქრის კარავიც,
ცხოვრებას ბევრი აგინებს, მაგრამ
მისი დათმობა არ სურს არავის.
მე კი ცხოვრება მინდოდა შენთვის,
არ გავურბოდი ცრემლს და იარებს,
როგორც ყოველთვის ყრუ არის
ღმერთი
და სურვილს ჩემსას არ ვაღიარებ.
ღმერთის იმედით ადამის ჯიშიც
აგებდა სიონს, მეჩეთს, მიხარეთს,
ჩვენ ყოვფლ ღამე ვბარდებით
სიკვდილს,
სინამდვილეში თავს ვიმძინარებთ.
მაგრამ სიკვდილი ნირშეუცვლელად
გველოდება და კიდევ დაიცდის,
რადგანაც იცის ბოლოს სუყველა
უფსკრულის პირას მივა თავისით.
გარინდებულა კაცივით ბინაც,
თითქოს მიმზერს და წარსულს იგონებს,
მე ამ კედლებზე დიდი ხნის წინათ
ვწერდი ცრემლებით სავსე
სტროფონებს:
„მიყვარხარ ძლიერ! ძვირფასო, რა ვქნა?!

ჩემი ცხოვრება გეტყვის დანარჩენს,
თუკი ოდესმე მოვარდა წარღვნა,
მე პირველ რიგში შენ გადაგარჩენ!“
ლექსისთვის, როგორც შენი სახელი,
მრავალი რამე არ გაინდობა,
ვერ მოგაწვდინე საშველად ხელი,
მე თვითონ ავცდი ნოეს კიდობანს.
ახლა ვწევარ და წარსულს ვიშუშებ,
როგორც დაჭრილი ომში სარდალი,
მე არას ვამბობ, თავად განსაჯე
ვინ მტყუანია და ვინ მართალი.
მე მთელი ღამე ვუსმენ და თითქოს
ჩუმად მღერიან სახურავებზე:
„სიმართლეს დიდი ხანია ვიცნობთ,
ჩვენ მხოლოდ იმის მომხრეს
დავეძებთ“.
თენდება, შავი ღრუბლების გროვა
ქარმა უხილავ მთისკენ გადენა...
სიმართლე ვიცით, ძვირფასო, ‘ოლონდ,
საჭირო არის ვისთვის რამდენად.
ღამენათევი ლამპიონები
ვალს იხდიან და თვალებს ხუჭავენ,
მრავალი შემხვდა ვარდის კონებით
მოხეტიალე სევდის ქუჩაზე.
ამურის ღმერთი დაუსაბამოდ
ყველა ჩვენთაგანს ბოჭავს თილისმით,
მე მეჩვენება თითქოს სალამოც
შეყვარებული იყოს დილისთვის.
ვერ გამიგია ყველაზე ერთგულს
ასე ულმერთოდ რად მაწვალებდი,
რად მიშორებდი შეუბრალებლად,
როცა დარჩენას მთხოვდი თვალებით.
ტყვეობით დაღლილს აღარ მინდოდა
ბორკილები და წასვლა ვარჩიე,
თუმცა გიყვარდი და ამიტომაც
არ გიმტყუნებდი ბავშვურ საქციელს.
მე მარტო დავრჩი განკიცხულივით
და ცხოვრებისთვის ძალას ვიკრებდი,

მინდა თუ არა არ კითხულობენ,
ისე მოდიან მწარე ფიქრები.
ვიღაც უცნობი თითქოს სარეცელს
შავი ხელებით სწევდეს ქვემოდან...
ბედნიერებას მისთვის გავექეც,
რომ ამით გული არა გტკენოდა.
ქარ-წვიმა ისევ კამათობს მშვიდად,
ხმის ამაღლებას ველარ ბედავენ.
უკვე გათენდა. ღია ფანჯრიდან
ვხედავ შავებით მოსილ დედაბერს.
ის — განწირული ამურის ელჩი
სიერთგულეთი ყველას აოცებს,
ყოველ ცისმარე ვარდებით ხელში
დადის მახლობელ სასაფლაოზე.
მასაც ეტრფოდა ყმაწვილი კაცი
და საათობით იდგა ჩინართან,
ბოლოს გაუწყდა საბრალოს ქანცი,
ახედა ცას და გაუჩინარდა.
მოხუცი ქალის ტანჯული სახე
მე სიკვდილამდე მემახსოვრება.
და ახლა მისთვის, ტკივილით ვამხელ,
მოგონებაა მთელი ცხოვრება.
ასე იქნება ვიდრემდე სული
დაქანცულ სხეულს გაისტუმრებდეს.
სევდიანია მუდამ წარსული,
თუ ტკბილი იყო ის მითუმეტეს.
არც შენ არ გითხრეს ოცნებით
შეძრულს
საკუთარ საფლავს თხრიდი თვითონვე,
თუ ძლიერ გინდა მოგართმევ ჩემს
გულს,
მაგრამ დიდი ხნით ვერ დაგიტოვებ.
ვერ დაგიტოვებ რადგანაც იგი,
გაწამებული ზღვით და დაისით,
ბავშვია, ვისაც ყველა მოუკლეს,
შემეჩვია და სხვებთან არ იცდის.
მე დამავიწყდა მეთქვა, წყვდიადში
უფრო ნათდება კაცის გონება.
შეჩერდა წვიმა — ბოდიშს თუ იხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამიმეტა დასალონებლად.
მე არ მეგონა, დარჩენილს მარტო,
ამხელა ზღვას თუ გადავცურავდი.
კედელზე ძველი ჰკიდია ჩარჩო,
მაგრამ გამქრალა შენი სურათი.
საცაა ალბათ მზეც გამოჩნდება,
ჩვენც სულ ცოტათი შეგვცვლის
ამინდი.

ქვეყანა ისევ იწყებს ცხოვრებას
მრავალნაცადი და მიამიტი.
ვინაც წარსული ვერაფრით დათმო,
მას მომავალიც ექცა არაკად,
არ მეშინია ტანჯვის, უბრალოდ,
რისთვის გეტრფოდი ის აღარა ხარ.
სინათლე ცოცხლებს მეჯლისში იწვევს.
აღარ იგრძნობა სევდის ნასახიც,
პატარძალივით მოკაზმულ მიწას
დავიწყებია თვისი ასაკი.
ვის რად სჭირდება სამყარო ვრცელი,
გამოკეტილი და უბინადრო,
და შენც, ძვირფასო, ნუ შემომწყრები,
ათასში ერთხელ თუ მოგინატრო.
ათასში ერთხელ თუ უნებლიეთ
გაგიფრთხო ძილი ჩემი ფიქრებით,
მსურს ერთმანეთი გვიყვარდეს ძლიერ
მაშინაც, როცა აღარ ვიქნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან შერვაშიძე

ჩერკასკიდან ჩერკასკამდე

კუტაისოვი გენერალ ტოტლებენის რუსმა მეომრებმა ხელთ იგდეს ქუთაისში თურქების განადგურების დროს. თურქი ეგონათ. ბიჭუნამ ქართულის გარდა სხვა ენა არ იცოდა და ვერ გაიგეს მისი გვარი და წარმომავლობა. პირველ ხანებში მას თურქს ეძახდნენ, შემდეგ ივანე შეარქვეს, გვარად კუტაისოვი მისცეს. როცა საქართველოში თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი რუსული ნაწილები სამშობლოში დაბრუნდნენ, ბიჭუნა სანკტ-პეტერბურგში მოხვდა, მას ყურადღება მიაქციეს. ბევრს უნდოდა იგი თავისთან წაეყვანა, მაგრამ ბიჭი თვალში მოუვიდა თვითონ ეკატერინეს.. იმპერატორი განაცვიფრა ყმაწვილის არაჩვეულებრივმა გარეგნობამ. ივანე კუტაისოვი შავგვრემანი იყო. ამ სამხრეთელს ლამაზ სახეზე განსაკუთრებული სიცხოვლით უბრწყინავდა ლამაზი თვალები. წლების შემდეგ, როცა კუტაისოვი დავაჟკაცდა, იგი მეფისწულმა პავლემ დაიახლოვა. მომავალი ხელმწიფე კუტაისოვის კბილა იყო. დიდი მთავარი რომ ესიამოვნებინა, კუტაისოვმა მამის სახელად პავლე გაიკეთა. ამით გული აუჩუყა თვითონ პავლეს, რომელიც მალე წაუდგა დედამისს — ეკატერინეს და სთხოვა, კუტაისოვი მისთვის დაეთმო. დედამაც სიამოვნებით აასრულა შვილის წადილი.

ამიერიდან დიდი მთავარი პავლე გახდა კუტაისოვის მფარველი. მალე მან კუტაისოვი პარიზში გაგზავნა კამერდინერის სამსახურის შესასწავლად.

პარიზში კუტაისოვმა სწავლაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და კამერდინერის სამსახურთან ერთად დალაქობაც ჩინებულად შეისწავლა. იგი ოსტატურად და გემოვნებით ახუჭუჭებდა თმას, შესანიშნავი პარიკმახერი დადგა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მან თავისი ხელოვნებით

ალაფრთოვანა დიდი მთავარი, გახდა მისი კამერდინერი და დალაქი. ყველას მიმართ იჭვით შეპყრობილმა პავლემ კუტაისოვს საკუთარი სიცოცხლეც კი მიანდო; მის დალაქს ხომ თითქმის ყოველდღე მიუწვდებოდა ხელი დიდი მთავრის ყელთან... მალე ივანე პავლეს ძე კუტაისოვი უფლისწულ პავლეს უახლოესი ადამიანი გახდა. დიდი მთავარი მტკიცედ იყო დარწმუნებული მსახურის ერთგულებაში... პავლეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სდევდა სიკვდილის შიში და დაძინების წინ პირადად ამოწმებდა სასახლის ყარაულს, მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდა დასაძინებლად.

ერთგულება და სიყვარული რომ დაემტკიცებინა, კუტაისოვი ყოველ ღამით პავლეს საძინებელი ოთახის ზღურბლთან შლიდა თავის ლოგინს და იტყოდა ხოლმე: „არავის ძალუძს შეაღწიოს დიდ მთავართან ისე, თუ ჩემს გვამს არ გადააბიჯებსო“. არაფერი ისე არ მოქმედებდა პავლეზე, როგორც ის, რომ ყოფილიყო საყვარელი ადამიანი და მონარჩი. მტკიცედ დარწმუნდა კუტაისოვის ერთგულებაში და მას სრული ნდობა გამოუცხადა. კუტაისოვი მეტად საზრიანი და გამჭრიახი ადამიანი იყო, ადვილად სწვდებოდა თავისი მონარქის ჭირვეული ხასიათის ყველა მხარეს.

კუტაისოვი ადრე დაწინაურდა და სულ მალე გახდა ყველაზე გავლენიანი პირი მეფის კარზე.

პავლემ მას გრაფის წოდება მიანიჭა და დააჯორწინა მდიდარ გრაფინიაზე. მალე მიიღო ჰოფმაისტერის ტიტული. ხოლო როცა იმპერატორი პავლე პირველი 1798 წელს მალტის ორდენის გროსმაისტერი გახდა, კუტაისოვს იმავე ორდენის ობერშტალმაისტეროობა უბოძა. მაგრამ კუტაისოვს კიდევ უფრო მეტი პატივი, ტიტულები და ორდენები ეწადა. 1796 წლის აპრილში, პავლეს მეფედ კურთხევის დროს, იგი წელებზე ფეხს იდგამდა, ყოველნაირად ცდილობდა, რომ ამ საზეიმო დღეებში იმპერატორის გულუხვობით ესარგებლა და წმინდა ანას ორდენი მიეღო. მაგრამ მისმა უდიდებულესობამ, გვირგვინის დადგმის საზეიმო დღეებით აგზნებულმა, განსაკუთრებით კი ლოპუხინას კდემამოსილებით დატყვევებულმა, კუტაისოვი მთლად დაივიწყა.

კუტაისოვმა, იმპერატორის უახლოესმა კარისკაცმა, მოზეიმეთა შორის ღარიბ ნათესავად და ჯილდოს მიუღებლობით განაწყენებულად რომ არ გამოჩენილიყო, თვითონ გამოიგონა თავისთვის ახალი ორდენი — ბრილიანტის გასაღები — ღილ-კილოზე დასაბნევად.

პავლემ თვალი მოჰკრა, კუტაისოვს მკერდზე რაღაც ორდენის მაგვარი უბრწყინავდა, და ისე გაეცინა, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა... კუტაისოვმა გაირტყა ცისფერი ლენტი ანას ორდენთან ერთად. შემდეგ კი პავლემ თავის უახლოეს კარისკაცს გრაფ კუტაისოვს კოხივით დააყარა ორდენები, ტიტულები და ბევრი სხვა სიკეთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პავლე პირველის კარისკაცთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს რომ ახლად ჩამოყალიბებულ კაზაკთა ლაიბ-გვარდიის პოლკში ერთ ესკადრონს მისი უდიდებულესობის პავლე პირველის ესკადრონი უწოდეს, ხოლო მეორეს — ევგრაფი გრუზინოვის ესკადრონი.

ეს 1796 წლის დეკემბერში მოხდა. მომდევნო წლის აპრილში კი, როცა ევგრაფი გრუზინოვი 27 წლისა გახდა, მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

ამ პოლკში ჩარიცხეს ევგრაფის ძმები — პოდპოლკოვნიკი პეტრე გრუზინოვი, როტმისტრი რომან გრუზინოვი და პორუჩიკი ათანასე გრუზინოვი. მალე პავლე პირველის ამალაში ჩარიცხეს ევგრაფი. იგი იმპერატორის ახლობელი კაცი გახდა.

ბევრი გაკვირვებული კითხულობდა: ვინ არის, საიდან არის ეს კაცი. ევგრაფი გრუზინოვის ასეთი სწრაფი აღზევება განსაკუთრებთ აღიზიანებდა ჰოფმაისტერ ივანე კუტაისოვს. იმპერატორის ახლობელთა შორის პირველი ადგილი მას ეჭირა. იგი არა მარტო უახლოესი მსახური იყო იმპერატორისა, არამედ მისი სამეჯნურო თავგადასავლების კომპანიონიც, მესაიდუმლეც. კარისკაცებს იმპერატორის შემდეგ ყველაზე მეტად კუტაისოვისა ეშინოდათ და ფიანდაზად ეგებოდნენ... და უცებ გრუზინოვი! საიდან გამოტყვრა იგი? ისღა აკლია კუტაისოვს, რომ ამ გაუთლელმა დონელმა კაზაკმა მეტოქეობა გაუწიოს. არა, ჰოფმაისტერი გრაფი ივანე კუტაისოვი ვერ მოითმენს, რომ ეს პირზე რძე შეუმშრალი ვიგინდარა გზაზე გადაელობოს. ელეც არ იყოს, კუტაისოვს გეში აელო, რომ მისი საყვარლის, ცნობილი ფრანგი მსახიობისა და სილამაზით საბელგანთქმულ მადამ შევალიეს გულში გრუზინოვის ტრფიალი იბუდებდა. და სხვა რალა იყო საჭირო, რომ ეს უღვთოდ ლამაზი ახალგაზრდა უსაზიზღრეს არსებად მოჩვენებოდა კუტაისოვს?!

გრუზინოვმა სხვა კარისკაცებსაც შურითა და ღვარძლით აუვსო გული. ხმა დადიოდა, თავად დედოფალი მარია ფეოდოროვნაც კი მოხიბლულა ამ გვარდიის ოფიცრის სილამაზემ.

ქალები ხომ მის გამოჩენაზე აღტაცებით ოხრავდნენ. ევგრაფი გრუზინოვი მართლაც მრავალ ათასში გამორჩეული კაცი იყო. ვაჟკაცური სახე ჰქონდა, ლამაზი კეხიანი ცხვირი, შუქიან თვალებს შავი მოშვილდული წარბები უჩრდილავდა, მისი ნიკაპი მტკიცე ხასიათზე მეტყველებდა. შავი, ტალღისებური თმა კიდევ უფრო გამოკვეთილად წარმოაჩენდა მისი სახის მომხიბვლელობას. ტანადაც მოხდენილი იყო, ანტიკურ ქანდაკებასავით ჩამოსხმული.

და მაინც, ხშირად, როცა ევგრაფი გრუზინოვი გაჭიმული იდგა იმპე-

ნატორის წინაშე რაიმე ბრძანების მოლოდინში, უჭირდა მრისხანე მონარქის დაჟინებული მზერის ატანა. პავლეს კი ხშირად ავიწყდებოდა ბრძანების გაცემა, რადგან მას მუდამ აღტაცებას ჰგვრიდა მისი მსახურის სილამაზე, გულში კი იწყევლებოდა, რომ ეს ბედის რჩეული, უბრალო კაზაკთა ესაულის შვილი, აპოლონის სახით მოვლინებოდა ქვეყანას, ის კი უზარმაზარი იმპერიის მბრძანებელი თითქმის მახინჯად გაჩენილიყო. მართალია, პავლე პირველი სარკის წინ ხარბად ეკეკლუცებოდა თავის თავს, მაგრამ სულის სიღრმეში, მით უმეტეს ევგრაფი გრუზინოვის გვერდით, ნათლად გრძნობდა რა სილამაზის პატრონიც იყო. და მაინც იმპერატორი კეთილ მოწყალედ ეპყრობოდა ევგრაფის.

ან კი რა გასაკვირია, სილამაზე ხანდახან ეშმაკსაც მოინადირებს.

◎

გრაფ კუტაისოვს თავის სახლში ვახშამი მოეწყო და სხვებთან ერთად საგანგებოდ მოეწვია პოლკოვნიკი ევგრაფი გრუზინოვი, რომელსაც იგი ვერ იტანდა და მის დასამხობად მარჯვე მომენტს ეძებდა.

— აჰა, ბატონებო, უკვე დროა ზღვარი დაედოს საფრანგეთის ასეთ უტიფარ მისწრაფებებს. მან ერთიმეორეზე დაიპყრო სხვისი ქვეყნები. მისი საზღვრები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ნაპოლეონმა ჯერ კიდევ შარშან იტალიაში განაცხადა: შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ შევალთ იმ დასკვნამდე, რომ ინგლისის დასამორჩილებლად პირველყოვლისა საჭიროა დავიპყროთ ეგვიპტე... და აი, ინებეთ, იგი უკვე ეგვიპტეშია და გზად ხელთ იგდო მალტა, რომლის დიდი მაგისტრია ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორი. ეს ხომ ყოვლად დაუფარავი გამოწვევაა, — აღშფოთებით ამბობდა კუტაისოვი და თვალებში უმზერდა ყველას, განსაკუთრებით კი გრუზინოვს.

— მერე და რა? — ჩაილაპარაკა გრუზინოვმა. — ნაპოლეონი იმიტომ არის ნაპოლეონი, რომ მისგან სხვას არაფერს არ უნდა მოველოდეთ.

კუტაისოვი უკმაყოფილო თვალებით მიაცქერდა გრუზინოვს.

— თქვენ თქვით... მერე და რაო... ის რომ უკვე დროა საფრანგეთის იარაღის წინსვლას ჯვარი დაესვას. ამას მხოლოდ ჩვენ და ინგლისი გავაკეთებთ.

გრაფი ძლიერ ნანობდა, რომ მის სიტყვებს ვერ ისმენდა ინგლისის ელჩი ლორდი უიტვორტი, რომლის აგენტის როლს თავგამოდებით ასრულებდა რუსეთის ტახტის უახლოესი მსახური.

— ახლა კი ნება მიბოძეთ, პოლკოვნიკო გრუზინოვო, — ალერსიანი ხმით დაიწყო კუტაისოვმა, — თქვენი სადღეგრძელო შევსვა. — თქვა და ბოლომდე გამოცალა ბროლის ბოკალი.

— გმადლობთ, თქვენო მაღალმატებულებავ, — თავზიანად მოსა-
სენა გრუზინოვმა და მანაც ბოლომდე გამოცალა ბოკალი.

— ამას წინათ სასახლეში გამართულ აღლუმზე თქვენ ხომ ქართუ-
ლად ესაუბრებოდით მის ბრწყინვალებას პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს?
— შეეკითხა კუტაისოვი.

— ჩვენ ხომ ქართველები ვართ. — უპასუხა გრუზინოვმა.

— მერე და რა, ჩვენც საქართველოდან ვართ...

— მე ვატყობ, თქვენ ძლიერ გაინტერესებთ, საიდან ვართ, ვინა
ვართ... და აი მეც მოგახსენებთ.

— არა, ჩემო ძვირფასო, — გაუღიმა კუტაისოვმა, — მე მინდოდა
მეთქვა, რომ დიდი ხანია დამავიწყდა ეგ ენა.

— გთხოვთ მაპატიოთ, თქვენო მაღალმატებულებავ, მე მაინც ვი-
ტყვი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაივიწყო მშობლიური
ენა, თუკი იგი ნამდვილად მშობლიურია.

— მე კი ასე ვფიქრობ, რომ ყოველი ადამიანის მშობლიური ენა
უნდა იყოს ენა იმ ქვეყნისა, სადაც ცხოვრობ და რომელიც გასაზრდოებს.
— დამრიგებელი ტონით თქვა კუტაისოვმა და ასეთივე ტონით განაგრძო
— როცა ქართულად ლაპარაკობენ, მე თანდათან მახსენდება ზოგიერ-
თი სიტყვა. თერთმეტი წლისა ვიქნებოდი, რუსეთში წამომიყვანეს და ამ
ხნის განმავლობაში ენაც დამავიწყდა და ყოველივე ქართული. ბუნდოვ-
ნად მახსოვს დედა და არც მამა მახსოვს ძალიან კარგად. ვიცი, რომ პაპა-
ჩემი სვანეთიდან დაშვებულა და ქუთაისში დაბუდებულა. გვარად კიკია-
ნები ვყოფილვართ. მამაჩემი ოსმალთა მხარეს გადასულა და მუსლიმა-
ნობა მიუღია. იგი მთელი თავისი ოჯახით ქუთაისში ცხოვრობდა „უქი-
მერიონის“ ციხე-სიმაგრეში, რომელშიც თურქები იყვნენ გამაგრებული.
და როცა რუსთა ჯარმა თურქები დაამარცხა, მე ტყვედ ჩამიგდეს და მა-
ლე აქ აღმოვჩნდი... თვითონ ეკატერინემ მომაქცია ყურადღება და უფ-
ლისწულსაც შევუყვარდი. მათი მფარველობა და სიკეთე არასოდეს არ
დამავიწყდება... ახლა კი, როგორც ხედავთ, თვითონ მისი უდიდებულე-
სობა პავლე პირველი ჩემი მფარველი უფალია და მე მისი მონა-მორჩი-
ლი, ერთგული და თავდადებული კარისკაცი ვარ. ჩვენი მეფე ერთ დღე-
საც ვერ გაძლებს უჩემოდ, ისე ვუყვარვარ ერთგულებისათვის. ვინც ჩე-
მთან იმეგობრებს და ჩემი ერთგული იქნება, არც მას დააკლდება მეფის
წყალობა და მფარველობა. მოდით, შევსვათ ჩვენი მეგობრობისა და
ურთიერთ პატივისცემის სადღეგრძელო.

კუტაისოვი წყალნარევ ღვინოს სვამდა. გრუზინოვს კი მაგარი სასმე-
ლით უვსებდა ბოკალს.

— საინტერესოა, როგორ მოხვდით დონზე, როგორ გახდით კაზაკი?
— ალერსიანი ღიმილით შეეკითხა კუტაისოვი გრუზინოვს.

— ჩვენ თქვენთან ერთად საქართველოს ერთი და იგივე კუთხიდან ვართ, თქვენო მაღალმატებულებავ. ჩემი პაპა რომანოზი იმერეთიდან გამოიქცა რუსეთში და დონის კაზაკად ჩაერიცხა ჩერკასკში, სადაც მას გვარად გრუზინოვი შეარქვეს. წინათ ნამჩევაძეები ვიყავით. დონი, ჩერკასკი პაპაჩემისა და მამის მეორე სამშობლო გახდა.

მამაჩემი იოსებ რომანის ძე გრუზინოვი ჩერკასკში ოჯახს მოეკიდა. მე მისი პირველი ვაჟიშვილი ვარ... ჩემი მომდევნო პეტრეა, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ. შემდეგ კიდევ ოთხი ვაჟი შეეძინა მამაჩემს, ისინიც ჯარში არიან. მამაჩემმაც მთელი სიცოცხლე ჯარში გაატარა. იგი მრავალი ომის მონაწილეა. პოდპოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია. რამდენიმე წლის წინათ დამბლა დაეცა და ახლა ლოგინზეა მიჯაჭვული. მას ჩერკასკში ნათესავები და ახლო მეგობრები უყვარდა. ჩვენ კი, მისი შვილები, მე და ჩემი ძმა პეტრე, ისევე როგორც უმცროსი ძმები ათანასე, რომანი და ნიკოლოზი, სიყრმიდანვე ჯარში ვართ და შეძლებისდაგვარად ვემსახურებით მეფესა და სამშობლოს.

— მეფესა და სამშობლოს... ჰო, რასაკვირველია, მეფესა და სამშობლოს, — დიდმნიშვნელოვნად გაიმეორა კუტაისოვმა, — აბა სხვანაირად როგორ შეიძლება. მოდით, შევსვათ ჩვენი დიდებული მეფისა და სამშობლოს სადღეგრძელო, ჩემო სისხლით ნათესავო და მეგობარო!

— მაპატიეთ, მეტი აღარ შემიძლია... დილით ადრე ვახტ-პარადზე უნდა გამოვცხადდე ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე.

— როგორ, მეფისა და სამშობლოს სადღეგრძელოს არ შესვამთ? — გაიკვირვა კუტაისოვმა. — მეფე, რომელმაც თქვენ ასეთი პატივი დაგდოთ, ნუთუ ამის ღირსი არ არის?! მე, მაგალითად, თქვენს ადგილზე მისი იმპერატორობითი, უდიდებულესობის სადღეგრძელოს ღვინოს კი არა, შხამსაც შევსვამდი.

გრუზინოვი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მთვრალი იყო, კონტროლს არ კარგავდა, მიუხვდა კუტაისოვს და ხმამაღლა წამოიძახა:

— ეს ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის დღეგრძელობის იყოს. — და ბოკალი ბოლომდე გამოცალა.

— გაამოთ! — კუტაისოვმა გაუღიმა გრუზინოვს. მერე მხარზე ხელი დაადო და შემპარავი კილოთი შეეკითხა. — გავიგე, რომ საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობთ... ეს კი თქვენს მდგომარეობას არ შეეფერება. მე კარგად მახსოვს, იმპერატორის სპეციალური რესკრიპტით თქვენ „მუდმივ მფლობელობაში“ გებოძათ მამრობითი სქესის ათასი სული გლეხი, აქედან 600 სული მოსკოვის გუბერნიაში, ხოლო 400 ტამბოვის გუბერნიაში. მათ ჩასაბარებლად არც თქვენ და არც თქვენი რწმუნებული არ გამოცხადებულა. თქვენი ყმებისაგან აღებული გადასახადი ინახება ორივე გუბერნიის სამმართველოში, თქვენ კი ხელმოკლედ ცხოვრობთ... საკვირ-

ველია... ნუთუ ასე აფასებთ მეფის წყალობას?! ნუთუ საკუთარ თავს მაინც პატივს არ სცემთ?! მე არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო თქვენს ასეთს მდგომარეობას. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ერთი სისხლისა და ერთი მოდგმის ადამიანები ვართ...

— თქვენ ოდესმე თუ გინახავთ, როგორ ცხოვრობენ ეს გლეხები, ეს უუფლებო ყმები? გინახავთ თუ არა, თქვენო მაღალმატებულებავ? — გრუზინოვს ეტყობოდა, ღვინო მოჰკიდებოდა, თვალებს აბრიალებდა და ხმამაღლა ამბობდა, — ნუთუ სინდისმა არ უნდა შეაწუხოს ისინი, ვინც სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს და ნეტარებს, როცა მათი უუფლებო მარჩენალები აუტანელ შრომაში, შიმშილსა და გაჭირვებაში ღაფავენ სულს? ეს ხომ... ეს ხომ, ღმერთმა უწყის რა არის. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, არა, არა, არა...

გრუზინოვმა ხმას აუწია. ეტყობოდა, ღვინომ ძლიერ იმოქმედა, თავი ველარ შეიკავა და ხმამაღლა გადმოაფრქვია გულში ნადები. ამ დროს კუტაისოვს ბოკალი დაუვარდა, ეტყობოდა განგებ გააკეთა... და ფართოდ გაღებულ კარებში გამოჩნდა მადამ შევალიე, ევგრაფი გრუზინოვი გონს მოვიდა, თვალები ძლივს გაუსწორა ამ საოცრად ლამაზ ქალს და თაყვანისცემის ნიშნად მის წინაშე სმენაზე გაჭიმულმა თავი დახარა. მადამ შევალიემ მარჯვენა ხელი გაუწოდა გრუზინოვს. იგი მრავალკარატიანი ბრილიანტებით შემკულ ქალის ხელს მოწიწებით ეამბორა.

◎

როცა კუტაისოვმა გრუზინოვს მეგობრულად თხოვა, მადამ შევალიე სახლამდე მიაცილე, მე თავს ცუდად ვგრძნობ, გრუზინოვი დათანხმდა. მადამ შევალიეს მდიდრულ კარეტაში ევგრაფი გრუზინოვი და მადამ შევალიე ერთხანს ჩუმად იყვნენ, ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. მაგრამ უცებ მადამ შევალიე სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველად ალაპარაკდა — ვნებიანი ალერსით შეიპყრო შეუდრეკელი, ამაყი მამაკაცი... და მადამ შევალიეს დაჟინებითი მოთხოვნით, საკუთარი სახლის ნაცვლად, მისი კარეტა გრუზინოვის სახლთან გაჩერდა.

◎

მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი ევგრაფ გრუზინოვს. იყო მონა ალმსრულებელი და იყო მეფე მბრძანებელი ვნებისა და სილამაზის ქალღმერთისა. სასახლეში წასვლის დრომ მოაწია. სასახლის პლაცზე გამართულ ვახტ-პარადზე ევგრაფი გრუზინოვს თავისი პოლკის სახელით პირველს უნდა მიეცა პატაკი იმპერატორისათვის. წამოდგა, ტანთ ჩაიცვა. ვერ გაბედა ლოგინზე გაწოლილი ქალის გაღვიძება. საწოლი ოთახიდან

ფრთხილად გავიდა, მსახურს უბრძანა, როცა ქალბატონი გაიღვიძებს, სა-
კადრისი საუზმე მიართვი და ყველა მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრუ-
ლეო. თვითონ თავის ლურჯას მოაჯდა და სასახლისკენ გასწია.

როგორც კი წავიდა ევგრაფი გრუზინოვი, მადამ შევალიემ თვალები გაახილა, წამოდგა და სანამ მორთვას შეუდგებოდა, უმალ საწოლი ოთახის ყველა კუნჭული გაჩხრიკა. იქ რომ ვერაფერი ნახა, კაბინეტში გავიდა, საწერი მაგიდის ყველა უჯრა გულმოდგინედ გასინჯა, წიგნის კარადებიც არ დატოვა გაუჩხრეკავი, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი ვერ ნახა ისეთი, რაც კუტაისოვისათვის იყო საინტერესო — გრუზინოვის ნაწერები. ბოლოს შემთხვევით წააწყდა სქელ რვეულებს, რომლებიც რაღაც ჩანაწერებით იყო სავსე. მადამ შევალიემ რუსული კარგად არ იცოდა და ვერაფერი გაუგო ნაწერებს, მაგრამ ისინი თავის ჩანთაში ჩააწყო და ერთი საათის შემდეგ უკვე გრაფ კუტაისოვის კაბინეტში იჯდა. კუტაისოვი გატაცებით კითხულობდა ევგრაფი გრუზინოვის ნაწერებს. თმა ყალყზე უდგებოდა და ხშირად წამოიძახებდა ხოლმე: „ანტიქრისტე, იაკობინელი, ჯოჯოხეთური წამებისა და სიკვდილის ღირსია“. შიგადაშიგ ხმას აუმაღლებდა: „უნდა დაემხოს მონარქია, დაემხოს ერთი კაცის ბატონობა მთელ ხალხზე“, „ხალხთა ბედნიერების დასამყარებლად და ამ ბედნიერების დასაცავად საჭიროა შეიქმნას 200-ათასიანი არმია, რომელსაც მე თვითონ ჩავუდგები სათავეში“; „სტამბოლიდან უნდა განიდევნონ თურქები და იგი გამოცხადდეს ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად; იქვე უნდა დაარსდეს სენატი, რომელიც უნდა გამოხატავდეს მზის ქვეშ მცხოვრები ყველა ადამიანის სურვილს“; „სენატმა უნდა შეიმუშაოს ისეთი კანონი, რომ ის ყველასათვის მისაღები იყოს და ყველას ჰქონდეს შესწავლილი, დაზეპირებული და მის მიხედვით იქცეოდეს:“ სენატმა „ბრძნულად უნდა შეიმუშაოს კანონი, რომელიც... ყველა ადამიანისათვის უნდა იყოს იმდენად სასარგებლო, რომ არც ახლანდელმა და არც მომავალმა თაობამ არ უარყოს;“ „კანონში არის ბევრი რამ, რომელიც სრულიად ზედმეტია“; „აზრის თავისუფლება მოითხოვს, მისთვის ვერავინ ვერ შეძლოს საზღვრების დადება“; „უნდა შეწყდეს შუღლი და მტრობა სხვადასხვა ხალხთა შორის, აღიარებული იქნას საყოველთაო თავისუფლება. მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქში უნდა დასახლდეს სხვადასხვა ხალხები...“

ბრაზისაგან ჰარხალივით გაწითლებული კუტაისოვი სიხარულსაც ვერ მალავდა. დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი გააცნობდა ხელმწიფე-იმპერატორს გრუზინოვის ნაწერებს, გრუზინოვს სიკვდილი არ ასცდებოდა და სამუდამოდ ჩამოიშორებდა საშიშ მეტოქეს. მადამ შევალიე კუტაისოვმა ძვირფასი ბრილიანტის კოლიეთი დაასაჩუქრა. ამბობენ ეს კოლიე ათი ათასი ოქროს მანეთი ღირდაო. როცა მადამ შევალიე შეეკით-

ხა, ასეთი რა წერია იმ ქაღალდებშიო, კუტაისოვმა კმაყოფილების გამოსახატავად ცბიერი ღიმილითა და ხელების ჯრესით უპასუხა:

— ამ ნაწერების მეოხებით იმ ვაჟბატონს ან ნაჯახით წააძრობენ თავს. ან გასახთლული ბაწრის მარყუჟში გააყოფინებენ, ანდა დილეგში ამოალპობენ.

მადამ შევალიემ წუთით წარმოიღგინა ევგრაფი გრუზინოვის ლამაზი თავი, სხეულს მოცილებული, და უნებლიეთ წამოიკივლა.

— ვიცი, — ზიზღით ამბობდა კუტაისოვი, — მთელი ღამე ლოგინში ნებივრობდით: ვიცი, თქვენი ვნებიანი ალერსით ყელამდე აავსეთ ის არამზადა, მაგრამ ამიერიდან მის ნახვას ვერასოდეს ვერ ელირსებით.

მადამ შევალიე ელვის სისწრაფით სწვდა გრუზინოვის ნაწერებს და აგიზგიზებულ ცეცხლში ჩააგდო... ჩააგდო და თვითონ ბუხარს გადაეფარა, საშუალებას არ აძლევდა კუტაისოვს, რომ ის ქაღალდები გამოეტაცა. კუტაისოვმა მაინც მოახერხა ორიოდე ნახევრად დამწვარი ფურცლის გადარჩენა. ამ ფურცლებზე მხოლოდ რამდენიმე წინადადება იყო გადარჩენილი: „უნდა დამყარდეს ბედნიერება მზის ქვეშ მცხოვრებ ყველა ხალხისთვის“. „კანონებში არის მრავალი რამ, სრულიად ზედმეტი“... „უნდა დაემხოს“... დანარჩენი სიტყვები ცეცხლმა დაფერფლა, მაგრამ კუტაისოვი მაინც დარწმუნებული იყო, ამითაც დააჯერებდა იმპერატორს, რომ გრუზინოვი მისი მტერია. ეჭვების ბუდემ პავლე პირველმა თუმცა დაიჯერა, მაგრამ სხვების რჩევით გადაწყვიტა გრუზინოვი ჯერ სიკვდილით არ დაესაჯა. მან დაუყოვნებლივ გაუგზავნა გრუზინოვს შემდეგი შინაარსის წერილი: „ბატონო პოლკოვნიკო გრუზინოვ! ამ ბარათის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ჩააბარეთ პოლკის მეთაურობა პოდპოლკოვნიკ გრეკოვს, თქვენ კი გამოცხადდით ჩემთან პავლოვსკში“. პავლე პირველი დიდხანს ესაუბრა გრუზინოვს, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, ევგრაფი გრუზინოვი დუმდა... და პავლემ ისევ სხვათა რჩევით ამჯობინა თვალყური ედევნებინა გრუზინოვისთვის, იქნებ დიდი სახელმწიფოებრივი დანაშაულის საქმე აღმოვაჩინოთო. ევგრაფი გრუზინოვი დააპატიმრეს და ბორკილდადებული გაგზავნეს რეველის ციხე-სიმაგრეში, რომ მისთვის თვალყური ედევნებინათ. ამავე დროს პავლე პირველმა რეველი ციხე-სიმაგრის კომენდანტს გენერალ-ლეიტენანტ გრაფ დე კასტრო ლაცერდას გაუგზავნა ასეთი წერილი: „ბატონო გენერალ-ლეიტენანტო, გიბრძანებთ ციხე-სიმაგრეში დაამწყვდიოთ თქვენთან გამოგზავნილი პატიმარი გრუზინოვი და მის მოქმედებასა და მიწერ-მოწერას ადევნოთ თვალყური“. რამდენიმე დღის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით ევგრაფი გრუზინოვის უმცროსი ძმა პეტრე გრუზინოვი სასახლეში გამოცხადდა. შეხვედრისთანავე პავლემ მას მრისხანე და დამცინავი ტონით მიმართა:

— ბატონო პოდპოლკოვნიკო, იაკობინელთა სული უდის თქვენს ბინძურ მოქმედებას იმპერატორის წინააღმდეგ. თქვენ მკაცრი სასჯელი დაიმსახურეთ. მე ვბრძანებ, მათრახებით გცემონ და შემდეგ ჩერკასკში გაგაძევონ ცხენების კუდების ამბმელად.

— თქვენ ალბათ შეიშალეთ, იმპერატორო! — ხმამაღლა წამოიძახა აღშფოთებულმა პეტრე გრუზინოვმა.

— დამაცა, მე შენ მუხლებზე დაგაჩოქებ, არამზადავ! — იღრიალა პავლემ და მრისხანებით სავსე თვალები მიანათა პეტრე გრუზინოვს, მაგრამ იგი არ დაიბნა და თამამად უპასუხა იმპერატორს:

— პეტრე გრუზინოვი იქნებ გატჩინელი გვარდიელი გგონიათ. ცდებით იმპერატორო! თქვენ ვერასდროს ვერ ელირსებით ცხენების კუდების აბმევინოთ იმას, ვინც რიმნიკის ბრძოლაში თქვენ მიერ მოძულებული დიდი სუვოროვის მეთაურობით თავგამოდებულად იბრძოდა რუსეთისათვის და თვითონ სულეიმან-ფაშას კვერთხი წაართვა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენ თავს ირთობდით გატჩინაში თქვენი ყბაღალებული გვარდიის ჯამბაზობით და თაყვანს სცემდით ყველაფერს პრუსიულს, მე სისხლს ვღვრიდი რუსეთისათვის და იარაღშემართული ვებრძოდი მტერს ოჩაკოვისათვის, პრაღისათვის, ვარშავისათვის, რიხთვისაც რუსეთმა სიყვარულით დამაჯილდოვა.

— იმპერატორის მიერ ნაბოძებმა ჯილდოებმა გაგაამაყა და გაგათავხედა, ახლავე ააგლიჯეთ ამ არამზადას მკერდიდან ჯვრები და ორდენები და სახეში მიაყარეთ, — ისტერიულად შეჰყვირა გააფთრებულმა პავლემ.

— ეს ჯილდოები მე მომცა მადლიერმა რუსეთმა და არა შენ, იმპერატორო! — ამაყად უპასუხა პეტრე გრუზინოვმა.

— ახლავე შეჰკარით! — ახლა უკვე ხრინწიანი ხმით იჩხავლა პავლემ, მაგრამ პეტრე გრუზინოვმა ხმალი იშიშვლა და ალბათ სისხლი დაიღვრებოდა, რომ დროზე არ მოესწროთ და ხელები არ შეეკრათ მისთვის. იგი დააპატიმრეს და ისევ იმ მიზნით, რომ მისთვის თვალყური ედევნებინათ და გამოეჭირათ დანაშაულში, რითაც დიდი საჭმის გახსნას ელოდნენ, პეტრე გრუზინოვი გაათავისუფლეს და ჩერკასკში გაგზავნეს.

პავლემ წინასწარ მისწერა დონის ჯარების ატამანს: „ბატონ გენერალ-ლეიტენანტ ოლოვაისკის! დონზე გგზავნით ლეიბ-გვარდიის პოლკის პოდპოლკოვნიკ გრუზინოვ-მეორეს და გიბრძანებთ მის მოქმედებაზე დააწესოთ ზედამხედველობა“.

მალე ევგრაფი გრუზინოვიც გაათავისუფლეს რეველის ციხე-სიმაგრიდან და ისიც ჩერკასკში გაგზავნეს ვითომცდა ავადმყოფი მამის სანახავად. ცხოვრობდნენ ძმები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები ლოგინზე მიჯაჭვული მამის სახლში, ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი, სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ. ევგრაფი დღე და ღამეს ასწორებდა წიგნების

კითხვაში და... წერდა, წერდა და ნაწერებს მალავდა ისე მოხერხებულად, რომ ვერავის შეეძლო მისი მიგნება. გარესამყაროსთან კავშირის დასამყარებლად მხოლოდ პეტრე გრუზინოვი თუ აკეთებდა რამეს, მაგრამ იგი ძლიერ შებოჭილი იყო, ჯაშუშები ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებდნენ, თუმცა ერთხელ როსტოვში ჩასვლა მოახერხა და იქ ვიღაცებთან კავშირიც კი დაამყარაო, ამბობდნენ კაზაკები. ჩერკასკში იმასაც კი ამბობდნენ, გრუზინოვები საქართველოში გაქცევას აპირებენ და იქ კავკასიელთა ჯარი უნდა შექმნან უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველადო. ბევრ რამეს ამბობდნენ ჩერკასკელები დონის კაზაკების საყვარელ ადამიანებზე. ისინი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის გმირებად მიაჩნდათ. ჩერკასკში მეფის მიერ გამოგზავნილი სპეციალური კომისია ჩამოვიდა გენერალ-ადიუტანტ კოჟინისა და კავალერიის გენერალ რეპინის შემადგენლობით. ეს კომისია დონის ჯარების ატამან ორლოვთან ერთად შეუდგა გრუზინოვების საქმის სასწრაფო განხილვას. გრუზინოვები დააპატიმრეს. ჩხრეკის დროს იპოვეს ევგრაფი გრუზინოვის ხელნაწერები, რომლებიც მოუწოდებდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ.

სამხედრო სასამართლომ გრუზინოვების საქმეზე განაჩენის გამოტანისას იხელმძღვანელა ადამისდროინდელი სამხედრო კოდექსით, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებდა. ყველა თავი და მუხლი ამ და სხვა კოდექსებისა, აგრეთვე 1780 წლის ბრძანებულების თავები და მუხლები ორი წვეთი წყალივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

მე-5 წიგნის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „თუ ვინმე რაიმე ბოროტებას განიზრახავს მისი უდიდებულესობის პერსონის წინააღმდეგ. ის და ყველა სხვა, ვინც ამაში ხელს უწყობდა ან რჩევას აძლევდა, ანდა იცოდა და ვერ გაამხილა, როგორც მოღალატე, შაყის კვრით იქნება მოკლული და მას უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოერთმევა“. „საეკლესიო კანონის“ მეორე თავის მე-19 მუხლში ნათქვამია: „თუ ვინმე იქნება ისეთი, რომელმაც გაიგო ან ყური მოჰკრა მეფის უდიდებულესობის წინააღმდეგ სადმე ხალხის თავშეყრას ან შეთქმულებას, ანდა სხვა რაიმე ბოროტ განზრახვას ხელმწიფეზე, მის ბოიარებზე, ხელმწიფის ახლობელ ადამიანებზე, ქალაქებში — ვოევოდებზე, საგანგებო მოხელეებზე და არ განაცხადა... სიკვდილით დაისჯება ყოველგვარი შეწყალების გარეშე“.

სამხედრო-სამსჯავრო კომისია „გრუზინოვების საქმეზე“ გამალებით ემზადებოდა. თავისი „მოკვლევა“ ამ საქმის თაობაზე 27 აგვისტოსათვის უნდა დაემთავრებინა. ამაზე ერთი დღით ადრე კი, 26 აგვისტოს, პავლე I-მა უკვე გადაწყვიტა ევგრაფი გრუზინოვის ბედი. იმპერატორის

მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში ნათქვამია: „პატივაყრილი პოლკოვნიკი გრუზინოვი ჩვენს და სახელმწიფოს წინააღმდეგ ღალატისათვის დაუნდობლად დაისაჯოს მათრახით და გაიგზავნოს გენერალ-პროკურორთან, ხოლო მისი მამული გადაეცეს ხაზინას.“ რას ნიშნავს „დაუნდობლად დაისაჯოს მათრახით?“ ეს იგივეა, რაც სიკვდილით დასჯა. სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ აგრეთვე კაზაკები — კოსმონინი, პოპოვი, აფანასიევი და კოლესნიკოვი. მათ ბრალი დადეს იმაში, რომ იცოდნენ ევგრაფი გრუზინოვის დანაშაულებრივი გამონათქვამები, დამამტკიცებელი საბუთიც ჰქონდათ, მაგრამ არსად არ გაამხილეს, თუმცა შემდეგ კი განაცხადეს, მაგრამ დაგვიანებით, ამიტომ მიეზღოთ მათ სიკვდილით დასჯა ყოველგვარი შეწყალების გარეშე“.

1800 წლის 4 სექტემბერს განაჩენი გამოუტანეს ევგრაფი და პეტრე გრუზინოვებს, აგრეთვე ოთხ კაზაკს, რომლებმაც ხელისუფლებს არ მოახსენეს ევგრაფი გრუზინოვის დამღუპველი გამონათქვამების შესახებ. პეტრე გრუზინოვს, როგორც მეფისა და სამშობლოს საშიშ მტერს, აგრეთვე აფანასიევს, პოპოვს, კოლესნიკოვსა და კოსმინინს იმის გამო, რომ მათ მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ გაგონილი მეტად საძრახი სიტყვები არ აცნობეს ხელისუფალთ, სასამართლოს განაჩენით მიესაჯათ სიკვდილი თავის მოკვეთით.

ევგრაფი გრუზინოვზე განაჩენში ნათქვამი იყო: „გრუზინოვის მიერ ჩადენილმა დანაშაულებებმა არსებითად საკუთარი აღიარება ჰპოვა, რაც თეთრად გადაწერილ მის პასუხებშიცაა, მაგრამ სიჯიუტით ხელი არ მოაწერა. შევუფარდეთ კანონებს და მას მიესაჯა ყველა ჩინის, აზნაურის ღირსების, პატენტების, ორდენების ჩამორთმევა და სიკვდილი შაყის კვრით“...

დაიწყეს ევგრაფი გრუზინოვით. 1800 წლის 5 სექტემბერს ბაზრის მოედანზე მორეკეს ჩერკასკის მოსახლეობა, რათა „ენახვებინათ ეგზეკუცია“. პოლიცია დილაადრიანად შეუდგა ამ საქმეს. „შევიყაროთ მოედანზე, სახელმწიფო საქმეა!“ — გაიძახოდნენ ცხენოსანი ოფიცრები. აქ ეშაფოტთან, მის კუთხეებში, ჯერ კიდევ ღამით დააყენეს ოთხი ქვემეხი... სილამაზისთვის კი არა, ხალხის დასაშინებლად; მოედანზე მორეკილნი მორჩილად რომ მდგარიყვნენ. ქვემეხების ლულები ოთხივე მხრიდან ჩერკასკელებისაკენ იყო მიშვერილი. ხალხს რომ არ ეფიქრა, გვეხუმრებიანო, მეზარბაზნეთა ხელში გამუდმებით ბოლავდა საფეთქილები. მოედნის განაპირას, სადაც პეტრეპავლეს სამრეკლო იყო აღმართული, ოფიცერთა დიდი ჯგუფი იდგა. ცენტრში მოჩანდნენ დონის ატამანის ვასილ პეტრეს ძე ორლოვის, გენერალ-ადიუტანტ კოჟინის და კავალერიის გენერლის რეპინის ფიგურები. გენერლებს საპარადო ფორმა ეცვათ და წარჩინების ყველა ნიშანი ეკეთათ. მოედანს გარს ერტყა

კაზაკთა გაძლიერებული რაზმი, რომელიც საბრძოლო მზადყოფნაში იყო. სიკვდილით დასჯის მოლოდინში მოედანზე ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო, რომ, როცა სამმა ჯალათმა ეშაფოტზე თავიანთი ნაჯახები ზედიზედ დაყარა, ხმამ მოედანს გრუხუნით გადაუარა. ატამანმა ორლოვმა მარჯვენა ხელი აღმართა. ამ ნიშანზე პოლიციის უფროსი, შორიახლო რომ იდგა, მყისვე სამრეკლოს თაღქვეშ გაუჩინარდა. ორი წუთის შემდეგ იქიდან პირველი თვითონ პოლიციის უფროსი გამოჩნდა, მის უკან კი ორი კაზაკი ზეაწეული შიშველი ხმლებით, კაზაკების უკან — ტუსაღი, მის უკან კიდევ ორი მოდიოდა ასევე ხმლებშემართული. როცა ტუსაღი ასეთი „საპატიო ამალის“ თანხლებით და მძიმე ბორკილების ჩხარუნით მოედნის ცენტრში გამოჩნდა და ეშაფოტისაკენ გაემართა, ხალხი აგუგუნდა.

სახეგატანჯული, წამებისა დ შიმშილისაგან ჯანგატეხილი, ფერმკრთალი, დაოსებული, მაგრამ ჯერ კიდევ ახოვანი და ლამაზი, დონის გვარდიული პოლკის პოლკოვნიკი ევგრაფი გრუზინოვი უცბად წელში გაიმართა და ამაყად შედგა ფეხი ეშაფოტის კიბეზე. მან ზეაწეული თავით არწივივით მოავლო თვალი ყველას და ყველაფერს. წამით მთელი მოედანი შეტორტმანდა. ქალებს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ, კაცები კი კბილების ღრჭიალით, ზიზღითა და სიძულვილით უმზერდნენ ატამან ორლოვს, გენერლებს კოჟინსა და რეპინს.

ეშაფოტთან აუდიტორი იუდინი მივიდა, მას ხელში განაჩენი ეჭირა. ჯერ ჩაახველა, შემდეგ ულვაშები გაისწორა და ხმამაღლა, ბოხი ხმით წაიკითხა განაჩენი. ამის შემდეგ ჯალათებმა გრუზინოვს ბორკილები აჰყარეს, მერე გააფთრებით ეცნენ და ტანსაცმელი შემოაგლიჯეს. ორმა მათგანმა, რომლებსაც გრუზინოვის ხმლის ვადა ეჭირათ, მახვილი თავზე გადაატეხეს მის ყოფილ მფლობელს, რომელსაც ეს იარაღი წარწერით „მამაცობისათვის“, მეფისა და მამულის ერთგული სამსახურისათვის მიეღო.

ნახევრად შიშველი ევგრაფი გრუზინოვი ღვედებით მიაკრეს ეშაფოტზე და სმენაზე გაჭიმულმა სამივე ჯალათმა მზერა ატამან ორლოვს მიაპყრო; ატამანსაც აღარ დაუყოვნებია, ცხვირსახოცის აქნევით ნიშანი მისცა. პირველმა ჯალათმა მათრახი მოიქნია და ევგრაფი გრუზინოვის შიშველ ზურგზე პირველი წითელი ზოლი გაჩნდა. ჯალათი თითქმის ერთი საათის განმავლობაში რიტმულად და დაუზოგავად სცემდა მათრახს და მრუხედავად იმისა, რომ გრუზინოვის ზურგი დაკეპილ ხორცს დაემსგავსა, კვლავ დიდი მონდომებით განაგრძობდა თავის ჩვეულ საქმეს. უცბად ჯალათს თავბრუ დაესხა, მათრახი ხელიდან გაუვარდა და, როცა გრუზინოვის ზურგს შეხედა, დაკეპილ ხორცის ფაფას რომ დამსგავსებოდა, თვალებზე ხელი აიფარა. ახლა საქმეს მეორე ჯალათი შეუდ-

ვა. თითქმის გონდაკარგული მსხვერპლი ძლივს სუნთქავდა, ჯალათიც მაინც დიდი მონდომებით სცემდა მათრახს. ნახევარი საათის შემდეგ მეორე ჯალათმა გასისხლიანებული მათრახი მესამეს გადასცა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა — ის ხომ უკვე აღარ სუნთქავს!

პოლიციელებმა მიირბინეს და ის-ის იყო გრუზინოვის გულისცემას ყური მიუგდეს, რომ ატამანმა ორლოვმა ნიშანი მისცა, ევგრაფი ეშაფოტიდან ჩამოეხსნათ. ატამანს მოახსენეს, იგი ჯერ კიდევ სუნთქავს და გონებაც არ დაუკარგავსო. სწორედ ატამანსაც ძალიან უნდოდა, ვიდრე გრუზინოვი პირველი სულს განუტევდა, მისთვის ნესტოები დაეგლიჯათ და იგი დაედაღათ. ეს იყო ორლოვის ყველაზე დიდი სურვილი. მას კარგა ხანია შეშურდა ამ გვარდიელი აპოლონის სილამაზე და ერთი სული ჰქონდა როდის იხილავდა ევგრაფის დამახინჯებულ სახეს. ევგრაფი გრუზინოვს მხრებში შეუდგნენ ჯალათები, ძლივს ამაგრებდნენ ფეხზე, შემდეგ გასისხლიანებული ხელები ჩაავლეს ნიკაპსა და ღაწვებში და მისი ლამაზი, მაგრამ უსიცოცხლო სახე ნესტოების დასაგლეჯად მოისადაგეს... ჯალათი ოსტატურად ატრიალებდა მარწუხს. იგი თავის ცინიკურ და უფერულ სახეზე აღბეჭდილი კმაყოფილებით აგლეჯდა ნესტოებს გრუზინოვს. თქრიალით წამოსულმა სისხლმა მთელი სახე დაფარა. შემდეგ ჯალათს მიაწოდეს გავარვარებული შანთი, მან ევგრაფს შუბლი და სისხლში მოთხვრილი ლოყები დაუდაღა. იროგვლივ ისმოდა ქალების ჭვითინი და მოთქმა, მამაკაცების მძიმე ოხვრა. ევგრაფი გრუზინოვი ჯერ კიდევ სუნთქავდა. სისხლისაგან დაცლილი, გათანგული პირს აღებდა, გასისხლიანებულ ტუჩებს ილოკავდა, ბოლოს მისუსტებული ხმით მხოლოდ ერთი სიტყვა „წყალი“ ამოხდა.

ატამანმა ორლოვმა კარგად იცოდა, რას ნიშნავს ამ მდგომარეობაში ადამიანისათვის წყალი, და ბრძანა, გრუზინოვისათვის წყალი მიეწოდებინათ, თანაც ცივი, ყინულიანი.

ევგრაფი ხარბად დაეწაფა პოლიციელის მიერ მიწოდებულ წყალს. შემდეგ ხმა სულ ჩაუწყდა, სულის ხუთვა დაეწყო და ყოფილმა გვარდიელმა პოლკოვნიკმა ევგრაფი გრუზინოვ-პირველმა სული განუტევა.

◎

ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო კაზაკთა აღშფოთება, რაც პოლკოვნიკ ევგრაფი გრუზინოვისადმი ასე მხეცურად ანგარიშის გასწორებამ გამოიწვია, რომ ჩერკასკის მცხოვრებნი კვლავ მორეკეს მოედანზე. გრუზინოვ-პირველის სიკვდილით დასჯის შემდეგ უკვე ოცდაორი დღე გასულიყო, მაგრამ ეშაფოტი იმავე ადგილზე იდგა, ისევე როგორც მაშინ, ჭვემეხების ლულებიც მიშვერილი იყო ხალხისაკენ, როგორც მაშინ, ახლაც მოედანს გარშემორტყმოდნენ კაზაკები. ამჯერად აქ მოიყვანეს

„ძმები გრუზინოვების საქმის გამო“ ბორკილგაყრილი და სიკვდილმისჯილი კაზაკები — პოპოვი, კოლესნიკოვი, ოსმინინი და აფანასიევი.

მათ სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს იმიტომ, რომ ისმენდნენ მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ გრუზინოვის ნათქვამ საძრახ სიტყვებს და თავის დროზე არ მოახსენეს ხელისუფალთ.

მათ მიუსაჯეს სიკვდილი თავის მოკვეთით.

მსჯავრდებულნი აიყვანეს ეშაფოტზე და წაიკითხეს განაჩენი. ამის შემდეგ ჯალათმა გადააცვა აფანასიევს სასიკვდილო პერანგი. მთელი ძალით გადაუგრიხა ხელები და ჯალათის საშინელმა ნაჯახმაც გაიელვა, აფანასიევის თავი ტანს მოწყდა. გადაკვეთილი კისრიდან სისხლმა შადრევანივით იფეთქა და კუნძზე წვრილ ნაკადად ჩამოიღვარა. რამდენიმე გულწასული ქალი ხალხიდან გაიყვანეს. დროდადრო სხვების შეკივლება და ქვითინი ისმოდა. თავი მოჰკვეთეს სხვა მსჯავრდებულებსაც. ბოლოს კი ოთხივე მოკვეთილი თავი მიაბეს მიცვალებულთა ჯერ კიდევ თბილ ტანს და ზედ ეშაფოტთან. ცივ მიწაში ჩაფლეს.

გრუზინოვ-პირველის სიკვდილით დასჯიდან 52 დღის შემდეგ გრუზინოვ-მეორის ჯერიც დადგა. ეს 1800 წლის 27 ოქტომბერს აღსრულდა. იმ დღეს. ისევე როგორც ევგრაფი გრუზინოვის სიკვდილით დასჯის ჟამს, აგრეთვე „გრუზინოვების საქმის გამო“ ოთხი კაზაკის თავის მოკვეთის დღეს, — ეშაფოტი ძველ ადგილას იყო აღმართული. ისევე როგორც მაშინ, ახლაც მოედანი გარშემორტყმული იყო კაზაკებით. პეტრე გრუზინოვს გაშიშვლებულ ზურგზე მათრახები დასცხეს. შემდეგ კი, როგორც მის უფროს ძმას, მარწუხით ნესტოები დააგლიჯეს და შანთით სახე დაუდაღეს... რამდენიმე საათის შემდეგ პეტრე გრუზინოვი გარდაიცვალა. იგი იქვე, ეშაფოტთან დამარხეს... და თან დაიმარხა „გრუზინოვების საქმეც“, რომლის განხორციელება მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ევგრაფი გრუზინოვმა ერთგვარი ბიძგი მისცა მაშინდელი რუსეთის თავისუფლებისათვს მებრძოლთა მოძრაობას. გრუზინოვების დასჯის ამბავმა ყუმბარასავით იფეთქა პეტერბურგის საზოგადოების ყველა ფენაში.

ჩერკასკში დაბადებულმა ძმებმა გრუზინოვებმა ხანმოკლე მაგრამ უალრესად შინაარსიანი და მშფოთვარე სიცოცხლე ისევ ჩერკასკში დაამთავრეს. ევგრაფი გრუზინოვი ოცდაათი წლისა იყო, პეტრე გრუზინოვი კი ოცდაშვიდისა.

დავით სეიდიშვილი

უცნაური შეხვედრა ბათუმის ბულვარში ანუ შემოდგომის აპოთეოზი

ბაღი უეცრად შეიშმუშნა, თითქოს სპაზმები
დაეწყო ფოთლებს და ზაფხულის ცხელი დღეებით
განებივრებულ დამსვენებლებს ცივმა ციკლონმა
გუდა-ნაბადი აჰკიდა ზურგზე.

ქალწული ფრთხილად გადმოვიდა მზის სასწორიდან
და ღრიანკალის შიშით ნისლში გაუჩინარდა.
ახლა სივრცეში მშვილდოსანი მოჩანდა მხოლოდ
დედამიწისკენ მოფრინავე ოქროს ხალიჩით).

ძელსკამზე ვზივარ და გავყურებ მიმავალ აწმყოს:
სად არის იგი, უხილავი და მოსასმენი,
რომელიც მხოლოდ მინაგანად სვლას გაგრძნობინებს
და წერტილიც კი აღარა აქვს შეხებადობის.

ფოთლების მტვრევის ხმა იზრდება, როგორც ტკივილი
და ჩნდება რიცხვთა ჰარმონია უჩინო ჟამის,
რაშიც არც ერთი რიცხვი ორჯერ არ მეორდება,
მხოლოდ ვლინდება იგი ახლის დაბადებაში
და ჰარმონიაც ამაშია მარადი რბოლის.

ვილაც კითხულობს დროს და საათს... შიშით შევყურებ
და „იგი“ ხვდება შეშფოთების მიზეზს, რადგანაც
ამგვარ შეკითხვას არ იძლევიან
გასაუბრების საბაბის მიზნით.
ახლა ის დროა, რაზეც არვის ეკითხებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახუნებული ხმელი ზურგი შემომაქცია
და გაჰყვა იმ გზას, ახლახან რომ თვალი დავადგი:

თანდათან უცხო სანახავით აივსო სივრცე.
საჭირო იყო ახლა მხოლოდ თვალის შევლება,
საჭირო იყო შეჩერება ცოტახნით წამის,
რომ უსახობას მისცემოდა ფორმა საგანის
და აესახა თვალს მარადი ქმნადობის არსი.
ამ განშორების ამომთქმელი საჭირო სიტყვა
გონების მიერ ჯერ არ იყო ნაპოვნი, თუმცა
იდუმალებით მოძრაობდა ცნების არეში,
და მხოლოდ სადღაც იგრძნობოდა, რომ ამ ფერთაცვლას
საკუთარ ჰანგზე განაწყობდა გარდაცვალება,
რომ იქ სილრმეში ყველაფერი რიგზეა მუდამ
და მხოლოდ აქეთ მოითხოვენ უშფოთველობას.

ბაღიდან უხმოდ გამოვედი... უკან დავლანდე:
მებაღე ძელსკამს გახუნებულს მწვანედ ღებავდა.

* * *

კარი ჰკიდია სულის ანჯამაზე...
როგორ ჭრიალებს უსაშველოდ!
რა აზრისა ხარ ჯანდაბაზე,
იქნებ ეშმაკი მიაშველო?!
კარი კარს ეხეთქება ძლიერ.
რად უნდა კარი ან ურდული,
ღია იყოს, გინდ დახურული —
ცარიელ სულში რა მოიძიე.

ურბანისტებს

ვერ შევეგუე ხმაურს თქვენებურს
და ოთახში ვარ გამომწყვდეულო,
ვით საკუთარი სულის სადგური
და გარინდება მძიმე სხეულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ხმაურზე წამოვვარდები,
კარებს აწყდება რკინის კივილი;
ბუხრიდან მიმზერს ძველი კანდელი,
ჩანაცრებული ფიქრის ტკივილით.

უცხო მკვლელები შემომესივნენ,
ხელში ჩამაკლეს მოძმე დუმილი
და ჯვარცმული ვარ, როგორც მესია,
უამინდობით შემოდგომურით.

* * *

ის განერიდა სინათლეს, რომ ბნელი ეხილა.
მაგრამ სიბნელე უსინათლოდ ეხილა როგორ,
როცა თვალები სინათლეში ხედავენ მხოლოდ.

ამიტომ ბნელში მუდამ შუქი შეჰქონდა ფრთხილად...
მაინც ვერ შეძლო სინათლეში წყვდიადის ხილვა,
ვიდრე თვალები არ დაითხარა...

* * *

ქარმა მოხუც კაცს ქუდი წააართვა...
მოხუცი უკან გამოენთო და
მანამდე სდია, ვიდრე არ დაიჭირა.

უმწეოდ იდგნენ ხეები და სინანულით
მიაცილებდნენ ქარისაგან გატაცებულ ფოთლებს.

* * *

ცაზე გამოჩნდა ნახევარმთვარე..
თითქოს კეციდან ახლადარეკილ
მჭადს მიატეხეს ვახშმის ულუფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფინქსის გამოცანა

რაღაცნაირად მოხდა ისე, რომ უდროო დროს
შემომაფრინდა მხარზე მუზა და წამჩურჩულა
ოცდაცამეტი ბგერისაგან შემდგარი შიფრი:
აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჯჰ.
რომელსაც აგერ რა ხანია ვაწვალებ, მაგრამ,
ბოლოს და ბოლოს, რის თქმა სურდა, ვერ გამიგია
არადა, მთელი კაცობრიობა
ამ უაზრობით სარგებლობს დღესაც.

ეპიტაფია

ოდეს წაიღებ ჩემგან მოსვენებას,
სულით და ხორცით დამისაკუთრებ —
მაშინ მეწვევა ჩემი „საკუთარი“
და ყველაფერი მოგახსენებდა:
მაშინ არ ვიქნები ერთი გრძნობა,
მაშინ არ ვიქნები მარტოსული,
შენში გავიელვებ ასიგზობა,
უცხო სამყაროდან გადმოსული.

* * *

ზღვა აღძრულია ცოდვისა ღელვით
და იგი დანთქავს მარტოსულ მთვარეს...
ნავსაყუდელი მოუხმობს დაღლილთ,
სად სულს იმშვიდებს მარადი თვალი.

განახვნა ბაგე ცხოვრების საშომ,
ირხევა თრთოლით ფოთოლი ლელვის...
ო, იგი დანთქავს მარტოსულ მთვარეს...
ზღვა აღძრულია ცოდვისა ღელვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი სარკეში

დაღლილი ქალი მოსულა სახლში:
ანთია სინათლე, ანთია გაზქურა.
შემოუბერა ცხელმა ზაფხულმა,
ჩხრიალებს წყალი აბაზანაში.

ჩაქრა სინათლე ღია ზალაში,
თითქოს სარკეში ჩაძვრა მზაკვრულად.
ფარდაზე წალმა ჩრდილი გაკრულა —
ამოქარგული უცხო ზარნიშით.

ვიღ ღამისეულ გამოსხივებამ —
კვლავ გაიზმორა ზანტად სხეულმა...
(თეთრ, მსუქან ხელებს იდაყვში ხრიდა)

იწყება ხორცის სვლა ლიტანიით,
სანთლები ანთია ორივე მხრიდან:
სარკეში იხედება კეკლუცი ტანი.

საფოს გაცხენება

ეჭ დიდხანს იდო ცარიელი ბროლის ყუთაბა.
წვიცოდი, ასე მოხდებოდა ადრე თუ გვიან)
დაიშხვრა თასი. ვით შენი სულის რელიქვია,
გააყოლებენ ახლა ნაგავს ნატეხებს ალბათ.
კუთილი ბოლო არ ჰქონია მოგონილ ზღაპარს —
ეს დასასრული არავის არ განუქიქია.
ჯერ კიდევ ბროლის ნამსხვრევები პარკეტზე ყრია,
თითქოს ნაპირზე გარჩენილი თევზი სულს ღაფავს.
ჯერავინ ცდილობს აღადგინოს ნიმფის პორტრეტი,
ის აღარ სუნთქავს, ბევრისთვის რომ დაუსხამს რეტი;
ალფრთოვანება აღარ ერთვის პლასტიკურ ხაზებს.
ეჭ თვით ბუნებაც უძლურია და უსახური:
— საით მიდიხარ, სიქალწულევ? — საფოს კითხვაზე,
— ალარასოდეს დავბრუნდები! — ასე პასუხობს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა პაპებზე

ერთად ხნავდნენ, ერთად სხლავდნენ, ერთად ჭრიდნენ ხე-ტყეს
გულითადი მეგობრები პავლია და პეტრე.
ვერ ნახავდით ვერასოდეს უქმად შრომის გმირებს.
რომ მოხუცდნენ, შეხარობდნენ შვილიშვილის შვილებს.
მათ ცხოვრებას აქ არ აღვწერ, არც ბავშვობას, სიყრმეს.
ოთხმოცდაათ წელს რომ გასცდნენ, მე იქიდან ვიწყებ.
შეაღებდა პეტრე პაპა პავლეს სახლის კარებს:
— მაგ ბუხარზე ვინ მიგაბა, გამო ახლა გარეთ!
შინ დაკლული ღორი მიდევს, მწვადებს შევწვავ მალე-
ჩემთან რომ არ წამოხვიდე, მეწყინება, პავლე!
და პავლიას სიხარულით უბრწყინავდა სახე:
— სად ხარ, ბიჭო, დაკარგული, შენი კუბო ვნახე-
რას მიმათრევ იმ შენს სახლში, გათრობს ერთი ჭიქა,
შემეჯიბრე ღვინის სმაში, გაგაცალო სიქა!
ეს მომენტი სხვა მომენტით იცვლებოდა მალე,
მეორე დღეს პეტრეს კარებს უკაკუნებს პავლე:
— წამო ჩემთან, სტუმარი მყავს, ხვანჭკარულით შევთვრეთ,
ახლა შენ რომ უარი თქვა, ხმას არ გაგცემ, პეტრე!
თბილ ბუხართან სუფრას უსხდნენ, ჭუკჭუკებდნენ ტკბილად.
კითხულობდნენ — ნეტავ, გარეთ ბინდია თუ დილა?
ფანჯრებს იქით ჩანდა ლურჯად ხშირ ნაძვნარის ზოლი,
ნაძვებს ციდან ბლუჯა-ბლუჯა ეყრებოდა თოვლი.
და მღეროდნენ რაღაც ეშხით, მთლად უკბილო პირით,
იფიქრებდი — ალბათ ყელში გაჩხერიათ სტვირი.
დაკორძებულს ჰგავდნენ მუხებს, გადაბელილს წალდით,
იფიქრებდით არ აწუხებთ მათ არაფრის დარდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ხოფერია

შენა ხარ ჩემი ნაბსაჭუდარი

ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა,
აღმოსავლეთით და დასავლეთით.
გალაკტიონი

კრიალა, ლურჯ ცაზე ანათებს მარტის ჯერ კიდევ სუსტი, ძალამოუკიდებელი მზე. ლურჯი ზღვა კი მთის ტბასავით გალურსული წევს. მხოლოდ ნაპირთან ოდნავი ჩქამით ლოკავს წყლის სუსტი, უკანმოქცეული ჰავლი ლაფიდან ამოჩრილი კამეჩის ზურგივით ამოშვერილ ხავსმოდებულ ქვის ლოდს და ისევ უკან მიიპარება ჩუმად და უხმაუროდ მერე... ხელმარცხნივ, ნავმისადგომთან ვეებერთელა ტანკერი დგას და ნავთობით იტვირთება. აქეთ, მოშორებით, სულ სხვა სურათია: უზარმაზარი, მძლავრი ამწეები გამალებით ცლიან ვეება ბალკერს — მშრალი ტვირთის გემს. ნელა, უხმაუროდ სერავს მდორე, კამკამა წყლის ზედაპირს სილით დატვირთული ბარჟა და ნავმისადგომისკენ მიემართება. შუქურას გადალმა კი ვეშაპივით გაწოლილა წყალზე უზარმაზარი, ახმახი ამწე.

ბათუმის ნავსადგური. იგი მდებარეობს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვის მიერ წარმოქმნილ პატარა ყურის სიღრმეში, რომლის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მარაოსავით განფენილა აჭარის დედაქალაქი, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი, საკურორტო ქალაქი ბათუმი, ანუ, როგორც გალაკტიონს უთქვამს, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“.

ვინ იცის როდის და რა დროს გამოცურდა აქ პირველი ნავი, ვინ იყო ის პირველი მენავე თუ მეზღვაური, რომელმაც პირველად გადმოდგა ფეხი უდაბურ ადგილზე. ვის მოეწონა აქაურობა და ვინ ააგო პირველი ქოხი ველური ბუჩქებითა და ასწლოვანი ხეებით დაფარულ მყუდრო სა-

ნაპიროზე... ნელა, ტაატით გადიოდა დრო, ერთმანეთს მისდევდნენ კრიალოსანივით ასხმული წლები და საუკუნენი, ეპოქა ეპოქას ცვლიდა. იცვლებოდა ხალხი, ენა, ჯიში, ჯილაგი და გასაგისი; იბადებოდნენ, მრავლდებოდნენ, კვდებოდნენ და თავიანთივე ნაჯახირევ მიწაში აროარსებულებივით ქრებოდნენ. აქაურები აგებდნენ ნავებს, უფრო და უფრო ღრმად შედიოდნენ ზღვაში, არ ერიდებოდნენ ღელვასა და ქარიშხალს, იჭერდნენ თევზსა და დელფინს, იმედის თვალით შესცქეროდნენ ზღვას — მთავარ მარჩენალს და მათთვის დამაშვრალს, იცავდნენ თავიანთ კერას და ებრძოდნენ ზღვითა თუ ხმელეთით შემოჭრილ მტერს. ყველაფერი იცვლებოდა დროთა განმავლობაში. თვით სანაპიროც კი იცვლიდა მოხაზულობას. მხოლოდ ერთადერთი, ზღვა იყო უცვლელი და გამოუცნობი — ხან მძინარე ქალივით ნაზი და მშვიდი, ხანაც შურისმაძიებელივით დაუნდობელი.

ბევრნი მოსულან და ბევრნი წასულან აქედან — მტერი თუ მოყვარე, ახლობელი თუ შორეული. რამდენი ვინმე, რამდენი რამე ახსოვს ბათუმსა და ამ ყურეს — კარგი თუ ცუდი, სამწუხარო თუ სასიხარულო. აქედან წავიდნენ უკანასკნელად ინგლისელი ინტერვენტები თავიანთი შრისხანე კრეისერითა და ადმირალით, აქედან გაიქცნენ თავიანთი მსუბუქი ბარჟებით თურქი დამპყრობლები, მერე მათ ქართველი მენშევიკები მიყვნენ საფრანგეთის გემით...

— გამარჯობა შენი! — ფიქრიდან გამოვყავარ ომახიან ძახილს. — როგორ ხარ რომანტიკოსო!

კაკოიაა, ჩემი მეგობარი მეზღვაური. ორი კვირაა რაც გემიდან ჩამოვიდა, უკვე მოსწყინდა და გაბრუებულივით დაბოდიალებს აქეთ-იქით. გახარებული იკრიჭება კაკოია, ვეება ტორებს მიბაგუნებს ზურგზე და რავა ხარო, მეკითხება წამდაუწუმ. რას ერჩი, ასეთი ხასიათისაა, ასე იცის სიხარულის გამოხატვა: — რამ ჩაგაფიქრა, პარახოდი ხომ არ დაგელუპა ზღვაში? — ჯდება ჩემს გვერდით, მზისგან გარუჯულ, ჯაფისაგან მუხის ქერქივით გაუხეშებულ ხელებს მუხლისთავებზე იწყობს და გაღიმებული მიცქერის უსიტყვოდ.

— როგორა ხარ? — ვეკითხები ყასიდად, თორემ რაღა შეკითხვა უნდა, რაც მახსოვს, თავი არ წამოსტკენია ერთხელაც, უდაბნოში, აქლემთან შეზრდილი ბედუინივით შავტუხაა და ჯანმრთელი. მარილიან წყალსა და მზეს ლორივით გამოუყვანია იგი.

— რა მიშავს, მეზღვაურის პირობაზე ქე ვარ სტამბოლის კაჟივით. — იკრიჭება ისევ, „პრიმას“ იღებს ჯიბიდან, უკიდებს, აბოლებს და სიგარეტის ბოლში გახვეული მოჭუტული თვალებით, ფიქრიანი მზერით გასცქერის შორეთს. იქ, შორეთში, ჰორიზონტზე, სადაც ზღვისა და ცის სილურჯე ერთმანეთს ერწყმის, გადადის ერთმანეთში და ერთიან, ლურჯ

ზოლს ქმნის, ახალალესილი ხერხის კბილებივით ლაპლაპებს მუდმივი, სპეტაკი და წარუმყვნელი თოვლითა და ლიფი ყინულით გალიგვული, დიდებული მთაგრეხილი ამაყი კავკასიონისა — საქართველოს ჯებირი და შეურცხვენელი ნამუსის ქუდი რომ იყო მუდამ.

ვინ იცის რაზე ფიქრობს ახლა კაკოია — ცხოვრებაში გამოჯეგილი, მრავლის მნახველი და გადამტანი კაცი. საფიქრალსა და გასახსენებელს რა გამოულევს ათობით ზღვის, ოკეანეების, ყურისა თუ ნავსადგურის მნახველს, ათასობით ღელვის, ქარიშხლისა და უამინდობის გადამტანს; სად არ ყოფილა მაინც, რა არ უნახავს, ევროპა თუ ჩრდილოეთ ამერიკა, აზია, სამხრეთ ამერიკა თუ ავსტრალია! ობობას ქსელივითაა გაბლანდულ-ჩაბლანდული და გაქსელილი მისი სავალი გზები.

— იცი შენ რაზე ვფიქრობ ახლა? — სახელოზე მექაჩება მოულოდნელად. — რამდენი რამე მინახავს, რამდენი ქვეყანა, კუთხე, ქალაქი და ნავსადგური მომივლია, მარა, ამისთანა, ეს ჩვენი კუთხე რომაა, ჩვენი ქალაქი რომაა, ასეთი, სიმართლე გითხრა, არსად მინახავს. იცი რაზე მწყდება გული? ის, რაც მზამზარეული გვაქვს, ველარ მოგვივლია იმისთვის, კაცო! ალბათ იმიტომ, მზამზარეულად რომ გვაქვს შემოჩეჩებული ხელში და ჩვენი წონა ოფლი და ჯაფა რომ არ მიგვიხარჯ-ჩაგვიწრიტავს მასში. საზღვარგარეთ, მაგალითად, ბელგიაში, დანიასა და ჰოლანდიაში ხალხი გოჯი-გოჯ, მტკაველ-მტკაველ ტაცებს ზღვას მიწას და იმას იყენებს, ბოსტანსა და ყვავილნარს აშენებს. თუმცა, ჩვენც დავიწყეთ ახლა ზღვის მოთვინიერება... — ჩუმდება, ახრჩოლებს სიგარეტს და ისევ უძირისძირდება რაღაც პრობლემას ფიქრით.

გავცქერი მართლაც დიდებულ სანაპიროს, რომელმაც ერთიანად უცვალა სახე აქაურობას. ჩვენს თვალწინ, ყოველი ბათუმელის თვალწინ გაკეთდა ყველაფერი ეს და ისიც საოცრად მოკლე დროში — სულ რაღაც ორიოდ წელიწადში. თუ გავითვალისწინებთ რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი, რა მოცულობის სამუშაოები ჩატარდა აქ, ეს ორიოდ წელიწადი, რაღა თქმა უნდა, ერთობ მცირე დროდ მოგვეჩვენება მართლაც.

ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ადგილი მიტოვებულივით კეთილმოუწყობელი იყო, რას არ შეხვდებოდით აქ, უმოწყალოდ მიყრილ-მოყრილსა და მიმოფანტულს — ქვის ხავსმოდებულ ლოდებს, ქვის სვეტებს, ღელვის შემდეგ ნაპირზე გამორიყულ ზღვის ნანთხევს — კონსერვის დაჟანგულ ქილებს, ბოთლებს, მარილიანი წყლისაგან გამოშაშრულ, წყლის ჭიებისაგან გამოხრულ ფიცრის ნამტვრევებს, სველი სახამებელივით გალიფულ მკვდარ მედუზებსა და ნაგავს... თევზაობის მოყვარულების ნამდვილი სავანე იყო ეს ადგილი. ხშირად შეხვდებოდით წყლიდან კუნძულებივით ამოშვერილ ქვის ლოდებზე, დაჟანგულ რკინის ნავმისაბმელებზე ყანჩებივით დასკუპებულ, შარვალდაკარწახებულ მეთევზეებს,

რომლებიც იობის მოთმინებით უცდიდნენ წყალში ჩაშვებული ტივტივების შეტოკებას.

ხანდახან, განსაკუთრებით ქარიან ამინდში, ზღვა აიქოჩრებოდა, ხიყალყებოდნენ ტალღები და მიასკდებოდნენ სანაპიროს, კოლოსალური ძალით, გავეშებით ეხეთქებოდნენ ქვის მოაჯირს, გლეჯდნენ, უმოწყალოდ ანგრევდნენ, იტაცებდნენ რიკულებს, ჩაჰქონდათ ზღვაში და მერე ანთხევდნენ პირდაპირ ტროტუარსა და ქუჩაზე სილასა და ხრეშში არეულ და აზონზილ სხვადასხვა ნამუსრევს. ამ დროს სანაპიროს ლამაზი ქუჩა დატბორილ მინდორს ემსგავსებოდა და გავლა ჭირდა, წიოკ-წიოკით გარბოდნენ ვერაგად მოქცეული ტალღებისაგან გაწუწული გამვლელ-გამომვლელნი.

და აი, დაისახა სანაპიროს რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმა. გარტო სანაპიროს გალამაზებითა და კეთილმოწყობით როდი იყო ნაკარნახევი ეს რეკონსტრუქცია. კეთილმოწყობასთან ერთად ამას სხვაც, ასევ ეთქვათ, კომერციული თვალსაზრისითაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ნავსადგურს, განსაკუთრებით კი ზაფხულობით, ტურისტების ინტენსიური მოზღვავების დროს, არ ყოფნიდა სამგზავრო გემების მისადგომი ფართი, ხშირად უადგილობის გამო სამგზავრო გემები ღია რეიდზე ელოდებოდნენ თავიანთ რიგს.

და აი დაიწყო დიდი ჩანაფიქრის განხორციელება, დიდი დრო და დიდი შრომა მოითხოვა სანაპიროს გაწმენდამ, ზღვაში ნახევარკუნძულივით შეჭრილმა სამგზავრო კატერების მისადგომის დანგრევამ, რკინის ხიმინჯების ამოძირკვამ, ზღვის ფსკერის დაღრმავებამ, რკინის ჯართის, ქვის ლოდების, ხრეშის, სილისა და შლამის გატანამ. თვეობით მიმდინარეობდა ეს სამუშაოები. მერე დაიწყო მეორე რიგის სამუშაოები, უფრო რთული, შრომატევადი — ვეებერთელა, მძიმე რკინაბეტონის ხიმინჯების დასობა. თვეობით მიდიოდა დამღლელი და შრომატევადი საქმე. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, ორი მცურავი პნევმატური უროს მონტონური დაგადუგისაგან ყურთასმენა აღარ იყო არც დღისით და არც ღამით. ასობით ქვის ბოძი ჩაისო წყალში და მერე მებეტონეებმა, მეარმატურეებმა და ელექტროშემდუღებლებმა ჩაიბარეს ესტაფეტა, მოზიდეს დიდძალი არმატურა, ხრეში, სილა, მზა ბეტონი. ათობით მეარმატურე და მებეტონე ფუსფუსებდა სანაპიროზე, შიშინებდნენ შემდუღებელი აპარატები, მზადდებოდა ზემტკიცე არმატურის ჩონჩხი და ზემოდან ესხმებოდა ბეტონი; ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბრიგადები და ცალკეული ოსტატები, დიდი იყო მონდომება, შრომითი ენთუზიაზმი. ბევრმა მებეტონემ და მეარმატურემ გამოიჩინა აქ თავი.

ჩაიკეტა რკინაბეტონის ჯებირი, შეიკრა დიდი სარტყელი, უკან დაიხია ზღვამ და ხიმინჯების ქვეშ გაინაბა ტალღა, ამიერიდან ველარასოდეს

მოლოკავენ ზღვის ტალღები სანაპიროს, ველარ მოანგრევენ ჯებირსა და ქვის რიკულებს, ველარ დატბორავენ სანაპირო ქუჩას და ველარ გაწუწვენ გამვლელ-გამომვლელთ. ზღვისაგან გამოთავისუფლებულმა ტერიტორიამ ხუთი ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა. დაიწყო ზღვისაგან გამოთავისუფლებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოზიდეს დიდძალი მიწა, დაითესა დეკორატიული ბალახი, მცენარეები, მოეწყო გაზონები, ყვავილნარები, დაიდგა ძელსკამები და მრავალსანთლიანი ლამპიონები, დაიგო ასფალტი და დეკორატიული ქვის ფილები.

ახალი ტურისტული ნავმისადგომი, ძველი, მიხვეულ-მოხვეული, წყალმარჩხი სანაპიროსაგან განსხვავებით, ლარივით სწორია და ორმოცდაათი მეტრითაა შეჭრილი ზღვაში. ამან შესაძლებელი გახადა გაეფართოებინათ სანაპირო, გოგებაშვილის სახელობის ქუჩა, მოეწყოთ ახალი სკვერი, რომელიც უახლოეს მომავალში ყველაზე დიდი, ლამაზი და კეთილმოწყობილი სკვერი იქნება ჩვენს ქალაქში. მაგრამ, ვგონებ, მთავარი და პირველ რიგში სათქმელი გვერდზე დაგვრჩა: ახალი ნავმისადგომი, ძველ, საზღვაო ნავმისადგომთან ერთ ხაზზე კი არ არის განფენილი; ძველსა და ახალს შორის იქმნება 130-გრადუსიანი ბლაგვი კუთხე, სოლო მათი, ძველისა და ახლის შეერთება ქმნის 36-მეტრიან შვეიცარს, რომლის მეოხებითაც ამიერიდან შესაძლებელი გახდება ისეთი ტიპის გემების, როგორიცაა „ოდესა“ და „საქართველო“, აპარელიდან დატვირთვა..

შეიძლება დავსძინოთ რომ, ზემოჩამოთვლილ, და მათი სერიის გემებს ტვირთის გადმოსაცლელ-დასატვირთავი საცავები. ანუ ტრიუმები, ჩვეულებრივი გემებისაგან განსხვავებით წინ, ცხვირის ნაწილში აქვთ და არა გვერდზე.

ახლა ახალი ნავმისადგომი ერთდროულად მიიღებს რამდენიმე სამგზავრო გემს, მათ შორის საოკეანო ლაინერებსაც. ახალი ნავმისადგომის ბოლოს მოეწყო აგრეთვე ახალი, სამგზავრო კატერების მისადგომი. კატერები მოემსახურებიან ბათუმის მოსახლეობას, ჩვენი ქალაქის სტუმრებსა და ტურისტებს. გადაიყვანენ მათ უახლოეს კუროორტებზე — მახინჯაურზე, მწვანე კონცხზე, ციხისძირსა და ქობულეთში.

მალე დაიწყება სანაპიროს რეკონსტრუქციის მეორე რიგის სამუშაოები. იგი მოიცავს ადგილს კატეოების ახალი მისადგომიდან ვიდრე დიდების ობელისკამდე. აიღება ყოფილი რესტორნის, ამჟამად იახტკლუბის ძველი შენობა, გაიწმინდება და დალრმავდება სანაპირო, ჩაისობა ხიმინჯები, შეიკვრება ჯებირი და ათეულობით კვადრატულ მეტრ ფართობს გამოსტაცებენ ზღვას. ახალი ნავმისადგომი განკუთვნილი იქნება უმთავრესად სათევზაო ტრაულერების, თევზსაჭერი გემების, ბარჟებისა და შიდასანავსადგურო ფლოტისათვის. ახალი ნავმისადგომი საშუალებას მისცემს მენავსადგურეებს, გამოათავისუფლონ გარკვეული, სხვა საქმისა და

საჭიროებისათვის მეტად აუცილებელი ტერიტორია და ერთიორად დაჰჭარონ მშრალი ტვირთის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა.

— მალე ველარც კი იცნობ აქაურობას, ისე გალამაზდება და დამშვენდება! — იწყებს კაკოია სათქმელს და ველარ ამთავრებს — „მამიკო, მამიკოს“ ძახილით ერთბაშად ოთხი გოგონა ესხმის თავს. ოთხივენი ერთმანეთის მომდევნოა და ერთიმეორეს არ გვანან.

კაკოია ჯერ გაოცებული ახამხამებს თვალებს, რაღაცის სათქმელად აცმაცუნებს ტუჩებს, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მხოლოდ კარგახნის მერე ამბობს: — აქაც მომაგენით, თქვე ზღიპარტალებო? აქანეც აღარ მომასვენებთ? ველარ გავუძელი კაცო ამათ ზღრიალს და ქე გამოვიპარე სახლიდან. ვიფიქრე, ჩამოვჯდები სადმე, სულს დავითქვამ, ყურს დავაწყნარებ, ცოტას მოვიოხებ, ჩემს საფიქრალს ვიფიქრებ-მეთქი და აქაც არ მომადგნენ დაგეშილი მეძებრებივით?.. ისე, კაცმა რომ თქვას, მალადეც დედამისო! როგორ უვლის ამათ, როგორ აკავებს, როგორ ართმევს თავსა და ბოლოს, ყურის ბარაბანი როგორ არ უსკდება ამათ შემხედვარეს. ქალი მაინც ქალია, თვარა მე რომ ვიყო, ხომ გავგიჟდებოდი. — ამბობს და თანაც, როგორც ნამდვილი მეზღვაური, უხეშად უალერსებს თითოეულ მათგანს; ერთს თმას უჩეჩავს, მეორეს ყურს უწევს, მესამეს ნიკაპზე უცაცუნებს ხელს..

ვუცქერი უხმოდ, გაღიმებული. ვიცი მისი ხასიათი, ოქრო გული აქვს, მოსიყვარულე. თუკი ქვეყანაზე საერთოდ რაიმე უყვარს კაკოიას, ეს შვილებია, მაგრამ არ ამჟღავნებს ამ სიყვარულს. ნამდვილი მამაკაცი ძუნწი უნდა იყოსო გრძნობების გამომჟღავნებაში — უთქვამს ხოლმე ხშირად.

რამდენიმე წამს სდუმს, ტუჩებს კუმავს, სიგარეტის ახრჩოლებულ ნამწვს აგდებს და ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად მეუბნება: — არა, მაინც რამ დამასია ამდენი და ისიც ყველა გოგო? რა იქნებოდა ერთი ბიჭი მაინც გამომრეოდა წამლად და საჯიშედ? რა დავუშავე ასეთი იმ მამაოხერ ღმერთს, აღარ ვიცი პირდაპირ... ვფიქრობდი კაცო, ბიჭები მეყოლება, მეზღვაურებად გამოვზრდი-მეთქი. და ეს სხვისი ნაცარი უნდა ვზარდო ახლა მე?.. არა, ამდენ გოგუებს რომ დაგასევს, ისეთი ქალი არ უნდა გააჩეროს კაცმა სახლში, მაგრამ რას იზამ, შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველს ისევ! — იცინის და ბავშვებს უბრუნდება: — აბა, ბაღნებო, წადით ახლა სახლში და მოემზადეთ. მე მოვალ და კინოში წაგიყვანთ ყველას. წამომცდა, დაგპირდით და რომ არ შეგისრულოთ დაპირება, ჯერ თქვენ ამომხდით ჭაჭყანით სულს, მერე კი დედათქვენი შემწვავს ნელ ცეცხლზე!

გახარებული ბავშვები ჟივილით ედებიან სკვერს. კაკოია კი ფრთხილად მადებს ხელს მხარზე და ფიქრში წასულივით ამბობს — ღმერთმა

ქნას და მშვიდობა იყოს ქვეყანაზე.. მშვიდობიანად ვცხოვრობთ და ისა არა მაქვს და ეს არა მაქვსო, როგორ უნდა დაიწუწუნოს რამეზე კაცმა. მე ისეთი რამეები მინახავს, გადაირევი პირდაპირ კაცი. არ დაიჯერებ ახლა შენ და ამ დროში, მეოცე საუკუნეში, არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც ათასობით უსახლკაროა, მშიერი, ჭუჩაში ათევს ღამეს, ფეხშიშველი დადის და მათხოვრობით ირჩენს თავს, სამუშაო ვერ უშოვნია. ჩავდივართ ზოგიერთ ქვეყანაში და დავდგებით თუ არა პორტში, ასობით მშიერი ბავშვი მოგვაზავდება, ასობით ჩაკონკილი, ფეხშიშველი, ლანდად ქცეული, ჭუჭყიანი და მუნისაგან შეჭმული ბავშვი. და გვემუდარებიან — პური მოგვეცით, მოგვეცით პური! პურის ნატეხს აბა რავა დავამადლით, კაცო, მარა ჩვენი მიწოდებული პური და ერთხელ გაძღომა. უშველის საქმეს? — ხელს იქნევს, დგება და დასძენს — წავედი ახლა მე, ბაღნებს წავიყვან კინოში, საღამოს კი შევიდეთ სადმე, წავისაუბროთ და ყელი ჩავისველოთ ცოტა. ისევ აქ მოვალ მე და დამხვდი. — მშორდება და მეზღვაურის დამახასიათებელი ზანტი რწევით მიდის.

თვალს ვაყოლებ მიმავალს და მერე ისევ ნავსადგურს გავცქერი... რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ბათუმის ნავსადგურს არ გააჩნდა რაიმე მექანიზაცია და ჰიდროტექნიკური ნაგებობა. ძალზე მცირე იყო ტვირთბრუნვა. ექსპორტი და იმპორტი მთელი წლის განმავლობაში სულ რაღაც 16 ათას ტონას თუ შეადგენდა. ერთი სიტყვით, ნავსადგური სახელად ქვიოდა, თორემ ეს იყო უბრალო, ბუნებრივი, მშვიდი, ქარისაგან დაცული ბოლაზი, ერთადერთი, პატარა ფიცრული ნავმისადგომით, სადაც ერთადერთ ტექნიკურ საშუალებასა და მექანიზაციას ხელის ჯალამბარი წარმოადგენდა. ოფიციალურად იგი მხოლოდ 1878 წელს გამოცხადდა ნავსადგურად. ამის შემდეგ მალე დაიწყო მისი რეკონსტრუქცია და ერთგვარი კეთილმოწყობა... მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და მნიშვნელობის გამო ბათუმის ნავსადგური თავიდანვე დიდ როლს ასრულებდა როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ ნავსადგურიდან გაჰქონდათ ამ მხარის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი საექსპორტო საქონელი — ნავთობი. ნავთობპროდუქტები, მარგანეცი, სამშენებლო ქვა და სხვა წიაღისეული სიმდიდრენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში და საზღვარგარეთ. აქედან გაჰქონდათ აგრეთვე როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის მისაწოდებელი სხვადასხვა სატრანსპორტო საქონელი; საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის ბათუმის ნავსადგურით შემოჰქონდათ შაქარი, ხორბალი, მარილი, თუნუქი, ხე-ტყე, რკინის ნაკეთობანი და ნედლეული.

ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან, ნავთობსაწენის

გაყვანასთან, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის აგებასა და ნავთობის ზღვის აუზის სავაჭრო ფლოტის აღორძინებასთან. პირველი ხუთწლედისა და განსაკუთრებით მეორე ხუთწლედის მიწურულისათვის, როცა ჩვენს ქვეყანაში ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების აშენება, ბათუმი არამარტო საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ქალაქს, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოებისა და გატანის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ამ დროისათვის უკვე მთელი სიმძლავრით ამუშავდა ბაქოს ნავთობის ბაზაზე შექმნილი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც მრავალი სახის ნავთობპროდუქტს, ნავთს, სხვადასხვა მარკის ბენზინს, საცხებ ზეთებს, სადიზელო და სამოტორო საწვავს აწარმოებდა. მნიშვნელოვნად განახლდა და გაიზარდა სავაჭრო ფლოტი, რომელსაც შეემატა მრავალი ახალი გემი, საფუძვლიანად შეკეთდა მოძველებული გემები, გაიზარდა მათი ტვირთზიდვა და სადღეღამისო სიჩქარე. სავაჭრო ფლოტისა და გემთა პარამეტრების სწრაფმა ზრდამ მოითხოვა განახლებული, თანამედროვე დანიშნულების მქონე ნავმისადგომების აგება, სწორედ იმ ხანებში ჩადგა მწყობრში ნავსადგურის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მერვე ნავმისადგომები.

ბათუმელი მენავსადგურეები ერთსულოვანი, კოლექტიური შრომითა და ენთუზიაზმით შრომობდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ ყოველდღიურ შრომა-საქმიანობაში. 130-150 პროცენტით ანაღდებდნენ ყოველი ცვლის ნორმებს ნავსადგურის პირველი სტახანოველები ე. ბერიძე ი. ძნელაძე, ს. კრული, დ. მარქარიანი და სხვები. ისინი მაგალითს აძლევდნენ სხვებს და დიდი წვლილი შეჰქონდათ ნავსადგურში ტვირთის დამუშავების დაჩქარებისა და ტვირთბრუნვის გაზრდის მეტად მნიშვნელოვან საქმეში...

კაკოია დაპირებისამებრ მოდის: — მყავდა ყაზილარები კინოში, მოვიხადე ჩემი მამობრივი ვალი და ქე მოვედი ახლა აგერ!.. წავიდეთ, ჩამოვჯდეთ სადმე და გავისველოთ ყელი... ჰო, მაბთლა, წიგნები დამახვედრე?

ნაკითხი კაცია, სჭირდება თუ არა, ყველაფერს კითხულობს. მისთვის წიგნების შეგროვება ჩემი ერთ-ერთი საზოგადოებრივი დატვირთვაა. განსაკუთრებით ლექსები უყვარს კაკოიას, უამრავი ლექსი იცის ზეპირად. ყველაზე უფრო მაინც მეზღვაურებზე და ზღვაზე დაწერილი ლექსები აინტერესებს. მივუყვებით სანაპირო ქუჩას, კმაყოფილი აბოლებს კაკოია „პრიმას“, გასცქერის ზღვას და ამბობს: „გემი რომ გავიდა ზღვაში, ზღვა ჩანდა ვეება კალო, ან მე რა ვიცოდი მაშინ, ან შენ რა იცოდი, ქალო!“

ავდივართ კაფეში, ვეყრდნობით მოაჯირს და გავცქერით ყურეს. აქედან, მეხუთე სართულიდან ხელისგულივით მოჩანს ნავსადგური, ქა-

ლაქის შემოგარენი, დასავლეთისკენ გადახრილი მზით განათებული, მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლები. ბუხტაში ნელი სვლით შემოდის ნორვეგიის ვეებერთელა ტანკერი, რომელსაც სალოცმანო თეთრი კატერი მიუძღვის წინ... მოშორებით, „მელკი მორიასთან“ ზღვაში ღრმად შეჭრილ რუხი ფერის ზვირთსაცავს ნელა ლოკავს ოდნავ გამოცოცხლებული ზღვის ტალღები. კაკოია თვალმოუშორებლად გასცქერის ტანკერს და მორიგ ლექსს ისვრის ლოზუნგივით. „ტუჩებს ექნება გემო მარილის, თვალებს ედგმებათ შუქი მუდარის, მოვალ მე შენთან დაღლილი გემი. და შენ დამხვდები ნავსაყუდარი“.

იქვე, ვერანდის მახლობლად ვჯდებით მაგიდასთან. ოფიციანტს შეკვეთილი მოაქვს, მაგიდას აწყობს და მიდის.

კაკოია კმაყოფილი იერით იფშვნეტს ხელებს, მერე ჭიქებს არაყით ავსებს და თამადობასაც თვითნებურად ისაკუთრებს: — მოდი ახლა, და ამ პირველი სასმისით ყველა მეზღვაურს გაუმარჯოს, მათ ოჯახებს, მათ მონაგარს და ნაგრამს გაუმარჯოს, პრცერთ მათგანს არ მოშლოდეს ზღვა, ზღვის სიყვარული და მშობლიურ ნავსადგურში მშვიდობიანად მობრუნება.

— ამინ იყოს, გაუმარჯოს! — ვეთანხმები. ვსვამთ. კაკოია ხელის ზურგით იწმენდს სველ ტუჩებს და განაგრძობს: — იცი რა გავიფიქრე და ვინატრე ახლა? რა იქნებოდა ვითომ წერის ფიორი ნიჭი რომ მოეცა ღმერთს ჩემთვის?

— რაში გამოიყენებდი მაინც? — მეცინება მე.

— ა, კითხე ახლა ამას ჭკუა! — ხელებს გაოცებული შლის და ირიბად მიყურებს: — რაში გამოვიყენებდი და მეზღვაურებზე დავწერდი, მათ შრომაზე, მათ ოჯახებზე დავწერდი. ამ ჩვენს ნავსადგურზე დავწერდი აგერ... ისეთ წიგნს გავაშანშალებდი, მეტი რომ არ შეიძლება...

— მერე რა გიშლის ხელს?

— ნიჭი! —იჯღანება კაკოია, — ნიჭი! ნიჭი მაკლია თვარა, მონდომება ქე მაქვს ერთი ვირის დონი! — დანანებით აქნევს თავს და ისევ ბოთლისაკენ მიუწვდის ხელი...

— როდის აპირებ წასვლას? — ვეკითხები მე.

— ერთ კვირაში წავალ აქედან. ჩვენი გემი ვენსპილშია ახლა, ჩავალ იქ და იქედან წავალ რეისში. დაახლოებით ხუთ თვეში ჩამოვალ ალბათ. — გაჰყურებს ნავსადგურს და ამბობს: — მაგარი სამუშაოები ჩატარდა ამ ბოლო დროს აქ. ყოველ ჩამოსვლაზე რაღაც სიახლე მხვდება...

ნავსადგურის რეკონსტრუქციის შემდეგ, ნავმისადგომებთან, რომელთა საერთო სიგრძე 1935 წლისათვის 235 მეტრს არ აღემატებოდა, შესაძლებელი იყო იმ დროისათვის ყველაზე დიდი ტანკერების დაყენება, ხოლო ნავმისადგომთა ტექნიკური აღჭურვილობა მთლიანად უზრუნველ-

ყოფდა ნავთობპროდუქტების ტვირთვის გაზრდილ ნორმებს. მაგალითად, სატვირთო ოპერაციების მონაცემების მიხედვით ყოველ ნავმისადგომზე მიწოდებულ იქნა 900 ტონა ტვირთი ერთ საათში. ეს კი იმ დროისათვის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა და ბათუმის ნავსადგურს აუზის ნავსადგურებს შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ამკვიდრებდა. მშრალი ტვირთის ნავმისადგომებთან, რომელთა საერთო სიგრძე ორას მეტრს არ აღემატებოდა, გაყვანილ იქნა რკინიგზის ლიანდაგები ამწეების სამოძრაოდ და ნავსადგურის ტერიტორიიდან ვაგონებით ტვირთის გასაზიდად. აქვე იყო განლაგებული მარტივი ტიპის ფარდულები და საწყობები სხვადასხვა ტვირთის შესანახად. ნავსადგურის მაშინდელ საწარმოო საშუალებებსა და ტექნიკას წარმოადგენდა ორმოც-ტონიანი მცურავი ამწე. ორი რვა-რვა ტონიანი ორთქლზე მომუშავე ამწე, ორი ტრაქტორი, თექვსმეტი საბარგო ავტომანქანა; ნავსადგურის შიდაფლოტი კი შედგებოდა თერთმეტი მცურავი ერთეულისაგან. ეს ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებანი ხანდაზმულობის გამო ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და აფერხებდა შრომით რიტმს. სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მექანიზაციის უკმარობის გამო ნავსადგურში კიდევ კარგახანს ბატონობდა ხელით შრომა, მაგრამ, მიუხედავად ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორისა, მაინც დიდი იყო მენავსადგურეთა წარმატებები. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა აქ დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ენთუზიაზმითა და მონდომებით...

გემის საყვირის მელოდიური, ოდნავ ნაღვლიანი ხმა არღვევს მყუდროებას. ეს დაცლილი მადაბმზიდი ნელ-ნელა შორდება ნავმისადგომს, მორიგ რეისში გადის და საყვირით ეთხოვება ნავსადგურსა და მენავსადგურეებს.

ამასობაში კაკოია მორიგ სადღეგრძელოს იტყონებს: — მოდი და ამ ჭიქით იმ ხალხს გაუმარჯოს, რომლებიც ომის წლებში აქ, ნავსადგურში შრომობდნენ, უჭირდათ, მაგრამ მაინც ყველაფერს აკეთებდნენ ფრონტისათვის, სამშობლოსათვის... ომში დაღუპული ბათუმელი მეზღვაურების ხსოვნაც იყოს ამით... — სვამს და დაფიქრებული იწმენდს სველ ტუჩებს ხელის ზურგით.

ომის დროს შავი ზღვის უმეტესი ნავსადგურები მტრის მიერ დროებით ბლოკირებული იყო და მნიშვნელოვნად შემცირდა სარემონტო ბაზები. სწორედ ამის გამო ფლოტის ბაზირების, სამხედრო გემებისა და კატარღების რემონტის უზრუნველყოფის მთელი სიმძიმე ასამ ნავსადგურს — ტუაფსეს, ფოთსა და ბათუმს დააწვა.

მტრის მიერ აუზის უმეტესი ნავსადგურების ბლოკირების გამო ბათუმის ნავსადგურის რეიდზე თავს იყრიდა ათობით გემი. საამისო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იყო, ამასთან დიდ დაბრკოლებას ქმნიდა

გამოცდილი მუშახელის სიმცირე. ნავმისადგომის ხაზი და სუსტი მექანიზაცია ვერ უზრუნველყოფდა ერთდროულად რამდენიმე გემის განტვირთვა-დატვირთის დაჩქარებას. მაგრამ მონდომებული, ერთსულოვანი შრომის შედეგად სახელოვანი მენავსადგურეები მაინც დროულად და შეუფერხებლად აწვდიდნენ ფრონტს აუცილებელ ტვირთს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მტვირთავებმა ე. ჟღენტმა და ი. ქორიძემ; გემთშემკეთებელი სახელოსნოს ზეინკლებმა ნ. გიორგობიანმა და ს. სტოლიაროვმა, ზეინკალ-მეიარაღემ ი. კოვალჩუკმა, ელექტროშემდუღებელმა პ. კაუნკოვმა, მექვაბეებმა ი. სუხენკომ და პ. მაიოროვმა, საჩამომსხმელო საამქროს ოსტატმა ი. დვალიშვილმა და მრავალმა სხვამ. იმ წლებში მამაცებს ტოლს არ უდებდნენ ნავსადგურის მოწინავე ქალები ე. ჯანგულაშვილი, ს. კუნჭულია, ა. შუშანია, ა. კაცი, ი. ოსეფაიშვილი და სხვები.

ბათუმელი მენავსადგურეები ფულადი სახსრებითაც ეხმარებოდნენ ფრონტს. მათ 65735 მანეთის თბილი ტანსაცმელი გაუგზავნეს სამშობლოს გმირ დამცველებს, შეაგროვეს 4739 მანეთი სატანკო კოლონის, ხოლო 28706 მანეთი თვითმფრინავ „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად...

— რამ ჩაგაფიქრა? — მეკითხება კაკოია, ჭიქებს ავსებს და რატომღაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზღვის სასიკეთო გავლენის შესახებ მიტარებს ლექციას. — შენ რომ იცოდე, როგორ წვრთნის, აყალიბებს და აჯანმრთელებს ადამიანს ზღვა. ახლა მე რომ ასეთი ჯანმრთელი ვარ, ზღვის მიზეზია მაგი. აბა ბალნობაში ისეთი სუსტი და ღანჭიპა ვიყავი, მეტი რომ არ შეიძლება, სულ ავად ვიყავი, ლოგინს ვლესავდი და სკოლას ვაცდენდი, იმიტომ ვერ ვისწავლე მეტი, თვარა დისერტაციის დაცვას რა უნდა შე კაცო ახლა...

ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავსადგურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განახლდა მექანიზაციის პარკი, შეივსო გაუმჯობესებული ტექნიკითა და მოწყობილობით. დაიდგა ახალი, გაზრდილი წარმადობის ამწეები, რეკონსტრუირებულ იქნა მეექვსე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ნავმისადგომები, ძველი, ერთსართულიანი საზღვაო ვაგზლის ნაცვლად აიგო რკინაბეტონის კონსტრუქციის თანამედროვე ტიპის საზღვაო ვაგზლის შენობა, მწყობრში ჩადგა უმისადგომო ნავთობსასხმელი ბუნები, რამაც შესაძლებელი გახადა დიდი საოკეანო ტანკერების დატვირთვა ღია ზღვაში.

1967 წლის 20 იანვარი ითვლება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დაარსების დღედ. საქართველოს სამი ნავსადგურიდან რომელი უნდა ყოფილიყო სანაოსნოს ცენტრი და მთავარი საბაზო ნავსადგური, ამაზე ორი აზრი არ არსებულა — რა თქმა უნდა ბათუმი!

ახალბედა სანაოსნოს გადაეცა ცამეტი მცირეტონაჟიანი მოძველებული ტანკერი, რომლებიც უწინ ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოს გან-

კარგულებაში იყო. მათი საერთო წყალწყვა არ აღემატებოდა 87 ათას ტონას. ათი წლის შემდეგ კი, 1977 წლისათვის სანაოსნოს ყავდა 44 გემი — 37 ტანკერი და 7 ბალკერი, მშრალი ტვირთის გადასაზიდი ხომალდი. მათი საერთო ტვირთამწეობა 530 ათას ტონას აღემატებოდა. დღეისათვის სანაოსნოს ნავთობმზიდებისა, მადანმზიდებისა და მშრალი ტვირთის გემების უმრავლესობას ავტომატიზაციის უმაღლესი დონე ახასიათებს. ზოგიერთ გემზე პირველადაა გამოყენებული ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, რომლებიც აკონტროლებენ და აზუსტებენ სხვადასხვა მექანიზმებისა და სისტემების მუშაობას, მთავარი, ძალოვანი დანადგარის მუშაობის რეჟიმს. სანაოსნოს ყოველწლიურად ემატება ახალ-ახალი გემები რომლებიც ძირითადად ჩვენს ქვეყანაში და სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ ბულგარეთის, პოლონეთისა და იუგოსლავიის ვერფებშია აგებული. 1979 წლის ბოლოსათვის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განკარგულებაში იქნება 52 გემი — 40 ტანკერი და 12 ბალკერი. ნავსადგურის მძლავრი შიდაფლოტი წარმატებით ართმევს თავს ტვირთის გადაზიდვასა და სხვა შიდასამუშაოებს. ნავსადგურის ტერიტორიაზე განლაგებული ტვირთმცლელი დანადგარები, მცირე მექანიზაციის მძლავრი გარაჟი, მთავარი სადისპეტჩერო პუნქტი, ზუსტად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, რაც განაპირობებს ნავსადგურისა და სანაოსნოს წარმატებებს.

და მაინც ადამიანები წყვეტენ საქმის ბედს.

აქ რამდენი ადამიანიცაა, იმდენი მოწინავეა, იმდენი ბიოგრაფიაა და შრომითი ცხოვრებაა. დღეისათვის ბათუმის ნავსადგური, ჩვენი ქართული სანაოსნო მრავალეროვანი, ინტერნაციონალური და ერთიანი, მჭიდრო და მძლავრი კოლექტივია, სადაც შრომობს და იღვწის 24 ეროვნების წარმომადგენელი. ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ და აღწევენ წარმატებებს ქართველები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები, აფხაზები, ებრაელები, იეზიდები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ერთსულოვანი და დაუზარელი შრომის შედეგად საზღვაო სანაოსნომ თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე რვაჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნავსადგურის, სანაოსნოს მრავალეროვან და მრავალრიცხოვან კოლექტივს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. მათი, მეზღვაურთა და მენავსადგურეთა თავდადებული შრომა სათანადოდ შეაფასეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ. შრომაში შოპოვებული წარმატებებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 134 მეზღვაური და მენავსადგურე.

ის კაცი, რომელიც ზღვას მხოლოდ ნაპირიდან ხედავს, ძალიან ძნელად თუ გაიგებს და აღიქვამს ზღვაოსნის ძნელ, ხიფათით აღსავსე და

შრომატევად სამსახურს, ვერ ჩაუძირისძირდება იმ პირობებს, რომელშიც მეზღვაურს უხდება მუშაობა. შორიდან მაყურებლისათვის ზღვა მხოლოდ რომანტიკაა და მეტი არაფერი. მაგრამ რომანტიკა მეზღვაურისათვის ყოველთვის მეორე პლანზე დგას. უპირველესი აქ შრომაა — დაძაბული, ძნელი,, ოფლის მოწრეტა რომ დაგჭირდება, ისეთი საქმე... ზოგჯერ ზღვა ისე უცაბედად გახელდება, აბობოქრდება, აიწყვეტს და აიყალყება, რომ ოკეანეში ან ზღვაში მყოფი გემისათვის ნავსადგურამდე მიღწევაზე ფიქრიც კი ზედმეტია. გემი ღია ზღვაში რჩება და სწორედ მაშინ იწყება ნამდვილი, დაუნდობელი, ვაჟკაცური, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გემსა და სტიქიას შორის, გემის ეკიპაჟსა და ტალღებს შორის. სწორედ აქაა საჭირო და აუცილებელი ატანა, გაძლება, ერთმანეთის გატანა, კოლექტივიზმი, ერთსულოვნება. და ამ დროს, ნუთუ ერთხელაც არ გაიფიქრებს ჭაპანწყვეტაში მყოფი მეზღვაური — ერთი ახლა ამ ხიფათს გადამარჩინა და მერე ზღვისკენ პირს არ ვიზამო? შეიძლება გაიფიქროს კიდეც, მაგრამ მეზღვაურს ამ წამიერი განაფიქრის განხორციელება არაფრით არ შეუძლია, მეზღვაურს ხიფათი და ტალღა იტაცებს, ზღვა მისთვის მშობლიური სტიქიაა, მკაცრი, მაგრამ მაინც მშობლიური. ზღვა აყალიბებს, აწრთობს მეზღვაურს, მისთვის შორსაა ყოველგვარი სიხარბე, შური, ანგარება, მომხვეჭელობა, ალბათ ამიტომაცაა, რომ ჯერ არ შემხვედრია ისეთი მეზღვაური, ალალი, გულკეთილი, მართალი, სიტყვის კაცი და მეგობრის გამტანი არ იყოს.

—მეზღვაურები მართლაც რომ ალალი და გულკეთილი ხალხია—დასძენს კაკოია, — მაგრამ ხომ იცი, თითო გლახა ყოველ სოფელს ყავს და ჩვენშიაც გამოერევა ზოგ-ზოგები — გულხარბები, გამდიდრების მოყვარულები. ისინი ზღვაზე იმიტომ დადიან, რომ ფული დააგროვონ. ასეთებს კოლექტივი ვერ იტანს და იძულებული ხდებიან გემი დატოვონ.

არა, მეზღვაურს დიდხანს არ შეუძლია ნაპირზე დარჩენა. რამდენიმე კვირა და ისევ ეძახის, ისევ უხმობს, ისევ უყიჟინებს უსაშველოდ და ყოვლისმომცველად შეყვარებული ზღვა, ოკეანე და ტალღები მეზღვაურს, ისევ უხმობს და თავისთან ეძახის მშობლიური სტიქია და მეზღვაური მიდის. ამ დაძახილზე, მიდის, როგორც პირველ პაემანზე მიდიან ხოლმე — სიხარულით, აღტაცებით, გულისფანცქალით... ბევრი რამ თქმულა და დაწერილა მეზღვაურებზე, მათ ვაჟკაცურ შრომაზე, მაგრამ იმდენი მაინც არა, რამდენიც ეკუთვნით, რამდენის ღირსნიც ისინი არიან. ამ პატარა ნარკვევშიც მოხსენიებული ზოგიერთი მათგანის გვარი და სახელი ალბათ მათ წინაშე უბრალო ხარკის მოხდა იქნება, წვეთი იქნება ზღვაში და მეტი არაფერი.

ძნელია ილაპარაკო მეზღვაურებზე და არაფერი სთქვა ტანკერ „ასპინძის“ ყოფილ ბოცმანზე, სოციალისტური შრომის გმირ კარონ ოსაძეზე,

რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ამხანაგებსა და თანამოსაქმეთა შორის. ამ კაცზე საკმაოდ თქმულა და დაწერილა, მაგრამ მას ისეთი თავგადასავალი, შრომითი ბიოგრაფია აქვს, თავისუფლად შეიძლება მასზე საკმაოდ სქელტანიანი რომანის დაწერაც კი. იმდენი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვებია ამ კაცს, ნამდვილ ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენს.

— რა მოვალეობას ასრულებს ბოცმანი გემზე? — ვეკითხები აკოიას.

— ბოცმანი? — მიბრუნებს კითხვას და მცირედი ჩაფიქრების შემდეგ სხაპასხუპით მპასუხობს: — ბოცმანი, ეს გემის, ეკიპაჟის ნამდვილი ტვინია. იგი ყოველთვის ხელქვეითების წინ ტრიალებს, მისი ძირითადი საზრუნავია გემს სასიამოვნო იერი გააჩნდეს, მუდამ გამართული იყოს ხანძარსაწინააღმდეგო, მაშველი და საავარიო მოწყობილობა... გემზე ყოველი მეზღვაურის მაგალითის მიმცემია იგი, იგი მარტო განკარგულებებს კი არ იძლევა, თავათ, საქმით უჩვენებს ყოველ მათგანს, თუ რისი გაკეთება როგორ შეიძლება კარგად და ჩქარა.

ოცდათხუთმეტი წელიწადია რაც კარონი ზღვაზეა, გემზეა.. ვინ მოსთვლის რამდენჯერ გადასერა ამ ხნის განმავლობაში ზღვები და ოკეანეები, რამდენი ქვეყანა, ბუხტა, ქალაქი და ნავსადგური მოიარა, რა არ ნახა, რამდენი ღელვა და ხიფათი გადაიტანა... შრომა დაუფასეს ბოცმანს — 1960 წელს, ფლოტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და საკავშირო საზღვაო ფლოტის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

1971 წლისათვის იგი უკვე სოციალისტური შრომის გმირია და სანაოსნოს საუკეთესო ბოცმანი.

ამ ცოტახნის წინათ გამოცდილ ზღვაოსანს კიდევ უფრო საპატიო, პასუხსაგები პოსტი ჩააბარეს — ტანკერ „ალექსეევკაზე“ კაპიტნის პირველ თანაშემწედ დანიშნეს.

სანაოსნოს სატანკერო ფლოტში მოწინავეთა რიგებში მოიხსენიებენ ტანკერ „ა. წულუკიძის“ ბოცმან დავით ურუშაძეს, რომელსაც მდიდარი და მრავალფეროვანი შრომითი ბიოგრაფია აქვს. ესაა ბიოგრაფია უბრალო და მოკრძალებული ზღვაოსანი კაცისა, რომელსაც ცხოვრების მთავარ მიზნად კეთილსინდისიერი შრომა დაუსახავს. მინდობილი საქმისადმი დიდი გულისყური და თავდადება, გულისხმიერება და სხვა, ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის აუცილებელი და დამახასიათებელი თვისებები ამშვენებს დავითს. იგი არამარტო კარგი მეზღვაური და საქმის ჩინებული შემსრულებელია, არამედ შესანიშნავი აღმზრდელი, დამრიგებელი და მასწავლებელია. არა ერთი და ორი მეზღვაური გამოუზრდია დავითს,

დაუყენებია ცხოვრების დიდ და ნათელ გზაზე, შეუყვარებია მისთვის მეზღვაურის რთული და საპატიო პროფესია. მის გვერდით, მის მხარდამხარ შრომობენ ახლა მისი ყოფილი მოსწავლეები, მისი გამოზრდილები, მოწინავე მეზღვაურები: ა. ახვლედიანი, თ. კორძაია, მ. ფირცხალაიშვილი, ს. აბაშიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ შრომა-საქმიანობაში მხარს უბამენ ყოფილ მასწავლებელს და ცდილობენ არაფერში ჩამორჩნენ მას, მისი ქება და მოწონება დაიმსახურონ.

ბევრი გემი და მისი სახელოვანი ეკიპაჟი დაწინაურდა და გამარჯვებული გამოვიდა სანაოსნოს გემებსა და ეკიპაჟებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის მოიხსენიებიან „ალექსეევკის“, „ასპინძის“, „ზუგდიდის“, „ფილიპე მახარაძის“, „ბუზოვნის“, „სამტრედიისა“ და სხვა გემების ეკიპაჟები.

თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან კომუნისტები: გემის კაპიტნები ვ. ჩხაიძე, გ. ქათამაძე, ს. ბერიძე, მ. კონცელიძე, ბ. ვარშანიძე; კაპიტნის თანაშემწეები: ვ. სოლომონია, პ. ერმაკოვი; შტურმანები: ა. თურქია, ზ. კახიძე, ე. ბაბენკო, ე. გეგეშიძე; მექანიკოსები: კ. სირაძე, ე. ვარშანიძე; ბოცმანი ე. დუნდუა, მატროსები და მოტორისტები: გ. სულაბერიძე, ე. გოგიჩაიშვილი, ს. ჩიჩუა და ბევრი სხვა.

ბევრზე ბევრი სახელმოხვეჭილი და გამოცდილი ზღვაოსანია საზღვაო სანაოსნოში. მათ თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში, სანაოსნოს მიერ მოპოვებულ წარმატებებში და კეთილსინდისიერი შრომა-გაწაფულობით მაგალითს აძლევენ თანამოსაქმეებს. სწორედ ამ სახელოვან ზღვაოსანთა რიგებში დასახელების ღირსია ბიჭიკო ვარშანიძეც — ტანკერ „მხატვარ ალექსანდრე გერასიმოვის“ კაპიტანი. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ დიდი შრომითი ბიოგრაფია აქვს, მშრომელი კაცის პატიოსანი ბიოგრაფია, რომელსაც არც ერთი მეზღვაური არ დაიწუნებდა.

ზღვის უსაშველო, ზღვასავით უკიდეგანო სიყვარულმა და ლტოლვამ მიიყვანა იგი ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში. თვალსაჩინოა გაირბინა სწავლის, ცოდნის შეძენის, პრაქტიკული საქმიანობის საინტერესო და დაძაბულმა წლებმა. ბიჭიკომ წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და მუშაობას შეუდგა. პირველად იგი ნოვოროსიისკის საზღვაო სანაოსნოში, ტანკერ „ლისკზე“ მიიღეს, სადაც ექვსი წელი დაჰყო. აქ, ამ გემზე მიიღო მან პირველი ნათლობა, აქ გამოიწაფა და გამოიჯაგა როგორც ნამდვილი მეზღვაური. აქედან დაიწყო მისი სახელოვანი და დიდი ცისფერი გზა, რომელიც დღესაც გრძელდება. 1971 წელს ბიჭიკოს გულმა მშობლიური ქალაქისკენ გამოუწია. იგი ბათუმში დაბრუნდა და ჩვენი სანაოსნოს გემზე „ჭიათურაზე“ კაპიტნის მეორე თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა თანაშემწემ სახელი გაითქვა და ავტორიტე-

ტი მოიპოვა მეგობრებსა და თანამოსაქმეთა შორის... მალე ბ. ვარშანიძეს უფრო პასუხსაგები პოსტი ჩააბარეს — ტანკერ „გენერალ ლესელიძის“ თავკაცობა ანდეს...

მას ალბათ აღარასოდეს დაავიწყდება პირველი და დამოუკიდებელი რეისი ბათუმიდან ტორონტომდე. მან მშვიდობიანად შეიყვანა გემი ტორონტის ყურეში... უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო ძნელი გამოცდა ელოდა თურმე. მისი ტანკერი ხმელთაშუა ზღვაში ქარიშხალსა და ღელვაში მოჰყვა. მან აქაც ჩინებულად ჩააბარა ეს გამოცდა და სხვასაც გაუწოდა დახმარების ხელი — მშველელად გამოუჩნდა განსაცდელში მყოფ ინდოეთის სავაჭრო გემის ეკიპაჟს.

1977 წლის მაისში ბიჭიკო ვარშანიძემ ბულგარეთში აგებული ტანკერი „მხატვარი ალექსანდრე გერასიმოვი“ ჩაიბარა. მას შემდეგ ამ გემს თავკაცობს იგი, რამდენი ზღვა და ოკეანე გადაუსერავს, სად არ ყოფილა, რომელ ქვეყანაში, რომელ ყურეში...

თავიანთი კაპიტნის ხელმძღვანელობით, მის მხარდამხარ შრომობენ ახლა ტანკერის ეკიპაჟის მოწინავე წევრები: — კაპიტნის უფროსი თანაშემწე ე. ცქიტიშვილი, კაპიტნის პირველი თანაშემწე ზ. გაბუნია, მოტორისტები: გ. შუბითიძე და გ. სვანიძე, მექანიკოსი ქ. ხალვაში, მეზღვაური ს. ვართანიანი და სხვები. სწორედ მათი — ახალგაზრდა კაპიტნის, მისი შრომისმოყვარე ეკიპაჟის ერთსულოვანი და თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ ახლა „მხატვარი ალექსანდრე გერასიმოვი“ სანაოსნოს ერთ-ერთი მოწინავე ტანკერია.

ოდითგანვე, ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან არსებობს მტკიცე ტრადიცია და დაუწერელი კანონი, რომლის ძალითაც ვერცერთი მეზღვაური, ვერცერთი ზღვაოსანი ვერ უღალატებს, ვერასდიდებით ვერ მიატოვებს განსაცდელში მყოფს, ყველაფერს იღონებს მის გადასარჩენად. ამ უძველეს ტრადიციას მტკიცედ და ღირსეულად იცავენ ჩვენი სანაოსნოს მეზღვაურებიც.

ჩვენი სანაოსნოს მადანმზიდი „მიხა ცხაკაია“, რომელმაც მეტად საჭირო ტვირთი ჩაუტანა კუბელ მეგობრებს, მშობლიური ნავსადგურისაკენ მიემართებოდა. ბერმუდის სამკუთხედის რაიონში, მეზღვაურმა ფ. დარჩიამ, რომელიც იმ დროს ვახტზე იდგა, შორს, ზღვაში რაღაც მოძრავი საგნები შენიშნა, მან ამხანაგებს მოუხმო, მოძრავ საგნებს კარგად რომ დააკვირდნენ, დარწმუნდნენ, ზღვაში ადამიანები იყვნენ და შველას ითხოვდნენ. გემზე მაშინვე განგაში გამოცხადდა. კაპიტნის ო. ფირცხალავას ბრძანებით გემმა მაშინვე იცვალა კურსი და განწირულთა საშველად გაემართა, საჭირო მანევრის შედეგად გემი საფრთხეში ჩავარდნილებს მიუახლოვდა. ჩაუშვეს კარჭაპი, მერე კი გემზე აიყვანეს ისინი, ალმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, დაანაყრეს, ისინი ამერიკის შეერ-

თებული შტატების მოქალაქენი აღმოჩნდნენ. გაუფრთხილებლობის გამო მათ იახტას ცეცხლი წაკიდებოდა, შემდეგ კი ჩაძირულიყო, ისინი თურმე სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ზღვაში და მშველელს მოელოდნენ. ბოლოს მართლაც აღმოუჩნდათ მშველელნი ქართველი მეზღვაურების სახით.

რაღა თქმა უნდა კიდევ ბევრი ფაქტისა და უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ, ვგონებ ესეც საკმარისი იქნება.

ბათუმის ნავსადგური!.. ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავსადგური, ჩვენი ქვეყნის უკიდურესი სამხრეთის ჭიშკარი, ფანჯარა და არტერიაა... წლის არცერთ დროს, ზამთარსა თუ ზაფხულში, შემოდგომასა თუ გაზაფხულზე, დარსა თუ ავდარში, თოვლსა თუ თაკარა სიცხეში, დღისით თუ ღამით, არ წყდება მისი მაჯისცემა, შრომითი რიტმი და ენთუზიაზმი. ყოველთვის, ყოველ საათს, ყოველ წუთს ფუსფუსებს, შრომობს, იღვწის ნავსადგური, ღებულობს გემს, გადმოტვირთავს. ტვირთავს და ისტუმრებს, ისტუმრებს და ისევ ელის. ელის ტანკერებს, ბალკერებს, ტრაულერებსა და თევზსაჭერ გემებს, ელის მადანმზიდებს... გემები კი წამდაუწუმ მიდი-მოდიან. მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნავსადგურებიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან, სხვადასხვა კონტინენტებიდან. მოდიან ზღვებთან, ოკეანეებთან, გრიგალთან და ქარიშხალთან ნაბრძოლნი და დაღლილივით უშვებენ ღუზას მშვიდ, სტუმართმოყვარე ნავმისადგომთან. უშვებენ და... სწორედ მაშინ იწყება ბრძოლა ყოველი საათისათვის, ყოველი წუთისათვისაც, რადგანაც წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ არსად ისე არა აქვს დროს ნამდვილი ფასი და მნიშვნელობა, როგორც აქ, ნავსადგურში. დროს ჭეშმარიტი ფასი და მნიშვნელობა მენავსადგურეებმა იციან ზედმიწევნით.

გემების დატვირთვისა თუ გადმოტვირთვისას დახარჯული ყოველი ზედმეტი საათი სუფთა ზარალი და მინუსია მუშაობაში. მენავსადგურეები კი, როგორც დროის ხელმომჭირნედ მხარჯველნი და ეკონომიის ხალხი, არასდიდებით არ დაუშვებენ ამას, უბრალოდ, მენავსადგურეებს არ სურთ იზარალონ.

ნავმისადგომთან, იქ, სადაც ვეებერთელა მშრალი ტვირთის გემები და ბარჟები დგებიან ხოლმე, ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩარიგებულან ცადაწვდილი მძლავრი ამწეები, მრავალსართულიანი სახლის სიმაღლე პნევმატური სატვირთელები. ამწეები ხმაურითა და ჭრაჭუნით იღებენ მძიმე ტვირთს გემის ტრიუმიდან, თუ პირიქით — ჩააქვთ გემის ტრიუმში. ამწეთა ჯიხურებიდან მოჩანს მთელი ნავსადგური, ყურე, გაშლილი ზღვა. ამ რთულ და მეტად პასუხსაგებ უბანზე ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან და შრომობენ სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ეროვნების

ადამიანები — მტვირთავები, დოკერები, ამწის მექანიზატორები, გამრჯე-გამობრძმედილნი, ჯანმაგარი და კუნთმაგარი, მეოცნებე და ალალმართალი ადამიანები. მრავალი კომპლექსური ბრიგადა მუშაობს ნავსადგურის ამ უბანზე, ერთმანეთს ეჯიბრებიან ბრიგადები და ბრიგადის ცალკეული წევრები. ამ შეჯიბრებებსა და ურთიერთგამოწვევაში კეთდება სწორედ ის საერთო და სასიკეთო საქმე, რითაც ასე ამაყობენ ხოლმე ბათუმელი მენავსადგურეები. ყოველდღიურ შრომაში მოპოვებული წარმატებებით პირველ რიგში დასახელების ღირსნი არიან ზ. ზაქარეიშვილის, მ. ანთაძისა და ე. ბოლქვაძის კომპლექსური ბრიგადები. ისინი შეუფერხებლად, გრაფიკის ზუსტი დაცვით ამუშავებენ ყოველ გემსა თუ ბარჟას, მოცდენა და შეფერხება მათთვის წარმოუდგენელი რამაა.

როცა ნავსადგურის ამ უბანზე, აქ მომუშავე ადამიანებზე ლაპარაკობ, არ შეიძლება პირველ რიგში ნავსადგურის მთავარი დისპეტჩერი ვ. ჯანელიძე არ მოიხსენიო. უკვე 41 წელია ვლადიმერი მშობლიურ საწარმოში შრომობს და ჩინებულად უძღვება რთულ, პასუხსაგებ, შრომატევად საქმეს. აბა საწუხარსა და სადარდელს, საფუსფუსოსა და მოსაგვარებელს რა გამოუელევს ვლადიმერს, როცა ხედავს ამდენი საქმეა, ამდენი მისახედია, როცა იცის, დრო არ ითმენს, როცა ყოველი წუთი და ნაბიჯი გაანგარიშებულია აქ...

ვინ მოსთვლის ახლა, თუ რამდენი ახალგაზრდა, ახალბედა მიიღო სამუშაოზე ვლადიმერმა, რამდენს ჩაუნერგა პატიოსანი შრომის სიყვარული, რამდენს შეასწავლა პროფესია, რამდენი დოკერი ჩაყენა ნავსადგურის მრავალრიცხოვან და შრომისმოყვარე კოლექტივის რიგებში.

ენერგიული, მშრომელი და გამრჯე კაცი, ვიდრე ცოცხალია, ვიდრე სული უდგას, ვერ გაჩერდება უქმად, ვერ მოისვენებს. ვლადიმერიც ასეა — იგი ჩვეული სიხალისით, ენერგიითა და ენთუზიაზმით შრომობს და იღვწის დღესაც. დღესაც უანგაროდ გადასცემს თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდა, ახალბედა დოკერებს. ამაოდ როდი ჩაუარა ვეტერანს შრომამ, მისმა გამოზრდილმა ყოველმა მოსწავლემ გაუმართლა იმედი. ვინ ჩამოთვლის ახლა, მისი ყოფილი მოსწავლეებიდან რამდენი მოწინავეა აქ, ვინ იცის, კიდევ რამდენს გამოზრდის ვეტერანი, რამდენს დააყენებს კეთილსინდისიერი შრომის დიდ გზაზე, რამდენს ჩაუნერგავს უანგაროობას, სიყვარულსა და პატივისცემას მეგობრების, თანამოსაქმეებისა და საერთოდ ადამიანების მიმართ.

დაუზარელმა და კეთილსინდისიერმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო კიდეც — ვლადიმერი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, ავტორიტეტითა და უანგარო, პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობს ნავსადგურის მრავალრიცხოვან, მრავალეროვან კოლექტივში. სჯერათ მისი, სწამთ მისი ნათქვამისა, მისი საქმისა. ვეტერანს მინიჭებული აქვს სა-

კავშირო საზღვაო ფლოტის საპატიო მუშაკის წოდება, დაჯილდოებულია შრომის ვეტერანის მედლით, ოქტომბრის რევოლუციისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

ამწის მემანქანეს ვაჟკაცური გამომეტყველება აქვს და ჯაფისაგან გაუხეშებული ხელები; თავზე რკინის ჩაფხუტი ახურავს, ზის ჯიხურში და ჩვეული მოძრაობით, სრულიად უბრალოდ, გაუჭირვებლად, თავის ნება-სურვილზე ატრიალებს ამწეს — ხან წინ წასწევს, ხანაც უკან, მის ხორთუმს, ტვირთს ამოიღებს და ზუსტად დანიშნულ ადგილზე დასდებს თუ დაყრის... უცქერი შორიდან ამწეებს და რატომღაც გგონია, რომ ადვილი სამართავია იგი. მაგრამ ეს ასე როდია...

ნავსადგურში ახლა ყველა იცნობს ცნობილ მექანიზატორს, თავისი საქმის დიდოსტატს შ. ჯინჭარაძეს. იგი ცნობილი მექანიზატორის, გამოცდილი სპეციალისტის პავლე რაკუტას ყოფილი მოსწავლე და მისი საქმის ჩინებული გამგრძელებელია. როცა ბათუმის ნავსადგურში ილიჩოვსკელ მენავსადგურეთა მაგალითზე ის-ის იყო ყალიბდებოდა პირველი კომპლექსური ბრიგადები, შოთა ჯინჭარაძემ სურვილი გამოთქვა გადასულიყო კომპლექსურ ბრიგადაში. კომპლექსურ ბრიგადებს, თავიანთი დანიშნულება რომ გაემართლებინათ, ორ-სამ ფრონტზე რომ ეწარმოებინათ გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები, საჭირო იყო, ისინი კვალიფიციური, ყოველმხრივ მომზადებული, მცოდნე და მრავალპროფილიანი სპეციალისტებით შევსებულიყო. ამიტომაც გაუხარდა ყველას შოთა ჯინჭარაძის გადასვლა კომპლექსურ ბრიგადაში.

იმ დღიდან მოყოლებული აქაა, კომპლექსურ ბრიგადაშია შოთა. ბრიგადა დიდი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის ნორმებს. 140-150 პროცენტი! ასეთია ბრიგადის ყოველდღიური მაჩვენებელი. შოთა ჯინჭარაძის წვლილი ბრიგადის წარმატებაში ერთობ დიდია და მნიშვნელოვანი. გამოცდილი მექანიზატორი ახლა „საპატიო ნიშნისა“ და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების ღირსეული კავალერია.

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მოწინავე, საპატიო ადამიანია ახლა ბათუმის ნავსადგურში, რომლებიც ნამდვილად არიან ღირსნი დაფასებისა და მოხსენიებისა...

ბათუმელ მენავსადგურეებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი ცოდნის შეძენის, გართობა-დასვენებისა და მკურნალობისათვის. მათ განკარგულებაშია წიგნადი ფონდებით მდიდარი ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, წითელი კუთხეები, კლუბი, გამოდის მეზღვაურთა გაზეთი...

უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მენავსადგურეთა და მეზღვაურთა საყოფაცხოვრებო პირობები, აიგება ახალი სახლები 60 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით, 500-ადგილიანი დასასვენებელი სახლი, 450-ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-

ლებლის კომპლექსი, ახალი საბავშვო ბაღები და ბაგები, ზღვისპირა არ-ქიტექტურულ ანსამბლს მალე დაამშვენებს საქართველოს საზღვაო სანა-ოსნოს 18-სართულიანი თანამედროვე კონსტრუქციის, ბეტონისა და მი-ნისაგან ნაგები შენობა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და გაფართოვდე-ბა საზღვაო ვაგზლის შენობა.

მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის დაარსების ას-წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის ნავსადგურს, ბათუმელ სახელოვან მენავსადგურეებს საჩემო ვითარებაში გადაეცა მთავრობის მაღალი ჯი-ლდო — „ხალხთა მეგობრობის ორდენი“.

ეს ჯილდო მათ გადასცა და კისფერი გზები დაულოცა სკკპ ცენტრა-ლური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდ-ნაძემ.

ესოდენ დიდმა ყურადღებამ, მათი შრომის ეგზომ დაფასებამ უსა-ზღვროდ გაახარა ბათუმელი მენავსადგურეები... ახლა ისინი წარმატებით ნერგავენ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ლენინგრადელ და სხვა მოწინავე სანავსადგურო ქალაქების მშრომელთა თაოსნობას, გაბედუ-ლად უსწორებენ თვალს მომავალს და წინასწარ სჭვრეტენ, თუ როგორი იქნება უახლოეს მომავალში მათი ნავსადგური, რა გაკეთდება, როგორ მოეწყობა იგი და რა წარმატებებს მიაღწევენ ერთსულოვანი შრომით, კოლექტიურობითა და ენთუზიაზმით.

...მზე ჩადის, ზღვას თანდათანობით ელება ნაცარ-ტუტის ფერი, ცაზე ვარსკვლავები იწყებენ კიაფს. ნავსადგურში, ნავმისადგომთან მდგარ გემებზე, ამწეებზე ნათურები ჩახჩახებს. ღამდება, მაგრამ ნავსადგური ჩვეული რიტმით განაგრძობს შრომას — ნავსადგურში არ არსებობს დღე და ღამე, აქ მხოლოდ ცვლაა — დღის ცვლა და საღამოს ცვლა. ასეა ახლა და ასე იქნება ყოველთვის, მანამ, სანამ იქნება ზღვა, იქნებიან დასაცლე-ლი და დასატვირთი გემები, სანამ მამაცი მეზღვაურები და გამრჯე მენა-ვსადგურეები იქნებიან.

— წავიდეთ აწი, თორემ აღარ შემიშვებს ქალი სახლში! — მეუბნება კაკოია და დანახარჯის გადახდას მასწრებს. მივუყვებით ელნათურებით გაჩახჩახებულ ქუჩას და მივსაუბრობთ. კაკოია არასდიდებით არ იტყვის არაფერს თავისთავზე, რაიშეს რომ შეეკითხები, მაშინ დამუნჯდება, და-ყრუვდება და შეეკვრება კრიჭა. ამიტომაცაა, რომ მასზე ბევრი არაფერი ვიცი. მხოლოდ ერთი შემთხვევა, თუ როგორ ებრძოდნენ ის და მისი ამხანაგები სამი დღის განმავლობაში აბობოქრებულ ზღვასა და ქარიშ-ხალს, როგორ გადაარჩინეს მათ გემი ღუზიდან მოწყვეტას. ამის შესახებ მე მხოლოდ მოგვიანებით, გაზეთიდან შევიტყვე. ახლა შემთხვევით მა-ხსენდება ეს და ვეკითხები:

— კი, მაგრამ, რატომ დამიმალე ეს?

გაოცებული მიყურებს, მერე მხრებს იჩეჩავს, მარიდებს თვალს, დასცქერის ასფალტს და სხვათა შორის ამბობს: — რავა, ავმდგარიყავი აბა და მეტრაბახა შენთან — ასე და ისე ვქენი, ასეთი გმირობა ჩავიდინე და ყველას მოუყევი-მეთქი? არაა ეს საჭირო, არ მიყვარს მე მაქფერი რამეები...

— კი მაგრამ...

— მოგცლია ერთი! — მაწყვეტინებს სათქმელს. — ასე იყო საჭირო, საქმე მოითხოვდა და გავაკეთე, ჰოდა, რაია სატრაბახო და მოსაყოლი?

არაფერს ვამბობ და დამნაშავესავით ვარიდებ თვალს. რას ეტყვი ან კი? ასეთი კაცია, ასეთი ხასიათის და ველარაფერს მოუხერხებ აწი.

გავდივართ მეორე ქუჩაზე, კუხვევთ მარჯვნივ და მის სახლთან ვჩერდებით.

— კი შეგიპატიჟებდი ახლა სახლში, მარა, ვერ დაგაძალებ მაინცდამაინც, ჩემი ბალნების შემხედვარე. მეზღვაური ვარ და მე მიჭირს გაძლება და შენ, მითუმეტეს, ვერ გაუძლებ! — მეუბნება და გაცინებული მიწვდის ვეება ხელს — კარგად იყავი აბა, ხვალ ისევ გნახავ! — ზანტად, რწევით მშორდება და მიღიღინებს თავისთვის: „ვირწევი შენი დალილაგემი და შენ ხარ ჩემი ნავსაყუდარი!“.

ჯემალ ჯაყელი

ნ. მალაზონიას შემოქმედება და ფოლკლორი

ნ. მალაზონიას შემოქმედების საფუძვლიანმა გაცნობამ დაგვარწმუნა მისი პოეზიის ფოლკლორისტული თვალსაზრისით შესწავლის შესაძლებლობაში. ამ მიზნით საერთო ქართულ ზეპირქმნილებებთან ურთიერთობაში განვიხილავთ მის ლექსებს, პოემებსა და სენტენციური ხასიათის სტროფებს, განმეორებით გამოცემათა რედაქციებისა და ვარიანტების გათვალისწინებით.

ლიტერატურულ - ფოლკლორული ურთიერთობის თვალთახედვით ინტერესს იწვევს ნ. მალაზონიას პოემა „გულიზარი“. ის რამდენჯერმე გამოიცა. მოშდევნო ახალი რედაქციები შეეხო მის მხოლოდ ლიტერატურულ-მხატვრულ მხარეს. პოემაში აისახა წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრის რთული პროცესები. ამ მავნე გადმონაშთთა შორის ლაპარაკია ე. წ. „აკვანში დანიშვნაზე! ანუ ახალგაზრდათა ბედის იმთავითვე გადაწყვეტაზე.

„აკვანში დანიშვნა“ გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ეს მიზანი მდგომარეობდა გვართა ურთიერთ მოსალოდნელი გადაკიდების თავიდან აცილების „პროფილაქტიკაში“. ის ზოგჯერ საგვარეულო ან ოჯახური „ეკონომიკის“ საუკეთესო დონის შენარჩუნების ან ამაღლება-გაძლიერების საქმეში სარგებლიანობის ელემენტსაც შეიცავდა, ხშირად კი მეგობრობის განმტკიცების გარანტიასა და მომავალ მოყვრობაში მის გადაზრდასაც გულისხმობდა, ყველა შემთხვევაში კი უარყოფით ხასიათს ატარებდა პირუკუ ქმედებითა და თავისი სამარცხვინო ან ტრაგიკული შედეგებით, რადგან საფუძვლად ანგარება, გამორჩენა ან გამოძალვა ედო.

ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნის რიტუალი, შემონახული თქმუ-

ლება-გადმოცემებში, ყოფითი დეტალების სახით პოემის ერთ პატარა მონაკვეთშია თავმოყრილი.

შუა კაცი დაღალა —
თვითონ ბევი იზეთ
და...
ყადრის ბალანა
დაინიშნა სიძედ.
ჯერ აკვანში არიან
ემინეც და ხუსნიც...
ასლანს კი უხარია
და ჯამაათს უხსნის,
რომ ეს ღმერთმა ინება
და შეცდომად არ თვლის,
რომ ნანატრი იქნება
მომავალი მათი.[1]

ხუსნი გაიზარდა და გახდა მწყემსი. უმშვენიერესი ქურთის ქალი გულიზარიც მწყემსია. ხუსნის ემინე კი არა, გულიზარი შეუყვარდა. დაიწყო ნაწარმოების კონფლიქტი. პერსონაჟთა შინაგანი განცდა ავტორმა გამოხატა ფოლკლორში ფართოდ ცნობილი მხარზე კოკაშემოდგმული ქალის მხატვრული სახის მოტივებით.

...არ დავარდეს დოქი სავსე,
ვაჟს რომ ხედავს ქურთის ქალი.[2]

ცნობილ ხალხურ ლექსში „თებრონე მიდის წყალზედა“ ვკითხულობთ:

მიდის და თვალი შეასწრო
ჭოხორა ბიჭსა გზაზედა
. . .
თებრონემ კოკა გატეხა,
ცრემლი მოუდის თვალზედა.[3]

კოკით წყლის მოტანისა და პატარძლის „წყალზე გაყვანის“ მოტივი ერთერთი საუკეთესო ლირიკული შენაკადია ქართულ ფოლკლორში და ის განეკუთვნება შრომის სიმღერების ფართო რკალს. მასში ხშირად გვხვდება ქალ-ვაჟის მოულოდნელი შეხვედრით ქალის შინაგანი მღელვარების, დამორცხვების, მხრიდან კოკის ჩამოდგმის, კოკის გატეხვის, კოცნისა და სხვ. მხატვრული დეტალები. ყველა ამ დეტალში რეალიზებულია სიყვარულის მძაფრი განცდა.

ქართულ ფოლკლორში გახმაურებული ლირიკული ლექსის „მთაში სალამურს ვაკვნესებ“ პირდაპირი ანარეკლია პოემის ის ადგილი, სადაც ვკითხულობთ:

დილა არის თუ სალამო,
ხუსნი, ახლა უკვე მწყემსი
თითქოს ტირის და სალამურს
ამეტყველებს მძიმე კვნესით.[4]

სალამური, მისი „კვნესა“, ლირიკული გმირის ნაფიქრ-ნააზრევის სალამურით გამხელა უშუალოდ ფოლკლორიდან მომდინარეობს. სწორედ ამ სალამურით, რომელსაც მწყემსი ბიჭი „ამეტყველებს მძიმე კვნესით“, ამხელს:

გოგოვ, ზოვლი მინდიხარ,
რეიზა დამწვი ასე?
რომ მოდიხარ, მიდიხარ
უჩუმარაი გზაზე.

---

1 ნ. მალაზონიას რჩეული ლექსები და პოემები, ბათ., 1962, გვ. 110. (ქვემოთ მითითებულია ეს გამოცემა)

2 იქვე, გვ. 114

3 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ჭუთაისი, 1934, გვ. 32

4 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 114

ქურთის ქალო, გულიზარ,
შენზე ვფიქრობ მუდამ.
ვკვდები შენი გულიზა,
მოგიტაცო უნდა.[5]

ზემოალნიშნული ფოლკლორული მოტივებისა და ხალხური მხატვრული სახეების გარდა მოტანილ ამონაწერში (პირველი ორი სტრიქონი) გაისმის აჭარული ზეპირსიტყვიერების გამოძახილი.

„გულიზარში“, ფოლკლორის ტული თვალთახედვით, გვხვდება საყურადღებო ადგილი. ჩვეულებრივ გვხვდება ხოლმე, მწერალი თავის ნაწარმოებს საფუძვლად უდებს ფოლკლორულ ნიმუშებს, მას გადაამუშავებს, „გადაადნობს თავის სულიერ ქურაში“ და გვაძლევს ახალ, დამოუკიდებელ ქმნილებას.[6] მაგრამ არის შემთხვევა, როცა ფოკლორული ნაწარმოები იქცევა მწერლის თხზულების მხოლოდ ცალკეული სცენის, ცალკეული თავის ან მონაკვეთის საფუძვლად. მიზანი კი ერთია — შეიქმნას ყველაზე უფრო მაღალი ტრამპლინი ნაწარმოების სამყაროში ფრენისათვის, გაამძაფროს სიუჟეტი. ამის ცოცხალი მაგალითია ალ. ყაზბეგის „მოძღვრის“ ის მონაკვეთი, სადაც ხალხური „ჯარჯის“ მაღალმხატვრული და ღრმად ფსიქოლოგიური პერიფრაზით კიდევ უფრო გამძაფრდა სიტუაცია და გადაიქცა ლიტერატურულ მოტივირებად, რამაც დიდი დამაჯერებლობა მიანიჭა ნაწარმოების ტრაგიკულ ფინალს. დაახლოებით ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს „გულიზარის“ ის სცენა, სადაც ლექსადაა პერიფრაზირებული ლეგენდა სიყვარულის უძლეველობის შესახებ. ამ ლეგენდის მიხედვით საკირეში ჩაგდებული შეყვარებული გადარჩა. მოსალოდნელი იყო მისი დაწვა; მაგრამ „თვით საკირე გადაიქცა ნაცრად“.

ლეგენდის მხატვრულად, სრულყოფილად აღქმის მიზნით მომყავს ვრცელი ამონაწერი:

და მურადი ძველ-ძველ ამბავს
ბაწარივით გრეხს და აბამს:
„სულთანს თურმე ერთი ქალი ჰყავდა,
თვალჟუჟუნა, მარგალიტის მსგავსი.
ჰირველი ყველა მგზავრს ჰკითხავდა,
მითხარით ამ ასულის ფასი!
ქალს მგზავრები აიყვანდნენ ცამდე,
მაგრამ ყველას საკირეში სწვავდნენ!
და მათ შორის იმ სულთანის იმ ქალს
სალამურით მწყემსი ბიჭი შეხვდა.
ქალმა თხოვა, მითხარით, ვინ ხარ,
იცოცხლე და მაცოცხლეო შენთან!
— ვერ ვიცოცხლებ,
ვერ გაცოცხლებ, ქალო!
თვითონ ხედავ თუ რა დღეში ვარო!
მაგრამ რა ვქნა სილამაზის თვალო,
ერთი მიყვარს, სხვა ვით შევიყვარო.
და ასულის გულში ბოლმა ჩაწვა,
ბრძანა, ვაჟი საკირეში ჩაწვან!..
საკირედან ცეცხლის ალი სცემდა,
სიმხურვალე ადიოდა ცაში...
და მონები იღვრებოდნენ ცრემლად,
როცა ცეცხლში გადაუშვეს ვაჟი...
მაგრამ ახლა სასწაული მოხდა,
სულთნის ქალსაც გაეყინა სისხლი.
არც წუხილი, არც კვნესა და ოხვრა —
საკირედან სალამური ისმის...

---

5 იქვე, გვ. 115

6 გოეთეს „ფაუსტი“, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ და სხვ. ფოლკლორული ნიმუშების საფუძველზეა შექმნილი

სადაც მგზავრებს უმოწყალოდ
სწვავდნენ,
ცეცხლი ახლაც ალიმართა ცამდე...
მაგრამ ახლა ურჩი ვაჟის ნაცვლად
თვით საკირე გადაიქცა ნაცრად!
სიყვარულის ცეცხლით ანთებული
საკირესაც დასწვავს თურმე გული[7]...

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდ როლს ანიჭებს სიყვარულსა და მის ძლიერებას ხალხური და სამწერლობო პოეზია. ი. ბ. სტალინმა რომ წაიკითხა მ. გორკის მოთხრობა „ქალიშვილი და სიკვდილი“, წიგნის არშიაზე დაწერა: „სიყვარული ამარცხებს სიკვდილს“. სიყვარულის უძლეველობაზე ჩვენ 1975 წ. გოდერძზე ჩავიწერეთ ასეთი ხალხური ნოველა: „ერთმა კაცმა იცოდა, რომ იმ ქალს ნამეტარი სწამდა ღმერთი. ამით ისარგებლა და უთხრა: თუ ღმერთი გწამს, მაკოცნიეო. ქალმა ღმერთის ხათრისათვის აკოცნია. სახლში რომ მოვიდა, დიდხანს მალა ეს ამბავი, მარა ვერ გაუძლო უთქმელობას და ქმარს უთხრა: ამა და ამ კაცმა მითხრა, ღმერთი თუ გწამს, მაკოცნიეო. მეც ვაკოცნიე და ასე იცოდე, უთქმელობა არ შემიძლიაო. ქმარი გაბღეზდა, მარა არაფერი არ თქვა. გათენდა დილა. ქმარმა გაახურა თონე და უთხრა ცოლს: თუ ღმერთი გწამს, ჩადი ამ გახურებულ თონეშიო... ქალი ქმარს მოუბრუნდა და უთხრა, ჩავალ, მარა შენ ინანებო. კაცმა არაფერი არ თქვა. ქალი ჩევდა ამ გახურებულ თონეში... ცოტა ხანი რომ გევდა, კაცს გულზე მოსწია — ქალი დავწვი, ისე გავსო“.[8] მაგრამ ქალი არ დაიწვა. ის ჩიტად გადაიქცა და გაფრინდა. ქმარმა ველარ დაიჭირა, ინანა.

ეს ფოლკლორული მასალა საფუძვლად უდევს ნ. მალაზონიას პოემის ზემოთ დასახელებულ მონაკვეთს. მასში პოეტურად ჰეროფრაზებულია ფოლკლორული მასალა — ლეგენდა სიყვარულზე. მისი ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საკირე თვით დაიწვა, სამსხვერპლო კი გადარჩა.

მთვარის ტრადიციულ ხალხურ მხატვრულ სახეს უხვად ვხვდებით სამწერლობო პოეზიაში. ხალხური „დავახშმებულ მთვარეს გავხარ“ პოეტური „მიზეზია“ ს. შანშიაშვილის სტრიქონისა „მთვარე ვახშმობს მუხებში“ („დედისერთა ლენინთან“). ნ. მალაზონიასთან ეს პოეტური სახე მხოლოდ „ემზადება“ ვახშმობისათვის: „მთვარე ვახშმის სუფრას იშლის“.[9] და ქმნის იდილიურ სურათს. მთვარის მხატვრული პოეტური სახე შედარებულია გულიზართან. ქალის სილამაზის შედარება სინათლესთან ან სინათლის წყაროსთან, ხალხმა საქორწინო ლექსებში განასახიერა:

ქალი მოგვყავს ნათელიო,
ალარ გვინდა სანთელიო.

---

7 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 141-142

8 მთქმელი ბოლქვაძე ა. ო., 75 წლისა, ხულოს რაიონი, სოფელი კორტოხი, ჩავიწერეთ 1975 წ. ბსკი ფონდი

9 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 142

ან:

ქალი მოგვყავს ნათელიო
ჩააქრევით სანთელიო.[10]

განსახილველ პოემაში ის წარმოგვიდგება ასე:

თითქოს მთვარე ანათებდეს, —
გულიზარი მიდის მთაზე.

გულიზარი ანათებს იქაურობას, თორემ:

„...თითიც აღარ მოჩანს
თვალთან ახლოს მიტანილი“ —

ვკითხულობთ პოემის მომდევნო სტრიქონებში. ეს კი ხალხური ანდაზის პირდაპირი განმეორებაა.

ჩვეულებრივ მზე, როგორც მხატვრული სახე, შედარებულია ქალთან, ხოლო მთვარე — მამაკაცთან. პოემაში ეს პრინციპი იცვლება, მთვარე ხან ქალთანაა შედარებული, ხან კაცთან, ასევე მზე. ამასთანავე შეინიშნება პოეტური ხერხების განმეორებაც.

თითქოს მთვარე ანათებდეს ---
გულიზარი მიდის მთაზე ---

შევადაროთ სტრიქონებს

თითქოს მთვარე მართლა ანათებდეს
ხუსნი ბნელში ისე მიდის მთაზე[11]

ცოტა ქვემოთ კი, პირიქით, ხუსნი გულიზარის სიტყვებით შედარებულია მზესთან. აი ესეც:

მიყვარხარ, უზომოდ მიყვარხარ
ხუსნი და
მზესავით მიდგიხარ დღემუდამ
თვალწინ.

მაშინაც წინ მედექ, ქურთებს რომ
უხსნიდა
ამ ამბებს მიწურში დაჭრილი კაცი.[12]

ქართველ მწერალთა ქმნილებებში სიყვარული და ღვინო არა მარტო ეროტიკული სცენისთვისაა გამიზნული, არამედ მოქმედი პერსონაჟის სახის გამოკვეთასა და ხასიათის უკეთ ჩვენებას ემსახურება. ბახუსის გავლენა ხალხურ შემოქმედებაშიც შეიჭრა და მიიღო სალაღობო ხასიათი ან ტრადიციული მხატვრული სახე, სადაც ღვინის ფერს და თვისებას ედრება ქალის ბაგე, სახის მომხიბვლელობა და მათრობელობა. ღვინოს ხალხურ პოეზიაში სხვა მოვალეობაც ეკისრება, — მან უნდა დააძლევინოს სიყვარულის „სიმძიმე“.

ბერძნის დუქანში ხმადაგეშილი
მღეროდა ჭოლა თაურმანიძე:
ჩამოასხი მიკიტანო,
დახეული ტიკიდანო,
ერთი გოგო ჩამყვა გულში,
არ ამოდის იქიდანო.[13]

როცა ამ სტროფს ვკითხულობთ, უნებლიეთ გვაგონდება აჭარული შაირების ცნობილი სტრიქონები:

გოგოვ შენი სიყვარული
არ ამოდის გულიდანა.

„გულიზარის“ ზემოაღნიშნული ადგილი, ხალხურ სტრიქონებთან უშუალო დამოკიდებულების გარდა, საინტერესოა იმითაც, რომ მასში ნათლად მოსჩანს ხალ-

---

10 აჭარის ხალხური პოეზია. I, თბილისი, 1969, გვ. 80

11 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 143-144

12 იქვე, გვ. 147

13 იქვე, გვ. 167

ხური საშემსრულებლო ტრადიცია, რაც ზოგადქართული და უფრო ფართოცაა. დუქანი, ღვინო, სიმღერა და მსგავსი რამ მსოფლიო ფოლკლორში ცნობილია ტრუბადურების, აედების, ბარდების, აშუღების, სკოვოროხების, მესტვირეების და სხვათა „მოღვაწეობით“.

ხალხურ მთქმელთა ზემოაღნიშნული ტრადიციის ანარეკლი ჩანს პოემაში, სადაც ვკითხულობთ:

შარაგზის პირად ბერძნის დუქანში
ისევ მღეროდა თოფალი ჭოლა:
„შე ოხერო მიკიტანო,
სახლში რაღა მივიტანო.
თითქოს მისით ცვივა გროში
გახეული ჯიბიდანო“.[14]

მკურნალობის ხალხური წესი ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს ყველა კუთხეში. მასზე, როგორც ეპიური ნაწარმოები, ასევე სახუმარო და იუმორისტული ხასიათის ლექსებიც იქმნებოდა. ერთერთი მათგანია ჩვენს მიერ ხევში ჩაწერილი მასალა, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა წესით და რა სამკურნალო საშუალებებით არჩენდნენ მოტეხილობას, დამწვრობას და სხვ.[15]

ბატონსა და ბატონობას შეუჩვეველი მთისთვის მძიმე და აუტანელი გახდა XVII ს. მეორე ნახევრის ქართველ ფეოდალთა კერძოდ, ერისთავებისა და ჭავჭავაძეების თარეში მთაში ფოლკლორმა ამ დამპყრობლური ლაშქრობების იროგვლივ ბევრი პოეტური ნაწარმოები შემოგვინახა. მათგან აღსანიშნავია ხევსურული იუმორისტულ-სატირული ხასიათის ლექსი ფეოდალ ჭავჭავაძეზე, სადაც მის დაჭრა-გაძევებასა და სიკვდილზეა ლაპარაკი:

ბრალია შენი სიკვდილი
ფუძნარში ჭავჭავაძეო,
თავზე გჭირს ორი ნახმლევი,
ზედ ერბო-კვერცხი გაძეო.[16]

განსახილველ ნაწარმოებში ლაპარაკია ხოჯის „მეთოდებით“ მკურნალობაზე, ავადმყოფის ფსიქიკაზე, ნუსხის შთამაგონებელ გავლენაზე და სხვ.

აკვირვებს გოგონას,
საწამლოდ
არ მოდის ხოჯა და მოლა.[17]

მსგავსი მოტივი მეორდება პოემის სხვა მონაკვეთშიც:

გვიან გავიგე და გვიან ვწუხვარ.
ვერ ავუვედი ხოჯის ჭადილებს,
ახლაც წელზე მაქვს სტამბულის ნუსხა,
იზეთს ასე სურს,
ხოჯას ეს უნდა.[18]

მართალია, ახალი ცხოვრების შუქზე ნუსხისადმი ავტორი აქ კრიტიკულადაა განწყობილი, მაგრამ ფაქტია, რომ ფოლკლორში ასახული ტრადიციის გავლენასთან გვაქვს საქმე. ასეთი გავლენა

---

14 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 169

15 მთქმელი ე. ჩიბაშვილი, 82 წლისა, ხევი, გერგეტი, ჩაიწერეთ 1975 წ. გსკი ფონდი

16 იქვე

17 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 136

18 იქვე, გვ. 184

ნათლად გამოჩნდა პოემის მომდევნო სტრიქონებში:

იქნებ სხვაზე გაჭორწინებს მამა,
შენ კი ჩუმად შეიყვარე სულ სხვა.
გვითხარი და ჩვენ მოგიტანთ წამალს,
ჩვენ მოგიტანთ ისტამბულის ნუსხას.[19]

„გულის ჭია“ — ეს ხალხური გამოთქმა ქართულ სამწერლობო პოეზიაში და, საერთოდ, ლიტერატურაში, დამკვიდრდა მხატვრულ ფრთიან სახედ. ის გამოიყენება პერსონაჟის შინაგანი სულიერი სამყაროს ნათლად გადმოცემისათვის. ამის კარგი მაგალითია:

სულს ვიბრუნებდი ძლივს,
გამწარებით,
თითქოს გულს მჭამდა ათასი ჭია.
ასე მეგონა, მკლავენ წამებით,
ძარღვებს მარწუხით მგლეჯენ და
მჭრიან.[20]

ნაწარმოებში ეს პოეტური სახე რეალიზებულია ინდივიდუალური ხერხით.

ყველასათვის ცნობილია ხალხური:

გაგვიძეხ ბერო მინდიავ,
მუხლი მოიმბი მგლისაო

და

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე.

ამ ხალხური სტრიქონებისა და მხატვრული სახეების განმეორებას წარმოადგენს ნ. მალაზონიას სტრიქონები პოემიდან:

თითქოს ვეფხის მუხლი ედგას —
ალმართს ისე კეცავს მურად.

მისი ქორის თვალთა ხედვა
კაცს შეაკრთობს უნებურად.[21]

ხალხური ლექსიდან ცნობილი „მგლის მუხლი“ ამ სტრიქონებში შეცვლილია „ვეფხის მუხლით“, ხოლო „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“, სადაც იგულისხმება გზა, შეცვლილია „ალმართის (ანუ იგივე გზის) კეცვით“. აქ ფოლკლორული ხედვა და პოეტური ხილვა ერთადაა მოცემული და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

პოემაში ვკითხულობთ ქვემოთ ციტირებულ სტრიქონებს და ვრწმუნდებით, რომ მათ კონკრეტულ სიტუაციებში დიდი მხატვრული, ტექსტუალური და ემოციური კავშირ-ურთიერთობანი გაჩნია, ისეთ ცნობილ ფოლკლორულ ნიმუშებთან, როგორიცაა „არსენას ლექსი“ და „ამირანი“. ჯერ განვიხილოთ ადგილი პოემიდან იმ სიცხადისათვის, რასაც დავინახავთ ხალხურთან შედარებისას. აი ესეც:

იმ გოგოს ვინც ცოცხლად დამიჭერს,
კისრამდი საჩუქრით ვავსებ...
მოჰკლავს და... იმასაც ვყაბულობ,
ოღონდ მიჩვენოს მკვდარი.
წაიღონ თოფი და საფულე,
წაიღონ ხელმწიფის ჯვარიც...
წაიღონ სულიდან ხორცამდე
სახლი და სიმდიდრე მთელი,
მის დამჭერს მაჰმადი ლოცავდეს,
ცოცხლობდეს იმისი მკვლელი.[22]

„არსენას ლექსში“ ნაცნობი სიტყვიური ინვენტარი და ინტო-

---

19 იქვე, გვ. 190
20 იქვე, გვ. 186
21 იქვე, გვ. 195
22 იქვე, გვ. 208-209

ხაციები ასეთივე სახით წარმოსდგება. განსხვავება ისაა, რომ აქ ლაპარაკია მამაკაცზე (არსენა), პოემაში ქალზე (გულიზარი): „ასი ოქროა“ გადადებული არსენას დასაჭერად („ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა“), პოემაში აურაცხელ სიმდიდრედაა შეფასებული გულიზარის სიცოცხლე, ოღონდ ბნელმა ძალებმა გახარონ „გულის ჭია“ („კისრამდი საჩუქრით ვავსებ“). პოემაში გვხვდება, აგრეთვე, ნაძლევის ნატურით ანაზღაურების ფაქტები. მაგალითად გულიზარის დამჭერმა „წაიღოს თოფი და საფულე“, „ხელმწიფის ჯვარიც“, „სახლი და სიმდიდრე მთელი“, და ვინც ამას იზამს, იმას სხვა სიკეთეც ელის — დალოცვილი იქნება სიცოცხლის მანძილ'ზე. დანაპირების ნატურით ანაზღაურება და ზედ გულითადი ლოცვა-კურთხევის მიყოლება კონკრეტულად არის გამოხატული „ამირანში“, კერძოდ იმ ადგილას, სადაც მკითხველი ეცნობა ცამცუმსა და მის „თითებსა და თითებს შუა“ მოთავსებული წერილის შინაარსს...

მოვიტანოთ შესადარებელი მასალა „არსენას ლექსიდან“.

ეს რომ ზაალმა გაიგო,
ორთავ თვალთ შექნა ცრემლა,
ქალაქში გამოაცხადა,
ღუბერნატორს მოახსენა:
გამოვარდა ერთი ბიჭი,
დამაქცია, დამანელა!
წამახდინა არსენამა,
თუ რამეს მიშველით თქვენა!
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ,
ძნელია ჩემი დარჩენა.[23]

ზაალის ამ საჩივრის პასუხად გუბერნატორმა ას ოქროდ შეაფასა არსენას პიროვნება:

ბრძანება შემოეთვალათ,
თბილისიდან უფროსებსა:
ერთი კაცი აგრე ჩადის
ათასი რას შეიძლებსა.
ასი ოქრო გაუჩინეთ,
ვინც არსენას დაიჭერსა.[24]

„გულიზარიდან“ ზემოთ ციტირებულ სტრიქონებს პირდაპირი შემოქმედებითი კავშირი რომ აქვს „არსენას ლექსის“ აქ მოხმობილ სტრიქონებთან, ამას, როგორც იტყვიან, კომენტარები აღარ სჭირდება. ანალოგიური და უფრო ხელშესახები ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის მაგალითია „ამირანიდან“ ამონარიდი მაღალმხატვრული და მაღალემოციური სტრიქონები:

ადგა ამირან წიხლი ჰკრა,
იქ შეიღო კარი მისი,
შიგ ერთი კვდარი ესვენა
საწყალი და საბრალისი.
მარჯვნივ უჯდა ცოლი მისი,
ფეხთით ება რაში მისი,
გვერდით ედო ერთი ხმალი
იამან და მასრი მისი,
თავში შუბი უყუდია
გალესილი ალმასისა.
თითებშუა წიგნი უძევს —
ანდერძია სიკვდილისა.
ამირანმა წაიკითხა
ცრემლი მოსდის საზარლისა:
„მანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
არ შევჭამე ჯავრი მისი.

---

23 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1964, გვ. 36

24 იქვე, გვ. 38

დამრჩა ერთი ბაყბაყდევი,
ვაიმე, ჩამყვა ჯავრი მისი,
ვინც რომ ბაყბაყდევს მოკლამს
ჩემი ხმალი ალალ მისი...25

(ხაზი ჩვენია — ჯ. ჯ.)

სხვადასხვა პირობათა შესასრულებლად უსუფის დისწულის ანდერძ-ბარათში ვკითხულობთ: „შუბი მისთვის ალალ მისი“, „ჩემი რაში ალალ მისი“ და სხვა.

პიროვნების დასაჭერად, შესაპყრობად ან მოსაკლავად საჩუქრად ოქროს, ნივთებისა და ქონების გაცემა, რაც აღნიშნულ და სხვა ფოლკლორულ ძეგლებშია მოცემული, ანალოგიურ სიტუაციაშია განმეორებული, როგორიცაა: „ყელამდე საჩუქრით ავსება“ და შემდეგ მისი კონკრეტიზაცია, საჩუქრად გაცემა: თოფის, ფულის, ხელმწიფის ჯვაისაც კი და სხვადასხვა. ეს ანალოგია ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ გულუხვად და საინტერესოდ იყენებს ნ. მალაზონია ფოლკლორულ მასალას. მან იცის, რომ ლიტერატურულ - ფოლკლორული ურთიერთობა ყოველთვის გულისხმობს შედეგის მხატვრულ სიმაღლეს და ემოციურ ზეგავლენის კერების მხურვალებას.

ფოლკლორისტული თვალსაზრისით ინტერესს იწვევს, აგრეთვე, პოემა „ქორწილი“. მართალია, აქ ჭარბობს ეთნოგრაფიული რიტუალების აღწერა, მაგრამ მასში ხელშესახები ფოლკლორული საწყისები უთუოდ ყურადღებას მოითხოვს. ის, რაც ყველაზე უფრო დამაჯერებელია, სიტუაციასთან მორგებულია, ბრძნული და უტყუარია, სოფლად დღესაც მიჩნეულია, როგორც „ძველი კაცის ნათქვამი“. ვინ არის ეს „ძველი კაცი?“. ეს სხვა არაფერია თუ არა ერთ გრძნობად-კონკრეტულ სახეში ქვეცნობიერად მთელი ხალხის სიბრძნის განჭვრეტა, ხალხური შემოქმედების, თვით ხალხის ერთ კონკრეტულ, ცოცხალ, ხელშესახებ მხატვრულ პერსონაში გაერთიანება და წარმოდგენა.

რა იგულისხმება „ძველი კაცის ნათქვამში?“. — ლეგენდა, მითი, ამბავი, გადმოცემა, იგავ-არაკი, სენტენცია, ანდაზა, ბრძნული გამონათქვამი და სხვა. ამიტომაცაა, რომ მსმენელის შესამზადებლად ამბობენ — „ძველი კაცის ნათქვამია“. და იწყებენ მბობას. ამით კი ნათქვამს მეტ ემოციურობასა და დამაჯერებლობას ანიჭებენ. დასასრულ მთხრობელი ნათქვამის განსამტკიცებლად კვლავ ამბობს: „ეს ძველი კაცის სიტყვაა“, „ეს ძველი კაცის ნათქვამია“, „ძველი ამბავია“ და სხვა.

ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ ნ. მალაზონიას პოემა „ქორწილიდან“ სტრიქონები:

ეს ძველისძველი ამბავი
არვის ეგონოს სადაო...26

როცა მთხრობელი, მოამბე ე. წ. „ძველი კაცის“ დამოწმებით იწყებს საუბარს, იმთავითვე იგრძნობა, რომ წინასწარვე უზრუ-

25 იქვე, გვ. 19

26 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 97

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნველყოფილია გარანტია მისი დიდი სიამოვნებით მოსმენისა, ყოველგვარი რეგლამენტის გარეშე. ხშირად ამბის მოსმენის ასეთი სურვილი ატარებს წუხილის შემსუბუქების, დარდის მოთმენის, საბრძოლო დარაზმულობის და სხვა ხასიათს. ეს ბუნებრივიცაა, ხალხური ქმნილება ისევ ხალხს ეკუთვნის და რა გასაკვირია, რომ ის ასახავდეს ხალხისავე სულს, მის ტკივილებს და ინტერესებს, ეხმარებოდეს ჭირთა თმენაში.

რად არ გძინავს, გეყურბანე?
— ბაბა, ძველი მითხარ რამე,
რომ დილამდე გაგყვეს ბარე...
მოჰყევ რამე, გეყურბანე![27]

ფოლკლორზე დაფუძნებული ჭეშმარიტად დიდი და მაღალმხატვრული ნაწარმოები თავისი პოეტური ნიუანსების მიმოქცევაში იდუმალი ძალით ხალხურისავე სამყაროს ხსნის და მისი წაკითხვის შემდეგ პერსევერაციული გზით გონებაში წამოტივტივდება, როგორც ჭეშმარიტად ხალხური. ამის მაგალითია ხალხური სტრიქონების მოკრძალებით შესვლა ვაჟას ნაწარმოებებში, საიდანაც ამ გაკეთილშობილებულმა სტრიქონებმა თავისი დიდი ოსტატობითა და ემოციური პათოსით ისევ ფოლკლორულ ნიმუშს გადაანათა და გაამკრთალა ზღვარი ხალხურსა და ავტორისეულს შორის. ეს უკანასკნელი საკმაო გაბედულებით შეიწვია ნ. მალაზონიამ თავის პოემაში ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ის წმინდა ხალხური ეგონა და არა ვაჟას მიერ გაკეთილშობილებული „ხალხური“. ახასიათებს რა დასაქორწინებელ ახალგაზრდებს, ამბობს:

ვაჟი — ჩანჩქერმა მთისამა,
ქალი — პირიმზემ ზარდაო.[28]

პოეტი მითოლოგიურ ჭრილში იხედება, როცა ამავე პოემაში გვთავაზობს სტრიქონებს:

წმინდა აგუნავ, აკურთხე
ვენახ-მარანი აჭარის.
აგუნავ, ღვინოც აკურთხე
და საქორწილო მაჭარი.[29]

აგუნა[30] აქ წარმოდგენილია იმ პირველ დამლოცველ მოსიტყვედ, რომლის შემდეგაც უფლება ენიჭება ყველას ლხინი, ამ შემთხვევაში ქორწილი, შეიყვანოს ძალაში და მიანიჭოა თავისი ტრადიციული ფორმა.

პოეტისათვის კარგადაა ცნობილი ის ხალხური საქორწილო ტრადიციები, რომლებითაც განსაზღვრულია ნიშნობისა და ქორწინების ცერემონიები: მდადეს გამოძებნა, თავმაყრის შერჩევა, დედოფალზე კანფეტების მირთმევა და მრავალი სხვა.[31] ხდება

---

27 იქვე, გვ. 141

28 იქვე, გვ. 97

29 იქვე, გვ. 100

30 აგუნა — ყურძნის ღვთაების საპატივცემულო რიტუალი. ასრულებდნენ ახალწლის საღამოს ან მეორე დღეს. დაწვრილებით იხილეთ ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950 წ.

31 მ. ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები, ბათ., 1974, გვ. 59 („ქორწილი და საქორწილო რიტუალები“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეც, რომ ავტორი იოლი გზით მიდის პოეტური გამოსახვის საშუალებებთან, რის გამოც ლაფსუსები პოულობენ მათთვის აკრძალულ ადგილს, ასეთია მაჰმადიანური წესით შესრულებულ ქორწილში წმინდა ქრისტიანული რიტუალის დაშვება, როგორიცაა ჯვარისწერა.

გამონახეთ ფრთხილი დადე,
მეჯვარე და თავმაყარი.
სინზე ტკბილი მოამზადეთ
ჯვრისწერის დროს დასაყარი.32

მოტანილი სტროფის პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ეთნოგრაფიულ ჭრილში საწესჩვეულებო პოეზიის ანარეკლს; სიტყვით ტკბილეულობის მირთმევა, მაყრის თანდასწრებით დედოფლის ქოლგაზე კანფეტების გადაყრა და სხვა რიტუალები ახლო წარსულიდან იღებს სათავეს და კვლავაც ფეხმოდგმულია.

ყველასათვის ცნობილია ხალხური საგმირო ლექს-სიმღერები „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „მუმლი მუხასა“ და სხვა. ეს ისტორიული ავბედითობით ნაკარნახევი ფრაზაა იმ დიდი სათქმელისა, რომელიც ოპტიმისტური ტრაგედიის განწყობილებათა რიგს განეკუთვნება. მასზე იმთავითვე დახარბებული იყვნენ პოეტები: „მუმლი მუხასა“ და „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ მრავალი პოეტის ლექსებში გვხვდება. ეს უკანასკნელი ნ. მალაზონიასთანაც წარმოგვიდგება. მასში ლაპარაკია ომსა და სისხლისღვრაზე:

სირცხვილი, ვინც იგვიანებს
სად გვცალია დასამუხლად!
და სოფელში იგრიალეს:
„ხმალს ხელი“ და „მუმლი მუხას.“33

ეპიური ხასიათის ნაწარმოებთა გვერდით ცალკეულ ლექსებში საკმაო სიცხადით წარმოგვიდგება ნ. მალაზონიას შემოქმედების ფოლკლორთან სიახლოვე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სალაღობო ხასიათის სიუჟეტური ლექსი „რამაშა“.

„რამაშას“ გამოსახვის საშუალებები, განწყობილება, სტილური ნიშნები და სხვა ხალხური შემოქმედებიდან იღებს სათავეს. თვით სიტყვის ფორმაცა და ჟღერადობაც ხალხურია. ხალხურ სიმღერებში საკმაოდ მოგვეპოვება ცალკეული ფორმები, როგორიცაა: დიელო, რერო, რაშა, რაშოვრინდა, ლალე, დელი-დელა, ჩაგუნა და სხვა.[34] ამავე რიგში დგას სიტყვა „რამაშა“. თითქოს კონკრეტული შინაარსი არ გააჩნიათ, მაგრამ მათი სემანტიკური მხარე საკმაოდ ცნობილია ქართველი კაცისათვის, ამიტომაც ისინი დანიშნულებისამებრ, სწორედ თავის ადგილას იხმარება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხური სასიმღერო რეპერტუარისათვის განუყრელი მისამღერი თუ რეფ-

32 ნ. მალაზონია, იქვე, გვ. 100

33 იქვე, გვ 102

34 რამდენიმე მათგანი ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული და სხვა ხასიათის ანსამბლების სახელწოდებადაც იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენული ფორმები შორეული წარსულიდან მოდის და ჩვენს სინამდვილეში ერთი წუთითაც არ თმობს პოზიციას. ამათგან ალსანიშნავია „დელი დელა“, რაც პოლითეიზმის ეპოქაში ქალღმერთი დალის სადიდებელი სიმღერა უნდა ყოფილიყო, ხოლო „ჩაგუნა“ ხვავისა და ბარაქის ღვთაების აგუნას უკვდავი აპოთეოზია. ამ თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ნ. მალაზონიას ლექსი „რამაშა“. დავრწმუნდებით, რომ ის თავისი დანიშნულებით, როლით, ემოციური და სემანტიკური მხარით სწორედ ხალხურში ღრმად შემონახულ, ზემოდასახელებულ თვითმყოფად სიტყვათა რიგს განეკუთვნება.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის შედეგი, რასაც ვიღებთ ლექსის ტექსტუალური ანალიზით, ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისით. ნაწარმოებში გვხვდება კონკრეტული ხალხური ლექსების პირდაპირი ანარეკლიც. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია ხალხური ლექსი:

გოგოვ, გოგოვ, კისკისა
აქ ჩამოდი წყლისპირსა,
წყალი მასვი კოკითა,
გამაძღევი კოცნითა.[35]

ეს სტრიქონები შინაგანი პოეტური კანონზომიერებითაა გადაბული ლექსში „რამაშა“.

რამაშა და რამაშა,
გოგო გამეთამაშა,
კოცნა ვთხოვე, არ მაკოცა,
წყალი ვთხოვე — არ მასვა.[36]

წყურვილად გარდასახული სურვილი და ლტოლვა გრძნობათა დასაკმაყოფილებლად, ამ გრძნობათა გაფორმება სიტყვიერად — — ეს ყველაფერი ციტირებული ლექსისა და შესადარებელი მასალის მთავარი საერთო ნიშნებია.

ქართველ მთიელთა მდიდარმა პოეტურმა ტრადიციებმა შემოგვინახეს პიროვნების შინაგანი სულიერი განწყობილების გადმოცემის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რაც მდგომარეობს ამავე განწყობილების, სათქმელის ლექსად გადმოცემის თავისებურებაში. „ლექსად გადმოცემა“, „ლექსით გამხელა“ ჩვეულებრივ საკრავიერი ინსტრუმენტის თანხლებით ხდებოდა. ის გაშაირება-გალექსების სახითაც გვევლინება.

ნ. მალაზონიას ლექსში „რამაშა“ ლირიკული გმირის სათქმელი არც გაშაირების ხასიათს ატარებს და არც საკრავიერი ინსტრუმენტის თანხლებას მოითხოვს, თუმცა ავტორი ჩვეულებრივ საჯაროდ კითხვისას რეფრენებს, როგორიცაა, „რაშოვ დილა რამაშა, ჰეეე“ — წარმოთქვამს სიმღერით.[37] მიუხედავად ამისა, ნ. მალაზონიას „რამაშა“ ცოცხალი მაგალითია ე. წ. ტრადიციული „ლექსად თქმისა“, „ლექსით სათ-

---

36 ნ. მალაზონია რამაშა, „საბჭოთა აჭარა“, 1968, გვ. 3.

37 აჭარის რადიოს ფონეტიკური ფონდის ფირი

35 აჭარის ხალხური პოეზია, I, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, გვ. 113

ჭმელის გამხელისა“. მასში ვკითხულობთ: „გავბედე და ვუთხარ ლექსად“.

ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ორგზის პერსონაჟი სახალხო მთქმელი ღინჯა ხულელი თავის ძირითად და სანუკვარ სათქმელს ლექსად ამბობს ფანდურის თანხლებით. ელგუჯასა და სვიმონის შერიგება[38] საკმაოდ ძნელი საქმე იყო, რადგან ისინი ერთმანეთის მოსისხლეებად ითვლებოდნენ. ღინჯამ ეს წარმატებით მოახერხა მხოლოდ ლექსის მომარჯვებით, სათქმელის ლექსად გამხელის გზით.

სათქმელის ლექსად გამხელა ქართულ ფოლკლორში გვხვდება სხვადასხვა ასპექტში. ძირითადად ის ქალისადმი, მეგობრისადმი ან ხალხისადმი სუბიექტური ნააზრევის, სურვილის, წადილის გამხელას გულისხმობს საკმაოდ მორიდებულ ფორმებში, ზოგჯერ კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მთავარი სათქმელის ერთბაშად ამოთავების მიზანს ისახავს. არის შემთხვევები, როდესაც ამ სათქმელის ანდერძად დატოვების სურვილსაც გამოხატავს. ამგვარ გაგებათა შენაჯამის საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია ცნობილი ფოლკლორული ნიმუში „ლექსო, ამოგთქომ“, რაც ხალხური ფილოსოფიური ლირიკის, „წუთისოფლისადმი“ დამოკიდებულების, წარმავლობის სევდის საინტერესო გამოხატულებაა:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორემ იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე.

. . .

ნეტავი, ჩემო სახელო,
დიდხანსაც იხსენებოდე.
ჩემო ნათქვამო სიტყვაო
შენამც კი გაჰქვეყნდებოდე...[39]

„ლექსად თქმა“ ანუ ლექსის მეშვეობით სანუკვარი სათქმელის გამხელა მიზანს მაშინ აღწევს, თუკი ის ნათქვამია გრძნობით, მთელი უშუალობით, გულწრფელობით. ასეთ შემთხვევაში მოპირდაპირე რწმუნდება მთქმელის გულწრფელობაში, აღეძვრება მისდამი სიმპათია, მთლიანად ექცევა სანეტარო გავლენის ქვეშ და დაჰყვება მთქმელის სურვილს. იშვიათია შემთხვევა, რომ „ლექსად თქმამ“ მიზანს არ მიაღწიოს. ნ. მალაზონიას „რამაშაშიც“ ასე მოხდა — ქალიშვილი დათანხმდა, ლექსის ლირიკულ გმირს გაჰყვეს ცოლად. ამის შედეგი ძირითადად ლექსის დაბოლოებაში გამოვლინდა:

კიო, თქვი და ცა გამიღო,
გული გამიკაშკაშა.
ის დედიკო, მე მამიკო
აბა, რა სჯობს ამასა.
რვა გოგო მყავს კაბაჭრელი,
ცხრა ბიჭი მყავს ულვაშა.
მაღალია სახლის ჭერი,

38 ჩვენი საუნჯე, ტ. II, 1960, გვ. 137

39 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1961, გვ. 21-22

ბედნიერი ვარ და ვმღერი,
რაშოვ დილა, რაშოვ რერი,
რაშოვ დილა რამაშა,
ჰეეე...[40]

ამავე ავტორის სხვა ლექსებშიც გვხვდება „ლექსად თქმის“ საინტერესო ფაქტები. უფრო მეტიც — ავტორი მაღალი პოეტური ტრიბუნიდან აყენებს კითხვას.

შენზე სიტყვა როგორ ითქმის
ულექსოდ.[41]

ამ უსათაურო ლექსის მიხედვით, ცნობილი ფოლკლორული ტრადიციებიდან გამომდინარე, ავტორს მიაჩნია, რომ მთავარი სათქმელი მხოლოდ ლექსით უნდა ითქვას. ამის ნათელი დადასტურებაა მისივე ლექსი „ჩემი სოფლის სიყვარული“, სადაც ვკითხულობთ:

ვუთხარ ლექსი სალაღობო,
შინ წამომყვა დანიშნული.[42]

პოეტი, ლექსის გარდა, პატივსა სცემს, აგრეთვე სიმღერას. სიმღერა „ჩარირამას“ გვერდით ლექსში გვაწვდის რა სხვა სიმღერების შესახებ ცნობებს, დასძენს:

...და პირველად აქ ვიმღერე
„ხბოს ლექსი“ და „ჩარირამა“.

მომდევნო სტრიქონებში კი გვთავაზობს თავისებურ პოეტურ დასკვნას:

არ მიყვარდეს ეს სიმღერა
მაპატიებს ვინმე განა![43]

ეს ბოლო სტრიქონები გადაწყვეტილია აჭარული „განდაგანას“ კვალობაზე, სადაც მეორდება „ჩემი სოფლის სიყვარულის“ რეფრენული მინაწერი. ამისავე მაგალითებია იგივე „ხბოს ლექსი“, „ჩარირამა“ და „ვადილა“, როგორც მოსასმენად „საამო და მოსახლენი“.[44]

ამრიგად, როგორც აქ მოხმობილი მასალებიდან ჩანს, ქართული მწერლობის უფროსი თაობის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენლის პოეტ ნესტორ მალაზონიას შემოქმედება საინტერესოა ფოლკლორისტული თვალსაზრისითაც.

40 ნ. მალაზონია, რამაშა, იქვე, გვ. 4
41 იქვე, გვ. 6
42 იქვე, გვ. 15
43 იქვე, გვ. 14
44 იქვე, გვ. 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

ᲚᲐᲚᲐᲓ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ

თავისთავად ასსა და სამასს შორის არავითარი მაგიური კავშირი არაა. ჩვენს სინამდვილეში კი ეს რიცხვები ერთი კუთხის ისტორიაზე ძალიან ბევრს გვეუბნება. უკვე შესრულდა ასი წელი, რაც აჭარა ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა.

რამდენადაც სამასი წელი ძალიან ბევრია ნგრევისათვის, იმდენად ასი წელი ცოტაა აშენებისათვის. სამასწლიანი ბატონობა ამ კუთხეს ძალიან ძვირად დაუჯდა.

ყოველი დამპყრობის მიზანია, დაპყრობილ ხალხებს წაართვას მეხსიერება, დაავიწყოს მისი წარსული, ისტორია, კულტურა. ოსმალთა მახვილი სწორედ ქართული კულტურის ძირების ამოძირკვას ემსახურებოდა; მტერი ანგრევდა და ცეცხლს აძლევდა დიდებულ ტაძრებს, საეკლესიო არჭივებს, რომლებშიც შემონახული იყო ერის კულტურის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები, ძვირფასი ხელნაწერები, თარგმანები და ბევრი სხვა რამ. ყოველივე ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარას, გარკვეულ პერიოდში დაეკარგა ის კულტურული ბაზისი, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ღირებულის შექმნა სულიერ სფეროში. ეს ბაზისი აღორძინდა და ჩვენი მხარე საერთო ეროვნულ ფერხულში ჩაება დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, განსაკუთრებით კი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამან ცხადყოფს საერთოდ კულტურის ამაღლება და განსაკუთრებით მხატვრული აზროვნების კერის გაჩაღება. სწორედ ამ ასპექტში გვინდა განვიხილოთ პოეტ ჯემალ ქათამაძის ლექსების კრებული, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარამ“ შარშან მიაწოდა მკითხველებს.

პოეტს თავისი წიგნისთვის საკმაოდ მომხიბვლელი სახელი შეურჩევია: „რაც მინატრია“, მაგრამ იგი არაა მხოლოდ „ნანატრი“, პოეტის ხანგრძლივი ნაფიქრალი და ნააზრევია.

კრებულის თემატიკა მრავალმხრივია. პოეტს ერთნაირად ხიბლავს ბუნების სილამაზე და სამყაროს საერთო კანონზომიერება, ადამიანებს შორის ურთიერთობა. და აღელვებს ის, რაც ამ ურთიერთობას ემუქრება.

პოეტი ძალიან ბევრს ხედავს სამყაროში, ბუნებაში. ახალს არაფერს ვიტყვით იმის აღნიშვნით, რომ ბუნება შემოქმედების წყაროა, რომ ბუნებაში არსებობს სილამაზე, მშვენიერება. მაგრამ სამყაროს დიდებულ ჰარმონიაში მშვენიერება რომ დაინახო და შემდგომ ის ადამიანისათვის მისაწვდომი გახადო, უპირველესი პირობაა ბუნების სიყვარული. თუ ბუნების მიმართ შენი დამოკიდებულება, შენი პოზიცია არა გაქვს, ძნელია რაიმე ღირსეული თქვა ბუნების შესახებ.

არ მიყვარს ლოდი

. . .

ხავსიანი,
მიწა გამშრალი,
ბალახიანი მიწა მიყვარს,
მთები ტყიანი,
სიცოცხლე მიყვარს,
მზიანი და ხმაურიანი...

პოეტისათვის განუყოფელია ბუნება და სოფელი, რომლის წიაღშიც ყალიბდებოდა იგი. ამიტომაც არის მისთვის ახლობელი სოფლის თემა. სიტყვა „ახლობელიც“ კი ვერ გამოხატავს იმ მაღალ განცდას, პოეტს სოფლისადმი რომ აქვს. სწორედ ამ თემას ეძღვნება მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „სოფლის გზაზე“, მასში მოცემულია სოფლის სილამაზის ადამიანური განცდა.

მომენატრა ჩემი სოფლის
მინდვრები და ყანა,
აკაციის თეთრი ტოტი,
დედის ტკბილი ნანა,
გოგო ლოყახალიანი,
გაღიმება თბილი...

ამ ლექსში ფარული სევდაც იგრძნობა. ეს არის წრფელი სიყვარულის გახსენება...

ქართველი კაცისათვის სოფელს განსაკუთრებული მადლი აქვს. მისთვის სოფელს სამშობლოს მნიშვნელობა ენიჭება. პოეტი აღტაცებულია ქართველი ხალხის წარსულით, მისი გმირობით, შრომის სიყვარულით.

მცხეთა ვინ ააღაღადა,
ვინ დასცა შამჭორს დროშები,
ყველა მთას ვინ მიახტა
ამდენი ციხე-კოშკები!

ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ შენს ხალხს აქვს ისტორია, წარსული, რომლითაც შეგიძლია იამაყო: „...და იზომება ამითაც, ჩემი მამული დიდია“.

ამასთან პოეტი კარგად გრძნობს, რომ არაა საკმარისი იამაყო მხოლოდ წარსულით. საჭიროა შენს სამშობლოს მუდამ გვერდში ედგე, აკეთო ის საქმე, რაც მას

ესაჭიროება. ყოველივე ამისათვის იგი მზადაა. ამას ეძღვნება ლექსი „ჩემი თაობა“. ეს არის რწმენა ახალგაზრდობის, რწმენა მომავლის.

ტანზე ჩამაცვი ჯაჭვის პერანგი,
ომში დავეცე არაფერია,
ვერ გაიხარებს ჩვენში ვერაგი, —
ჩემთვის სამშობლო ყველაფერია.

ყველას თავისებური წვლილი აქვს შეტანილი სამშობლოს შენებაში. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა როლი განსაკუთრებულია. პოეტისათვის ასეთი გამორჩეული პიროვნებაა დავით ალმაშენებელი. სხვა ისტორიულ პიროვნებათა ღვაწლიც დიდია ჩვენი ქვეყნის წინაშე, მაგრამ დავითი მაინც სხვაა.

არ გვყოლია მასზე დიდი კაცი,
უფრო დიდი პატრონი და ბრძენი,
მბრძანებელი, კეთილი და მკაცრი,
ჩვენი მზის და სულის გადამრჩენი.

ერის დამახასიათებელ ნიშნებს შორის ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია და ავტორიც მშობლიური ენის ძალმოსილებას გვაგრძნობინებს პოეტური სიტყვით:

თუ დედაენა,
დედაბოძი ქვეყნად არა გაქვს,
არცა გექნება არასოდეს
სხვა რამ დიდება.

დედაენა, როგორც ამ შემთხვევაში პოეტი იტყვის, ცისკარი, ზლაპარი, ბუნება, მადლი და ლოცვაა. ყოველივე ეს არის „სიმდიდრე გაუხუნარი ბედნიერ საქართველოსი“.

ამ ქვეყნად ყველაზე სრულყოფილი, რაც კი ბუნებას შეუქმნია, არის ადამიანი. პოეტი იხედება მისი სულის სიღრმეში. მისთვის უმთავრესი სწორედ ადამიანურია. მანკიერი მასში ზიზღს იწვევს, ხოლო ადამიანური სულიერ ამაღლებას („ვმაღლდები როცა ამბობენ: „მიყვარს“).

ადამიანთა შორის ურთიერთობაში მეგობრობასა და სიყვარულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რაოდენ სასიამოვნოა, რომ მთელს კრებულში იგრძნობა პოეტის ფაქიზი დამოკიდებულება ამ წმინდა გრძნობების მიმართ და რა სამწუხაროა, რომ ეს ფაქიზი ურთიერთობანი, რომლებიც სათაყვანოა ადამიანისათვის, შეიძლება დაირღვეს. ყველაზე დიდი უბედურება, რაც ადამიანებს (და არა მარტო ერთი ქვეყნისა) კეთილ ურთიერთობაში ხელს უშლის, ომია. პოეტი არაა ომის უშუალო მონაწილე. ომმა იმდენი საშინელება დაგვიტოვა, რომ დღესაც განვიცდით მის შედეგებს. ჯემალ ქათამაძე ამ შედეგებით მსჯელობს ომზე. ომის საშინელების მისეული განცდა ძალზე დამაჯერებელია.

მოკვდა ჩემი ძმა,
უფეხო კაცი
და დარჩა
სახლში მისი პროთეზი,
ვით მოგონება
იმ წლების, მკაცრის

და ყაჩაღური ომის პროტესტი!

პოეტი გრძნობს, რომ სამყაროში არის კანონზომიერებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც შეუქცევადია. იგი ეხება სიკვდილ-სიცოცხლის თემას: „ჩრდილივით ჩუმად დადის სიკვდილი და არვინ იცის ვის მიაკითხავს“.

პოეტი იზიარებს ფილოსოფოსთა პოზიციას, რომლის თანახმად ადამიანები იმდენად გაერთნენ „გარეთ ხედვით“, რომ საკუთარი თავიც კი დაავიწყდათ. ადამიანის შინაგანი ბუნება ჯერ კიდევ გამოუცნობია, ეს კი არც თუ ისე სასიამოვნო ფაქტია, ამიტომაც პოეტს ადვილად უნდა გაუგოს მკითხველმა:

ჩვენ ამოვხსენით ბუნება, მაგრამ
ცხოვრება დაგვრჩა ამოუხსნელი.
ქვეყნად ყველაფერს ვიძენთ და
ვკარგავთ,
გულები გვრჩება ამოუვსები.

მართალია, სამყაროს თავისი კანონზომიერება აქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრმად მივყვეთ მას, ვიყოთ პასიური. ეს არ შეესაბამება პოეტის მსოფლგაგებას. საჭიროა ადამიანმა გარკვეული ამოცანა დაუსახოს საკუთარ თავს. ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე ღირებულის შექმნა.

თუ ქვეყნის ტკივილებს არ ზიდავ
დარდად,
გადაუხვიე
სიმართლის ჯაჭვიდან,
უკვდავებას ვერ ჩამოხსნი ფარდას,
ვარსკვლავებს ციდან ვერ
ჩამოზიდავ!

ჯემალ ქათამაძის ლექსებში არის შინაგანი უხილავი ძაფი, რომელიც ერთიან მთელად კრავს კრებულს. ეს უხილავი ძაფი ლირიზმია, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ყველა ლექსს. ყველა ლექსში იგრძნობა სილალე, ძალდაუტანებლობა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს პოეტის საოცარი მოკრძალება (ზოგჯერ მეტისმეტიც კი), ეს იმის მაჩვენებელია, რომ პოეტს კარგად ესმის რაც მან გააკეთა. ეს მოკრძალება მის შინაგან კულტურას მოწმობს.

პოეტის წიგნი რჩეული არაა. ეს ფაქტი ძალზე სასიამოვნოა. ეს განა იმაზე არ მიუთითებს, რომ პოეტის რჩეული ლექსები ჯერ არ დაწერილა?! თვით ეს წიგნი იმის უთუო გარანტიას იძლევა, რომ პოეტი თავის საუკეთესო ლექსებს მომავალში დაწერს.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჯემალ ქათამაძის ლექსთა კრებული უნაკლო იყოს; ყველა ლექსი ერთი დონის არაა, კარგი ლექსების გვერდით სუსტიც არის. ჩვენს მიზანს შეადგენდა იმ დადებითი ემოციების გადმოცემა, რაც წიგნის წაკითხვისას მივიღეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობთ ყურადღებისათვის

გამოგიტყდებით და მას შემდეგ, რაც წერა დავიწყე, კითხვა ლამის გადამავიწყდეს. არა, ისე კი ნუ გამიგებთ, თითქოს კითხვა მეზარებოდეს, ან სურვილი არ მქონდეს, ან წასაკითხი არ იყოს, ან ყველაფერი წაკითხული მქონდეს. არა, უბრალოდ, არ მცალია წასაკითხავად. არ მცალია იმიტომ, რომ ვწერ, საწერი კი იმდენი მაქვს, ვერცკი ავუდივარ. ვწერ იმიტომ, რომ ყველა წერს. ხოლო როცა ყველა წერს, მე რატომ არ უნდა ვწერო? აბა, რითი ვარ სხვაზე ნაკლები? დიახ, წერს ყველა, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, მცოდნე და არმცოდნე, თქვენ წარმოიდგინეთ, პენსიონერებიც კი. ვინაიდან მათ მოცალეობა მეტი აქვთ, ამტკიცებენ, ცხოვრებისეული ცოდნაც და გამოცდილებაც მეტი გვაქვსო და ეს ცოდნა და გამოცდილება რატომ უნდა დაუკარგონ კაცობრიობას. ესეც რომ არ იყოს, თავი ხომ უნდა შეიქციოს კაცმა რაიმეთი და დრო ხომ უნდა მოკლას მაინც? ასეა, წერს ყველა, თითქოს ყველა წერას აუტანია, თითქოს ყველას წერა წერა იყოს. იწერება იმდენი, რომ კაი მონდომებული და თავგადადებული კაცი წაკითხვას ვერცკი მოასწრებს. ყველა ერთმანეთს ეჯიბრება — ვინ მეტს დასწერს, იმას კი არავინ დაგიდევს, წამკითხავი ვინ არის, ან გამკითხავი ვინ არის. წერს ყველა, შეუძლია თუ არ შეუძლია, იცის თუ არ იცის, ხელეწიფების თუ არ ეწიფების. ყველა თავს მოვალედ თვლის თავისი ნაფიქრალი და ნააზრევი წერილობით უკვდავყოს და შთამომავლობას უანდერძოს, ყველას ასე ჰგონია (ჰგონია კი არა, დარწმუნებულია), რომ თუ ასე არ მოიქცა, კაცობრიობა დაიღუპება და რატომ უნდა დაიდოს კაცმა კაცობრიობის ცოდვა. მე შენ გეტყვი და ქაღალდი არ იშოვება თუ პასტა. აბა მელნით ახლა ვინღა წერს. სხვა რომ არა იყოს რა, ახლა მელნით წერა დიდ ჩამორჩენილობად და უკულტურობად ითვლება.

ასე რომ, პირობა არსებობს იმისათვის, რომ კაცმა წეროს და რატომ არ უნდა ისარგებლო ამით. ოლონდ ცოტა მოინდომე, ცოტა გაისარჯე და გამოცემა გაგიჭირდება თუ? ერთი კია, თუ ასე გაგრძელდა, და ეჭვი არაა, რომ ეს ასე იქნება, მალე ყველა მწერალი გახდება და მკითხველი აღარავინ დარჩება. არ გჯერათ? აი ნახავთ, ასე თუ არ მოხდება. ამიტომ ვითვალისწინებ რა მოახლოებულ გარდაუვალ საშიშროებას, გთავაზობთ რაციონალიზატორულ წინადადებას, რომელსაც ჩემი ღრმა რწმენით, უდიდესი მეცნიერული, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, და რომელიც შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა. გაინტერესებთ არა? ვიცი, ერთი სული გაქვთ, სანამ გაიგებდეთ რას ვაპირებ. გეტყვით, აბა, არ გეტყვით, ან კი თქვენზე უკეთესს ვის გავანდობ განზრახულს. აბა, კარგად დამიგდეთ ყური. ჩემი წინადადება ძალზე მარტივი და მეტად ადვილი განსახორციელებელია. იგი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. უბრალოდ, უნდა ავიღოთ და წერა-კითხვის შესწავლის საქმე ისე მოვაგვაროთ, რომ ამ საქმეში გარკვეული წონასწორობა დამყარდეს. ამისათვის კი საჭიროა თავიდანვე ადამიანთა ერთ ნაწილს (უფრო მცირეს) მხოლოდ წერა შევასწავლოთ, მეორე ნაწილს კი (უფრო დიდს) მხოლოდ კითხვა. ხოლო იძვიათ გამონაკლისს, ასე გასაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთ — ორივე ერთად. აი მაშინ მწერლებიც გვეყოლება და მკითხველიც. ბავშვებსაც სწავლა გაუადვილდებათ.

მოგეწონათ ჩემი წინადადება ხომ? ვიცი მოგეწონებოდათ, აბა არა. ისე გულზე ხელი დაიდევით და გამოტყდით, ცოტა შურმაც ხომ გაგკრათ გულში. ასე მარტივად თუ შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება, ჩვენ როგორ ვერ მივხვდით და როგორ არ მოგვივიდა ეს თავში. რას იზამთ! ალმოჩენები მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჯერ სად ხართ, დამაცადეთ, ეს რაა. კიდევ რამდენს ასეთ ალმოჩენას მოვახდენ და მაშინ ნახეთ თქვენ.

ჩემი შემოქმედებითი გეგმები გაინტერესებთ? თუ არ ჯამცემთ, გაგანდობთ, რასაც ვაპირებ. ჩემი სანუკვარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ წერაა. უნდა ვწერო ვანუწყვეტლივ და შეუსვენებლივ, დღითა და ღამით, ზამთარ და ზაფხულ, შინ და გარეთ, ყველგან და ყველაფერზე, ვწერო ტყუილი და მართალი, ავი და კარგი, ლექსი და პროზა. აი ახლაც ახალი მოთხრობის სიუჟეტი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრივით მიტრიალებს თავში. ერთი სული მაქვს სანამ დავწერდე. უნდა ვიჩქარო, სანამ სხვა მომასწრებდეს. ახლა ხომ სიუჟეტებიც მოსწრებაზეა. მაშ ასე, უნდა ვწერო და ვწერო, რადგან წერა ყოფილა ჩე-

მი წერა. რას იზამ სხვა გამოსავალი ალარ მაქვს. უნდა ვიშოვო მთარგმნელები, თითქმის ყველა ენაზე. გავხდე პოპულარული, სახელგანთქმული და აღიარებული. და მერე ვინ იცის, იქნებ პრემიაც დავურტყა. რომელი? რა თქმა უნდა, ნობელის. ახლა პრემიაზე ვინ არ ოცნებობს. ხომ გაგიგონია, ცუდია ის ჯარისკაცი, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობსო. თანამედროვე სიტუაციაში უპრობლემო იქნებოდა გვეთქვა, ცუდია ის მწერალი, ვინც პრემიაზე არ ოცნებობს. ისე კაცმა რომ თქვას, მარტო ამ წინადადებისათვის მეკუთვნის პრემია არა თუ!

თქვენგან გამხელას არ მოველი და ნობელის პრემიის მიღებისას წარმოსათქმელი სიტყვაც მზად მაქვს უკვე, ისე, ყოველი შემთხვევისათვის. ვინ იცის რა მოხდება და დროზე ჯობია თავდარიგის დაჭერა. ეს არის რაც თქვენთვის უნდა გამემხილა.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ჯუმა თელია

აჭარელი კოლმეურნე

ჯორჯიკი

მოქანდაკე მ. ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ"

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118